

# მანანა გუკია

ჩერქეზულ-ქართული  
ენობრივი შეხვედრები

თბილისი  
2016

მანანა ბუკია

ჩერქეზულ-ქართველური  
ენობრივი შეხვედრები

თბილისი

2016

ბოლო პერიოდში ქართველოლოგიური (resp. კავკასიოლოგიური) კვლევები გამოირჩევა ჩერქეზულ-ქართველური ურთიერთობების საფუძვლიანი შესწავლით. მუშავდება ან უკვე დამუშავდა პრობლემები ისტორიული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, არქეოლოგიური თუ მითოლოგიური მიმართულებით. სსიპ ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრი ცდილობს რეგიონში ჩერქეზულ-ქართველური თანაარსებობის ამსახველი ყველა ასპექტის დეტალურ ანალიზს. პროფ. მანანა ბუკია, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ჩერქეზულ ცენტრთან, წარმოგვიდგენს ქართულ და ჩერქეზულ საზოგადოებათა (სოციოლემათა) ურთიერთობებს ენობრივი (ლინგვისტური) კუთხით. ცხადია, მრავალსაუკუნოვან თანაცხოვრებას უკვალოდ არ ჩაუვლია, დაგროვდა სოლიდური მასალა – ნასესხები ლექსიკა, რომელშიც ვლინდება როგორც ქართველურიდან ჩერქეზულში, ასევე, პირიქით, ჩერქეზულიდან ქართველურ ენებში მიგრირებული სიტყვა-ფორმები. ყურადღებას იქცევს ისეთი ნასესხობებიც, რომლებიც ორსავე ენობრივ ჯგუფში მესამე წყაროდან არის შემოსული. ანგარიშგასაწევია ის მომენტიც, რომ საკითხი მონოგრაფიულად დამუშავდა ორ ურთიერთმონათესავე ქვესისტემას შორის.

მომდევნო ეტაპზე ჩერქეზული კულტურის ცენტრი გეგმავს გენეტიკურად საერთო ლექსიკის დამუშავებას მონოგრაფიულად, რაც სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის ჩერქეზულ-ქართველურ ლინგვისტურ ურთიერთობათა შესახებ.

**რედაქტორისაგან**

**რედაქტორი მერაბ ჩუხუა**

**რეცენზენტები: ალექსანდრე კვახაძე  
ლევან კოჭლამაზაშვილი**

## სარჩევი

შესავალი .....	4
თავი I ჩერქეზულიდან ქართველურში ნასესხები სიტყვები.....	6
თავი II ქართველურიდან ჩერქეზულში ნასესხები სიტყვები .....	28
თავი III უცხო ენებიდან ნასესხები ლექსიკა.....	69
თავი IV ხმაბაძვითი სიტყვები.....	124
თავი V varia .....	130
დანართი .....	139
რეზიუმე .....	150
გამოყენებული ლიტერატურა .....	173
შემოკლებათა განმარტებანი .....	190
საძიებელი .....	194

## შესავალი

ჩერქეზულ-ქართველური ენობრივი ურთიერთობის კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. მას იკვლევდნენ როგორც ქართველი და ჩერქეზი, ასევე უცხოელი მკვლევრები: პ. ჭარაია, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ა. ჩიქობავა, კ. ბოუდა, ქ. ლომთათიძე, გ. როგავა, გ. კლიმოვი, ა. შაგიროვი, კ. შაყრილი, რ. ჯანაშია, ვ. შენგელია, თ. გვანცელაძე, მ. ჩუხუა... შესაბამისად, დაგროვდა დიდძალი სამეცნიერო მასალა, რომელიც განსხვავებულ, ხშირად ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ შეხედულებას გამოხატავს. ამ მასალის ანალიზი გვეხმარება ქართველურ-ჩერქეზული ისტორიული ურთიერთობის პერიპეტიების რეკონსტრუქციაში.

ზოგადად, სიტყვების გადასვლა ერთი ენიდან მეორეში ადვილად ხერხდება, რადგან ლექსიკური ფონდის ელემენტთა რაოდენობა, ფაქტობრივ, განუსაზღვრელია (ფოჩხუა 1974: 346). ენობრივ მეხსიერებაში ილექება სხვადასხვა ენობრივ კოლექტივთა კონტაქტებისა და ურთიერთობების კვალი, რომელიც ისტორიის ფურცლებმა ვერ შემოინახა ან სხვადასხვა მიზეზთა გამო დამახინჯდა.

ამავდროულად ლინგვისტიკაში აპრობირებული ბგერათშესატყვისობათა და ფონოტაქტიკის წესების ვერიფიცირებულობა იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს საერთოკავკასიური წარმომავლობის ძირები, გამოვლინდება ურთიერთნასესხები ლექსიკა, სესხების მიმართულება, სესხებისას მიმდინარე ფონეტიკური პროცესები, უცხოენოვანი გარემოდან შეთვისებისას კი, იმავე პრინციპზე დაყრდნობით, სესხების შუალედური რგოლის დაზუსტება ხდება.

ენობრივი ურთიერთმიმართება გულისხმობს გენეტიკურად ერთიან ლექსიკურ ფონდს (საერთოკავკასიურ და საერთო ჩერქეზულ-ქართველურ ლექსიკურ მასალას) და ნასესხობას. მონოგრაფიაში წარმოდგენილია მხოლოდ ის ფორმები, რომლებიც ურთიერთნასესხობად მიგვაჩნია.

ნაშრომის მიზანია, წარმოვადგინოთ ადრე ჩატარებული კვლევების შედეგები, რომელიც მოიცავს სამეცნიერო მიმოქცევაში არსებულ თვალსაზრისებს და, ასევე, ვაჩვენოთ ჩვენს მიერ მოპოვებული ახალი მასალის საფუძველზე, დამოკიდებულება ამ კვლევების მიმართ.

მუშაობის პროცესში გამოვლინდა საერთო ჩერქეზულ-ქართველური (საერთო წარმომავლობის, ნასესხები) ლექსიკური ერთეულები, რომლებიც აქამდე შემჩნეული არ ყოფილა – მიზეზი: არ არსებობდა შედარებით სრულყოფილი ლექსიკონები სვანურსა და მეგრულ-ლაზურში; იქ, სადაც ყველაზე აქტიურად ვლინდება ენობრივი ინტერფერენცია, ჩატარებული კვლევების შედეგად, ცალკეული სიტყვების სესხების მიმართულება ახლებურადაა ინტერპრეტირებული.

## თავი I

### ჩერქეზულიდან ქართველურში ნასესხები სიტყვები

ჩერქეზთა და ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის კვალი კარგად ჩანს ჩერქეზულიდან ქართველურში შეთვისებულ ლექსიკაში. ნასესხებმა ლექსიკამ მოიცვა სხვადასხვა დარგი. ეს ურთიერთობა განსაკუთრებული სიმღიერით დაჩნდება სვანურსა და მეგრულში. ეს ბუნებრივი მოვლენაა, ისტორიულად სვანებს და მეგრელებს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ჩერქეზებთან, ხშირი იყო შერეული ქორწინება, მეგრელი მწყემსები ყოველ წელიწადს ყაბარდოს გავლით გადადიოდნენ საზაფხულო საძოვრებზე.

ჰგ / შაგ (ადილ.), გჰნჰ (ყაბარდ.), ა-გარა (აფხ.), გალა (უბიხ.) „ეზო“ (შაყრილი 1971: 116), გარა (აბაზ.) „id.“ (შაგიროვი 1982: 125) – აგვარა / ანგვარა (მეგრ.) „საქონლის შესადენი და დასამწყვდევი“ (ყიფშიძე 1914: 192), „გადაუხურავად შემოღობილი ადგილი ღამით საქონლის დასამწყვდევად“ (ჯვ., მარტვ., წალენჯ., ზუგდ.), აგორან (სვან.)

„საქონლის ბაკი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 25); შეიძლება გვევარაუდა, რომ აფხაზური (ა)გარა ქართული გორა სიტყვისაგან მომდინარეობს გო მარცვლის ლაბიალიზაციით და ა ხმოვნის გაჩენით. მით უმეტეს, მეგრულში გორა > გვალა-ა. სემანტიკა აქ დაბრკოლებას ვერ ქმნის. თუმცა გასათვალისწინებელია აფხაზურ-უბიხური რ : ღ შესატყვისობის ფაქტორი, რომელიც ძირეულ, არანასესხებ მასალაში დასტურდება. ეს სიტყვა ეტიმოლოგიურად შეიძლება არც იყოს აფხაზური, მაგრამ მეგრულში აშკარად აფხაზურიდანაა ნასესხები, რაზეც აფხაზურისთვის დამახასიათებელი სახელთა ზოგადი ფორმის ა- პრეფიქსის არსებობაც მიანიშნებს მეგრულში.

**ბაღ** (ადილ.) „დიდი რაოდენობა, სიმრავლე“ – **ბაღება** (მეგრ.) „კმარება, კმაყოფა, საკმარისობა“ (ქობალია 2010: 58), **ობაღუ** (ლაზ.) „საკმაო“ (მარი 1910: 129); ჯერ კიდევ არნ. ჩიქობავა შენიშნავდა, რომ ზანური ზმნის შესატყვისი ძირი არ არის პოვნირი ქართულსა და სვანურში (ჩიქობავა 1938: 262). ჩანს, ზმნის ძირი მეგრულ-ლაზურმა ისესხა ადიღეურიდან. საკუთრივ ადიღეურში სიტყვა ნაწარმოებია და შედგება: **ბზ** „ბევრი“ და **ღზ** – აბსტრაქტულობის აღმნიშვნელი სუფიქსი. ფორმები შეაპირისპირა გ. როგავამ (როგავა 1943: 593-594).

**ბუჰ** / **ფჰ** (ადილ.) „კარი“, **ბუჰ** (ყაზარდ.) „კარი“ (შაგიროვი 1977: 84) – **ბჰე** (ძვ. ქართ.) „დიდი კარი, შესასვლელი“ (ქეგელ: I: 1206). ადიღეურ ძირს, გარდა ქართულისა,



უკავშირებენ ხუნძ. **ხუწაწა**, ლაკ. **ხუზ**, დარგ. **უნძა** „კარი“ (შაგიროვი 1977: 84). ქართულში დიდი ხნის წინ ჩანს შემოსული ადიღურიდან (როგავა 1956: 18-19).

**ბგუგ** (ადიღ.) „ხბო“ (აეგლ 2010: 79) – **ბოკვერი** (ქართ.) „დიდი ზომის მტაცებელის ნაშიერი“ (ქართული ლექსიკონი 2014: 82); ვ. შენგელია აანალიზებს ჩერქეზულ (ადიღურ) და ქართულ სიტყვებს და მათ შორის კავშირის ინტერპრეტაციის სამ ვარიანტს განიხილავს: 1. ისინი საერთო წარმოშობისაა; ფუძისეული **-რ** ჩერქეზულმა სახელობითი ბრუნვის ნიშანს გაუთანაბრა და ბრუნებისას ჩამოშორდა; 2. სიტყვა ქართულიდანაა შესული ჩერქეზულში ფუძისეული **რ**-ს გადააზრებით (ე. ი. სახელობითი ბრუნვის ნიშანთან გათანაბრებით); 3. ჩერქეზული **ბგუგ** სახელობითი ბრუნვის ნიშნითურთ შესულია ქართულში **ბოკვერ**-ის სახით (შენგელია 2006: 154). საინტერესოა, რომ ივ. ჯავახიშვილი ქართულ **ბოკვერ**-ს სვანურ **ფვკუნა** (მრ. **ფვკუნარ**) „ლეკვი“ სიტყვას უკავშირებს, თავად **ბოკვერ**-ში **ბ**-ს კლას-კატეგორიის ნიშნად გამოყოფს (ჯავახიშვილი 1937: 195-197).

**ბწშ**, (ადიღ.), **ბაშ**, (ყაბარდ.), **ბაჩა** (უბიხ.) „ჯოხი“ (შაყრილი 1968: 76), **ლაბა** (აბაზ.) „id.“ (აბდოკოვი 1973: 40), **ა-ლაბ** (აფხ.) „ჯოხი“ (უსლარი 1887: 146), **ა-ლაბა** (აფხ.) „id.“ (ჯანაშია 1954: 162), **ა-ლაბაშა** (აფხ.) „მწყემსის ხელჯოხი“ (ბჟანია 1962: 99) – **ლაბაშა** (მეგრ.) „წვეტიანი რკინამოცმული მწყემსების ჯოხი მთაზე სახმარი“ (ციფშიძე 1914: 269; ჭარაია 1997: 84); საერთო აფხაზურ-ჩერქეზული სიტყვა მეგრულს აფხა-

ზურდიდან აქვს შეთვისებული (ბუკია 2013: 81). ფონეტიკურად ყველაზე არქაული ჩანს უბიხური ფორმა. აფხაზურ-აბაზურ ფორმებში გაჩენილი **ა-ლა / ლა** ძაღლის აღმნიშვნელი სიტყვაა. აბაზურ ფორმას ფუძისეული ელემენტი მოეკვეცა (აბდოკოვი 1973: 40).

**ბღ** (ადილ.), **ბღ** (ყაზარდ.) „ბეჭისთავი“ (შაყრილი 1971: 114), **ა-ბლა** (აფხ.) „ზურგი“ (უსლარი 1887: 124), **ბლა** (აბაზ.) „ზურგი“ (აბრლ 1967: 115) – **აფხა** (მეგრ.) „მხარი“ (ყიფშიძე 1914: 197), **აბხა** (მეგრ.) „ცხენის წინა ფეხები“ (ჯავახიშვილი 1986: 224). ჩერქეზულ ენებში სიტყვა აგრეთვე აღნიშნავს „მთას“. იმავე მნიშვნელობისაა აფხაზურ-აბაზურ კომპოზიტებში: **ა-ბლაბ** „მთის თხა, ნიამორი“, **ა-ბლაჯმა** „მთის თხა“ (შაგიროვი 1982: 52). ალბათ, სიტყვა მეგრულს აფხაზურის მეშვეობით აქვს ნასესხები.

**ფართ** (ადილ.), **ფართ** (ყაზარდ.), **ა-ფართა** (აფხ.), **ფართა** (აბაზ.) „ჯოგი“ (შაყრილი 1971: 109) – **აგვართა** (მეგრ.) „ჯოგი“ (ჭარაია 1997: 33); ტერმინი **ა-ფარა** ფორმაზე **-თა** სუფიქსის დართვით არის მიღებული, რომელიც სივრცის, მოზღვდული ადგილის აღმნიშვნელი ტერმინია აფხაზურში. თავდაპირველი სემანტიკა იქნებოდა „შემოღობილი ადგილი“, შემდეგ „ჯოგი“, რომელიც **ა-ფარა**-ში, შემოღობილში იმყოფებოდა, აქედან კი, ზოგადად „ჯოგი“. **-თა** სუფიქსი ამგვარი ფუნქციით გამოიყენება აფხაზურ სახელებში (შდრ. **აწნე** „სახლი“ > **აწნათა** „ოჯახი, სახლობა“). **აგვართა** აფხაზურიდან შესულია მეგრულში და გარდა პირ-

დაპირი მნიშვნელობისა (აგვართა ორინჯი „ჯოგი, მრავალი საქონელი ერთად“), ხალხის კრებულის, ბრბოს მნიშვნელობითაც გამოიყენება. ხშირად გვხვდება მეტათეზირებული ფორმით: აგვართა > / არგვათა (ყიფშიძე 1914: 196). სიტყვა მეგრულის საშუალებით შესულია გურულ დიალექტში და ნიშნავს „მწყემსების ან ზოგჯერ მონადირეთა საყარაულო ქოხს მთაში ან ტყეში“ (ლონტი 1984: 22). აგვართა და მისი სემანტიკური გადაწევით მიღებული გვართა „ზვინი“, გვართუა „დაზვინვა“ (ზუკია 2013: 65-66).

გასჷ / გაშჷ (ადილ.) „თავადის ქალი“, „დედამთილი“, გაშჷ (ყაბარდ.) „თავადის ქალი; დედამთილი; თოჯინა“ (ყრლ 1957: 35) – გაშჷყან (სვან.) ქალის საკუთარი სახელი; სიტყვა სვანურში ადილეურიდანაა შეთვისებული. საგულისხმოა, რომ ჩერქეზულში სიტყვა ანთროპონიმად არ გვხვდება (სალლიანი 2013: 39).

დაგ / დაგგ (ადილ.), დაგგ (ყაბარდ.), დაგგ (უბიხ.), ა-დაგგ (აფხ.), დაგგ (აბაზ.) „ყრუ“ (აბდოკოვი 1973: 49) – დაგვა (მეგრ.) „ყრუ“ (ყიფშიძე 1914: 221); აფხაზურ-ჩერქეზული და მეგრული ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 23). სიტყვა მეგრულში აფხაზურის მეშვეობითაა შეთვისებული (შაგიროვი 1977: 146). მეგრულში მას სინონიმი გააჩნია ცუნგა „ყრუ“ (ჭარაია 1912: 23).

თექ (ადილ.) „მყუდრო ადგილი“ (აეგლ 2014: 129), ტგგ (ყაბარდ.), თფფ (აბაზ.), ა-თფფ (აფხ.), „ადგილი“ (აბდოკოვი

1973: 69). აფხაზურში სიტყვა „მწყემსის საზაფხულო სადგომს“ ნიშნავს (ბჟანია 1962: 105) – **თბუ** / **თიბი** / **თიფუ** / **თეფე** (მეგრ.) „საქონლის, მწყემსის სადგომი საზაფხულო იალაღზე“ (ყიფშიძე 1914: 243; სახოკია 1985: 355); აფხაზურ-ჩერქეზული სიტყვების სემანტიკური განსხვავება გამოწვეულია სუფიქსური -კ-, -გ-, -ფ ელემენტებით (აბდოკოვი 1973: 69). ვ. კვარჭია აფხაზური ტერმინის სემანტიკას ასე აკეთებს: **ა-თე** „ადგილი“ და **-ფ-** (**ია-ფ-უ**) „მუდმივი, ტრადიციული“ (კვარჭია 1981: 113). ჩვენთვის ეს ეტიმოლოგია ბუნდოვანია, თუმცა მეგრულ-აფხაზურ **თიფუ** : **ა-თეფე**-სთან ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით ვიტყვით, რომ ჩვენთვის ეს მთის ლანდშაფტისათვის დამახასიათებელი ტერმინია (სამეგრელოში ყველა ინფორმატორი ამ ტერმინს სააფხუნო სამოვრებს უკავშირებს). ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ლექსემა არ გვაქვს ლაზურში, ბარის სამეგრელოში ამ ტერმინს ამ მნიშვნელობით არ იცნობენ (**თიფი** / **თიფუ** მეგრულად „თივას“ ნიშნავს და ამ მნიშვნელობით ისესხა აფხაზურმა **ა-თა** სახით). ვვარაუდობთ, რომ ეს სიტყვა მეგრულში აფხაზურიდანაა შესული (ბუკია 2002: 53).

**თაზაფე** (ადილ.), **დამწყა** (ყაბარდ.) „ტაბიკი“ (შაგიროვი 1977: 147) – **ტაბიკი** (ქართ.) „ურმის ნაწილი, – თავკომბალა ბოლოქდიანი ჯოხი, რომელსაც უღელში წყვილ-წყვილად ჩაუყრიან საქონლის შესაბმელად“ (ქეგლ VI: 1231), **ტაბუკი** (მეგრ.) „id.“ (ყიფშიძე 1914: 326); გ. როგავა უთითებს, რომ დიდი ხნის წინ არის შეთვისებული ქართველურ ენებში ჩერქეზულიდან (როგავა 1956: 4, 129). ა. შაგიროვი ყაბარდოულ

სიტყვას ყოფს **დამნ** „მხარი“ და **ყა** ნაწილებად. ეს უკანასკნელი პოვნეირია სიტყვებში: **ბჟაყა** „რქა“, **ლ'აყა** „ფეხი“ ფორმებში (შაგიროვი 1977: 147).

**კაფზ** / **ჩაფზ** (ადილ.), **კაფზ** / **ჭაფზ** (ყაზარდ.) „ცხვრის დუმა“ (შაყრილი 1971: 123), **ა-კაფა** (აფხ.) „1. სუთი, დუმა (ცხვრისა); 2. კურტუმო“ (ჯანაშია 1954: 161). **კაფა** (აბაზ.) „დუმა“ (აბრლ 1967: 261) – **კეფა** (მეგრ.) „ცხვრის დუმა“ (ჭარაია 1997: 77); 3. შაყრილი სიტყვას მიიჩნევს საერთო აფხაზურ-ჩერქეზულ ძირად. ა. აბდოკოვს (აბდოკოვი 1973: 10) და გ. კლიმოვს მიაჩნიათ, რომ აფხაზურ-აბაზური ფორმა ნასესხებია ადილეურიდან. გ. კლიმოვი სიტყვას კომპოზიტად მიიჩნევს და ყოფს **ჩგ** „კუდი“ და **ფგ** „დასაწყისი“, ელემენტებად, ფიქრობს, რომ გამჭვირვალე ეტიმოლოგია აქვს და ზედმიწევნით ნიშნავს „კუდის დასაწყისს, თავს“ (კლიმოვი 1968: 293). სიტყვის მსგავს ეტიმოლოგიას იძლევიან ა. შაგიროვი (შაგიროვი 1977: 34) და ბ. ბალყაროვიც (ბალყაროვი 1965: 46). შესაბამისად, მეგრული ფორმა აფხაზურიდანაა ნასესხები.

**კუნდგნ** (ჩერქ.) „დაკარგვა“, „დაღუპვა“ (აეგლ 2010: 128-129) – **კვად** / **კვად** (სვან.) „ზარალი“ (ლიპარტელიანი 2014: 170); სვანური სიტყვა ჩერქეზულიდანაა შემოსული, საკუთრივ **კუნდგნ** ნაწარმოებია **კუნ** „სვლა“ ზმნისაგან. სემანტიკური გადასვლისთვის შდრ. ძვ. ქართ. **წარტა** „წავიდა“ > ახ. ქართ. **წახდა** „გაფუჭდა“, „დაზიანდა“ (როგავა 1987: 24).

ლწგ (ადილ.) „ტერფი“ (აეგლ 2012: 159) – ჰაგტუ (სვან.) „ქუსლი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 891); ჩერქეზული სიტყვა კომპოზიტია, შედგება ლწ „ფეხი“ და გგ „გული“ ელემენტებისაგან და ზედმიწევნით „ფეხის გულს“ ნიშნავს. ჩერქეზული ლწ' ლატერალი სვანურში ჰ ლარინგალითაა შეცვლილი. ამავე რიგში განიხილება სვანური ჰაგარ „ფეხშიშველი“, რომელიც ჰიბრიდული კომპოზიტია: ჰა იგივეა, რაც ჩერქეზული ლწ' „ფეხი“, ხოლო გარ სვანურია და ნიშნავს „მხოლოდ“, „გარეშე“ (როგავა 1987: 23).

მასკპ (ადილ.) „ნაპერწყალი“, მასკე (ყაბარდ.) „id.“ – ლემესგ / ლემესკ / ლემეს (სვან.) „კერა“ (თოფურია, ქალდანი 2000: 402); ს. ჯანაშია სვანურ სიტყვას ჩერქეზულიდან ნასესხებად მიიჩნევს (ჯანაშია 1942: 271).

მაწა / მაწ (ადილ.) „კალია“ (აეგლ 2012: 184) – მგწლა (სვან.) „კალია“ (თოფურია, ქალდანი 2000: 592); ერთი მხრივ ქართველური მწერი „ფეხებდანაწევრებული უხერხემლო ცხოველი“ (ქეგლ V: 1218), მწერი (ძვ. ქართ.) „ბუზი“ (აბულაძე 1973: 309), ჰანდი / ჰანჯი (მეგრ.) „ბუზი“ (ყიფშიძე 1914: 386), მჰაჯი (ლაზ.) „ბუზი“ (ვანილიში 1964: 147), მერ < \*მჰერ (სვან.) „ბუზი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 570) და მეორე მხრივ აფხაზურ-ჩერქეზული მწწ < \*მაწა (ადილ.), მაწა (ყაბარდ.), მწწა (უბიხ.), ა-მაწა (აფხ.), მაწა (აბაზ.) „კალია“ (ჩუხუა 2006: 61) საერთო ქართველურ-ჩერქეზული ენობრივი ოდენობებია, მაგრამ „კალიის“ აღმნიშვნელი მგწლა სვანურს ადიღურულიდან აქვს ნასესხები (როგავა 1956: 129).

მწვ (ადილ.) „თივა“, მწყ (ყაბარდ.) „თივა“ (კვახაძე 2014: 76) – მექუ (სვან.) „თივა“ (თოფურია, ქალდანი 2000: 566); ბ. ბალყაროვს მოჰყავს სხვა ქართველური პარალელები: მაჭუალ (სვან.) „ზვინი“ (ლიპარტელიანი 2014: 210), მაგოლი (დიალ.) „თივის ბულული“ (ბალყაროვი 1965: 46). ვ. აბაევი ადილეურ და ქართველურ ფორმებს ადარებს ოსურ მქელ (ირონ.), ბქულ (დიგ.) „ბულული“ ფორმებს (აბაევი 1973: 85). ქართველურსა და ოსურში სიტყვები ადილეურიდან ჩანს შეთვისებული (შაგიროვი 1977: 265).

ჟაჟ (უბიხ) „თირკმელი“ (შაგიროვი 1982: 54), \*ჟაჟ (ადილ.), \*ჟაჟ (ყაბარდ.), ა-ჭაჭა (აფხ.) „თირკმელი“ (ჯანაშია 1954: 394), ა-ჭაჭ „id.“ (რალ 1964: 449), ჭაჭა (აბაზ.) „თირკმელი“ (შაგიროვი 1982: 54) – ჭაჭა (ქართ.) „კუთხ. (იმერ. გურ.) იგივეა, რაც თირკმელი“ (ქეგლ VIII: 1234), ჭაჭა (მეგრ.) „თირკმელი“ (ყიფშიძე 1914: 387), ჭაჭა (იმერ. გურ.) „id.“ (ლლონტი 1984: 718), ჯაჭ / ჭაჭ (სვან.) „id.“ (თოფურია, ქალდანი 2000: 886); ქართველური და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). გ. კლიმოვი მიუთითებს, რომ სიტყვა აფხაზურიდან აქვს ნასესხები მეგრულს (კლიმოვი 1965: 304). ა. აბდოკოვი მიიჩნევს, რომ აფხაზურ-აბაზური ფორმების დაკავშირება ჩერქეზულ ქვეჯგუფთან გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული (აბდოკოვი 1973: 51). მ. ჩუხუა აფხაზურ-ჩერქეზულ ფორმათა შესატყვისად ვარაუდობს ქართ. წენწული, ზან. ჭინჭა / ჭიმჭა „ასფურცელა“, სვან. ჭინჭილ „ნაწლავი“ ლექსიკურ

ერთეულებს (ჩუხუა 2007-ა: 41), თუმცა საკუთრივ **ჭაჭა** „თირკმელი“ ნასესხებია ქართველურში.

**ჟამქა** (ყაზარდ.) „ლომის მაგვარი კერძი, კეთდება არაჟ-ნით, სიმინდის ფქვილით და ყველით“ (შაგიროვი 1977: 193), **ა-ჩამქა** (აფხ.) „ყველითა და რძით გაკეთებული ღომი“ (ჯანაშია 1954: 342); „რიტუალური კერძი“ (ჯანაშია 1960: 27), **ჯამქა** / **ჩამქა** (აბაზ.) „ნაციონალური კერძი“ (აბრლ 1967: 209) – **ჩემქვა** / **ჩემჰვა** (მეგრ.) „რძისა და ფქვილისაგან გაკეთებული ფაფის მსგავსი საჭმელი“ (ციფშიძე 1914: 364; ჭარაია 1997: 156); რადგან **ა-ჩამქა**-ს ეტიმოლოგია ნათელი არ არის, გამოვთქვამდით მოსაზრებას, რომ შეიძლებოდა გვემსჯელა ტერმინის კომპოზიტურ წარმომავლობაზე და ლექსემაში **ჩე**-ელემენტი გამოგვეყო, მითუმეტეს, რომ საქმე გვაქვს ფაფასა ან მის მსგავს კერძთან, მაგრამ საძიებელია **-ქვა**-ს რაობა, რომლის ეტიმოლოგიისათვის მეგრულში ჯერჯერობით არანაირი ხელჩასაჭიდი მასალა არ მოგვეპოვება (ბუკია 2009: 39), თუმცა აბაზურსა და ყაზარდუოლშიც გვაქვს იმავე მნიშვნელობის სიტყვა. იქნებ **-ქვა** მრავლობითობის აღმნიშვნელი აფიქსია?! მეგრულში აფხაზურის მეშვეობითაა შემოსული.

**ჟაკა** (ადიღ.) „წვერი“ (აეგლ 2010: 339), **ა-ჟაკა** (ყაზარდ.), **ჟაკა** (აბაზ.), **ა-ჟაკა** (აფხ.) „წვერი“ (შაყრილი 1971: 119), **ჟაკა** (უბიხ.) „წვერი“ (ჯანაშია 2015: 105), **ა-ჟაკა** (აფხ.) „წვერი“ (უსლარი 1887: 132), **ა-ჟაკა** (აფხ.) „id.“ (ჯანაშია 1954: 224) – **ბჟაკე** (მეგრ.) „წვერი“ (ციფშიძე 1914: 207); ბ. ბალყაროვი ჩერ-



ქეზულ ფორმას კომპოზიტად მიიჩნევს და ყოფს ორი ნაწილისაგან: ჟნ „პირი“, კნ „კუდი“ (ბალყაროვი 1965: 35). აფხაზურში სიტყვას ეტიმოლოგია არ ეძებნება და ადიღეურიდან შესულად მოიაზრება (კლიმოვი 1968: 293), აქედან კი მეგრულში შემოვიდა. პ. ჭარაია აფხაზურ ა-ჟაკა და მეგრულ ბჟაკე-ს საერთო წარმომავლობის სიტყვებად განიხილავს (ჭარაია 1912: 24). ფორმა გვხვდება ოსურ ენაშიც: ზაკე / ზაკნ „წვერი“ (აბაევი 1989: 285); მეგრულში წარმოდგენილია კომპოზიტის ნაწილად: ბაბჟაკია (ბაბუმ ბჟაკე) „ბაბუაწვერა“ (ქობალია 2010: 58), ბასილაშ ბჟაკე „ჩიჩილაკის წვერი, წალამური“ (იქვე: 94).

ჟგზ'ა (ყაბარდ.) „შორი“, „შორეული“, ჩგზ'ა (ადიღ.) „შორი“, „შორეული“ (აეგლ 2014: 378) – ჯტოდია / ჯტუდიას (სვან.) „შორეული“, ნაჯტა (სვან.) „დაშორებული“ (თოფურია, ქალდანი 2000: 888); ჩერქეზული (ყაბარდოული) და სვანური ფორმები ერთმანეთთან დააკავშირა ს. ჯანაშიამ (ჯანაშია 1942: 274). სვანურში ადიღეურიდანაა შესული.

ჟარ / ჩარ (ადიღ.) „სწრაფმავალი“ (შაგიროვი 1977: 194) – ჩქარი (ქართ.) „სწრაფი, მალი“ (ქართული ლექსიკონი 2014: 727), ჩქარ (სვან.) „ჩქარი“ (საღლიანი 2005: 64); ადიღეური ფორმა წარმოქმნილია ზმნური ძირისაგან ჟან / ჩან „სირბილი“ (შაგიროვი, იქვე). გ. როგავა მიიჩნევს, რომ ქართული ჩქარი ადიღეურიდანაა შეთვისებული (როგავა 1956: 103).

სგნ (ადილ.) „კრავი“ (აეგლ 2014: 453) – ჟინალ / ჟინლ (სვან.) „კრავი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 685); გ. როგავა ადილეურ ფორმას ყოფს ძირეულ სგ- და დეტერმინანტ -ნა ნაწილებად (როგავა 1956: 78). ძირი ენათესავება აფხაზურ ა-სგს „კრავი“ ფორმას. ს. ჯანაშია ადილეურ სიტყვას უკავშირებს სვანურ ჟინალ, ჩეჩნურ ჯი „ცხვარი“, ჯა „ცხვრის ფარა“. იქვე სვამს საკითხს: იქნებ ქართული ჯოგ-შიც ჩანს ადილეური ძირი? (ჯანაშია 1942: 272-273). სვანური სიტყვა ადილეურიდანაა ნასესხები (როგავა 1956: 129).

ჴან / ჴან (ადილ.) „უნაგირი“ (აეგლ 2014: 175), ჴან (ყაბარდ.), ჴანაგგ (უბიხ.) „უნაგირი“ – უნაგირი (ქართ.) „მხედრის დასაჯდომი მოწყობილობა, ცხენის ზურგზე დასადგმელი“ (ქეგლ VI: 1541), ანაგერი / ანანგერი / ონაგერი / ონანგერი / ონაგირი / ონენგერი / ონანგირი / უნაგერი (მეგრ.) „უნაგირი“ (ყიფშიძე 1914: 194; ჴარაია 1997: 108; ჯვ., წალენჯ., ჩხორ., ხობი), ჴენგირ / ჴინგირ / უნგირ / უნაგირ (სვან.) „id.“ (თოფურია, ქალდანი 2000: 898); გ. როგავა ადილეურ ფორმას ყოფს ძირეულ ჴა და დეტერმინანტ -ნა ნაწილებად. ადილეურ სიტყვას კ. ბოუდა უკავშირებს ქართულ უნაგირი, ინგ. ნუერ, ჩეჩნ. ნუდრ და ოსურ ჴანიკაჴსნ ფორმებს (ბოუდა 1950: 293). ნახური და ქართველური სიტყვები ადილეური სახელობითი ბრუნვის ნიშნიანი ფორმისგანაა შეთვისებული < ჴან-გვ-გრ (შაგროვი 1977-ა: 88). ოსური სიტყვა ჴანიკაჴსნ მომდინარეობს ყაბარდოული ჴანჴაჴსნ-დან: ჴან „უნაგირი“, ჴაჴსნ „თასმა“ (აბაევი 1989: 48).

**უგზე** (ადილ.) „ავადმყოფობა“ (აეგლ 2014: 168) – **მწიგ** (სვან.) „ავადმყოფობა“ (ლიპარტელიანი 2014: 206); სვანური სიტყვა ჩერქეზული წარმოშობის ჩანს. ბოლოკიდური **გ** სვანური (**ა**)ქ / (**ა**)გ სუფიქსი ჩანს, ისევე როგორც სიტყვაში **ლოლაქ** „ცხვარი“. ჩერქეზული უ სონანტი სვანურში გადასულია მ-ში. შდრ. ადილ. **უწსე** „თოვლი“ > სვან. **მუს** „id.“ (როგავა 1987: 25). ადილეურის მსგავსი ძირი ჩანს ავადმყოფობის აღმნიშვნელ უბიხურ ფორმაში **ზაღა**; **ზაღაგვმა** „ცუდი ავადმყოფობა“ (ჯანაშია 2015: 97).

**უგდა** (უბიხ.) „ლობე“ (კვახაძე 2014: 173), **აანდა** (ავხ.) „ლობე“ (ჯანაშია 1954: 4), **ზანდა** (აბაზ.) „ლობე“ – **ლანდა** (მეგრ.) „ლობე“ (ქაჯაია 2002-ა: 165); მეგრულში შემოსულია აფხაზურიდან ჯერ კიდევ აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობის დროს.

**უწრჯ** (ადილ.), **უწრყ** (ყაბარდ.) „თავადი“ (კვახაძე 2014: 116) – **უწრგ** (სვან.) „თავადი, აზნაური“ (თოფურია, ქალდანი 2000: 742 ); ს. ჯანაშია მიიჩნევს, სვანური ფორმა ჩერქეზულიდანაა ნასესხები (ჯანაშია 1942: 272).

**უწრწდ** (ადილ.) „სიმღერა“, **უწრწდ** / **უწრედ** (ყაბარდ.) „სიმღერა“, **უწრწდწ** (უბიხ.) „სიმღერა“, **უწრადდა** (ავხ.-აბაზ.) „მისამღერი“, **უწრად** (აბაზ.) „სიმღერა“ (შაგიროვი 1977-ა: 92) – **ვარადა** (ქართ.) „[ადილ. ვარადა „სიმღერა“] ხალხური სიმღერების მისამღერი“ (ქეგლ IV: 21), **ვარადა** (მეგრ.) „მისამღერი“ (ქობალია 2010: 305); ითვლება, რომ უბიხური

და აფხაზურ-აბაზური ფორმები (ქართველურიც) ადი-  
ლეურიდანაა ნასესხები (შაგიროვი, იქვე). სიმღერების მისა-  
მღერად გვხვდება აგრეთვე ოსურში **ტჳრჳდჳ**, ბალყარულში  
**ორაიდა** სახით (აბაევი 1989: 90).

**ტჳსგ** (ადილ.) „თოვლი“, **ტჳს** (ყაბარდ.) „id.“, **სგ** (აბაზ.)  
„id.“, **ა-სგ** (აფხ.) „id.“ – **მუს** (სვან.) „თოვლი“ (თოფურია, ქალ-  
დანი 2000: 577); ს. ჯანაშია უთითებს, რომ სიტყვა სვანურში  
შეთვისებულია ჩერქეზულიდან (ჯანაშია 1942: 269). ა. აბლო-  
კოვი აფხაზურ-ჩერქეზულ ფორმებს უმატებს უბიხურ იმავე  
მნიშვნელობის **ჟჳძგ**-ს და უთითებს, რომ ჩერქეზულ სი-  
ტყვებში რეალიზებული **ტჳ**- დამოუკიდებელი სიტყვაა და  
„ატმოსფეროს“ აღნიშნავს. შდრ. **ტჳშხ** „წვიმა“ (იხ. ქვემოთ),  
**ტჳდა** „უამინდობა“ (აბდოკოვი 1973: 70).

**ტჳშხ** / **უასხგ** (ადილ.) „წვიმა“, **ტჳშხ** (ყაბარდ.) „წვიმა“  
(შაგიროვი 1977-ა: 93) – **ურხა** / **ტჳურხა** (სვან.) „წვიმა“ (თო-  
ფურია, ქალდანი 2000: 736); სვანური სიტყვა ადი-  
ლეურიდანაა შეთვისებული (ჯანაშია 1942: 269). სიტყვაში  
დაუსაბუთებლად გამოყოფენ თოვლის აღმნიშვნელ **ტჳს** /  
**ტჳსგ** ფორმას (შაგიროვი 1977-ა: 93).

**ფაყჳ** / **ფაჳჳ** (ადილ.), **ფგჳჳ** (ყაბარდ.), **ბჳყგ** (უბიხ.) „ქუ-  
დი“ (შაგიროვი 1977-ა: 41) – **ფაყჳ** (სვან.) „ქუდი“ (თოფურია,  
ქალდანი 2000: 752); სიტყვების მსგავსებას ყურადღება მი-  
აქცია ს. ჯანაშიამ (ჯანაშია 1942: 274). სვანური სიტყვა ადი-  
ლეურიდანაა ნასესხები (როგავა 1956: 129). კ. ბოუდა ვარა-

უდობს, რომ სვანური ნასესხობაა ადიღურსა და უბიხურში, მიიჩნევა ე. წ. მოგზაურ სიტყვად და მიუთითებს მსგავსი გაბგერების სიტყვებზე ჩუკოტკური ჯგუფისა და ირანულ ენებში (ბოლდა 1960: 202). შდრ. აგრეთვე ბალყ. ბოკვა „საბავშვო ქული“ (შაგიროვი, იქვე). სიტყვა ბგერათმესატყვისობებით არის წარმოდგენილი ჩერქეზულში, ქართველურ ენებში მხოლოდ სვანურშია პოვნირი, შესაბამისად, ჩერქეზულიდან ნასესხობად უნდა განვიხილოთ.

**ფგდგნ** (ადიღ.), **ფგდგნ** (ყაბარდ.), **ა-ფდან** / **ა-ფდგნ** (აფხ.) „რკინის ბორკილი“ (შაყრილი 1968: 81) – **აბდანი** / **აბუდანი** / **აფდანი** (მეგრ.) „ცხენის რკინის ბორკილი“ (ქაჯაია 2001: 163); ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, რკინის საკეტს, აბდანს ცხენს უკეთებდნენ ფეხზე, რომ ქურდებს არ მოეპარათ (წალენჯ.). **აბუდანიშ ლაგამი** (მეგრ.) „აღვირი“ (ქობალია 2010: 7) ჰიბრიდული სინტაგმაა. ფორმა აფხაზურის მეშვეობით უსესხებია მეგრულს. სიტყვა მთელ აფხაზურ-ჩერქეზულ ენობრივ სივრცეში გვხვდება და საერთო აფხაზურ-ჩერქეზულ ლექსემადაა მიჩნეული. მეგრულში ფორმა გადმოსულია აფხაზურისთვის დამახასიათებელი ა-ზოგადობის პრეფიქსის დაცვით. სესხების შემდეგ ფუძეში მოხდა რეგრესული ასიმილაცია – **დ-ს** გავლენით **ფ** გამჟღერდა > **ბ** (ბუკია 1999: 130).

**ფშ-გ** (ადიღ.) „ბატონი“, „მბრძანებელი“ (აეგლ 2012: 356) – **ფუსდ** / **ფუსტ** (სვან.) „ბატონი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 769); ჩერქეზულ და სვანურ ფორმებთან კავშირი შე-

ამჩნია ს. ჯანაშიამ (ჯანაშია 1942: 272). გ. როგავა მიიჩნევს, რომ სიტყვა სვანურში ჩერქეზულიდანაა შეთვისებული (როგავა 1956: 129). გ. კლიმოვის აზრით, ფორმა სვანურში ოსურიდანაა შემოსული და ამოსავალია ოსური **ფესემ / ფუსუნ** „მასპინძელი“ (კლიმოვი 1963: 184).

**ქანდ / ქანდჷ** (ადილ.) „ბუჩქი“ (აეგლ 2012: 52) – **ქუანდარ** (სვან.) ტოპონიმი; სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტოპონიმი სვანურმა ჩერქეზულიდან ისესხა სახელობითი ბრუნვის ნიშნითურთ. შდრ. ადილ. **ბკვგრ** „ხბო“ ≈ ქართ. **ბოკვერი** (გვ. 8). ფორმები შეაპირისპირა მ. საღლიანმა (საღლიანი 2013: 38).

**ქანც** (ადილ.) „ხორბალი“ (აეგლ 2012: 211), **გამ** (ყაბარდ.) „ხორბალი“ (შაგიროვი 1977: 111), **ქანც** (უბიხ.) „ხორბალი, ხორბლის პური“ (ჯანაშია 2015: 111) – **კუეცენ** (სვან.) „ხორბალი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 353); გ. როგავა მიიჩნევს, რომ სვანური ფორმა ადიღეურიდანაა შეთვისებული (როგავა 1956: 129). სიტყვა მონათესავე ენებსაც აქვს ნასესხები: აბაზ. **გამ** ყაბარდოულიდან და უბიხური **კანც** ადიღეურიდან. მნიშვნელობა იგივეა, რაც გამსესხებელ ენებში (შაგიროვი 1977: 111).

**ღემ** (ადილ.) „ორსული“ (ადრლ 1975: 43) – **ღანაჷ** (სვან.) „ორსული“ (თოფურია, ქალდანი 2000: 792); ზოგადად, ჩერქეზულში სიტყვას „მსუქნის“ სემანტიკა აქვს, მხოლოდ ადიღეურში აღნიშნავს ორსულს (შაგიროვი 1977: 95). სვანურ

სიტყვას შესატყვისი არ ეძებნება ქართველურ ენებში. ვვარაუდობთ, რომ სვანურში ადილეურიდანაა ნასესხები (მასალა მოგვაწოდა მ. საღლიანმა).

**ღ** (ადილ.) „წელიწადი“ (აეგლ 2010: 111), **ღ-ა** (უბიხ.) „დრო, ასაკი“ (ჯანაშია 2015: 111), **ჭა** (აბაზ.) „დრო“, **აფგენ** (აფხ.) „გაზაფხული“ (უსლარი 1887: 121) – **აფუნი** (მეგრ.) „გაზაფხული“ (ყიფშიძე 1914: 197); ა. აბდოკოვს მოჰყავს **ღ** ელემენტის შემცველი სხვა სიტყვები ჩერქეზულ ენებში: **ღ-ჭ** (ადილ.) „ზაფხული“, **ღ-მანზ** (ყაბარდ.) „ზაფხული“, **ჭა-ფგენგ** (აბაზ.) „ზაფხული“ (აბდოკოვი 1983: 94). ადილეური სიტყვის სემანტიკური ცვლილება სამეცნიერო ლიტერატურაში ასეა წარმოდგენილი: **დრო** > **ზაფხული** > **წელიწადი** (შაგიროვი 1977: 124). ადილეურ ძირი მეორდება აფხაზურ-აბაზურ **აფგენ** (აფხ.) /< **ჭაფგენ** (აბაზ.) ფორმაში და ნიშნავს „გაზაფხულს“. სიტყვა აფხაზურის მეშვეობით გადმოვიდა მეგრულში **აფუნი** ფორმით და „გაზაფხულს“, „საზაფხულო საძოვრებზე საქონლის გარეკვის დროს“ ნიშნავს (ბუკია 2013: 59-60).

**ყალა** > **ეგ-ს-ყალა-ნ** (უბიხ.) „ვინმეზე ძვირს ვლაპარაკობ“ – **საყალე** (მეგრ.) „საყვედური, ყვედრება“ (ქაჯაია 2002: 586); ფორმები შეაპირისპირა გ. როგავამ. მეცნიერი მიიჩნევს, რომ იგივე ძირი წარმოდგენილია ადილეურ ზმნაში **მან-სან-ყან-ლან** < **მან-სან-ყან-ლან** „მე მასზე ბევრს (ცუდს) ვლაპარაკობ“. უბიხურიდან შეთვისებულ ძირს (გ. როგავა

მას სუბსტრატად მიიჩნევს) დართვია ქართული პრეფიქს-სუფიქსი (როგავა 1978: 126-127).

**ცა-ხ<sup>ა</sup>მბზ** (ადილ.) „ხელის თითი“ (აეგლ 2014: 316), **ლ<sup>ა</sup>-ხ<sup>ა</sup>მბზ** „ფეხის თითი“, **ცა-ფხ<sup>ა</sup>მბზ** (ყაზარდ.) „ხელის თითი“, **ლ<sup>ა</sup>-ფხ<sup>ა</sup>მბზ** „ფეხის თითი“ – **ფხულე / ფხოლე** (სვან.) „თითი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 773); გ. როგავა ყაზარდოულ ფორმაში გამოყოფს **ფხ<sup>ა</sup>** ელემენტს, რომელიც საკუთრივ **თით-ს** უნდა ნიშნავდეს. **ფხულე** ან მისი შესატყვისი სხვა ქართველურ ენაში არ ჩანს. სავარაუდოდ, სვანური სიტყვის **ფხუ** ნაწილი ჩერქეზულიდანაა შემოსული, -**ლე** ელემენტის ფუნქცია გაურკვეველია (როგავა 1987: 23-24).

**შატ** (ადილ.), **შატ** (ყაზარდ.), **ჩათა** (აზაზ.), **ჩატ** (უბიხ.), **ა-ხკათ** (აფხ.) „ნაღები, არაჟანი“ (აბდოკოვი 1973: 75) – **ხკეთი / ხიკეთი** (მეგრ.) „წაქის ნადული“ (წალენჯ.); აფხაზური სიტყვა ორ ნაწილად იყოფა: **ახ** „რძე“ და **კათ** „ნაღები, არაჟანი“, რომელიც საერთოა აფხაზურ-ჩერქეზულისთვის (კვარკია 1981: 119). ა. შაგიროვი არ იზიარებს აფხაზური **ა-ხკათ** სიტყვის სიახლოვეს ჩერქეზულ ფორმებთან (შაგიროვი 1977-ა: 136). მ. ჩუხუა აფხაზურ-ჩერქეზულ ფორმებს უპირისპირებს ქართულ **წვეთ-ს**, ზანურ **ჭვათ-ს** „id.“, სვანურ **უიდ / უედ** „დელამო, წვეთი“ სიტყვებს და მიაჩნია, რომ საერთო წარმომავლობისაა (ჩუხუა 2007: 103). **ხკეთი / ხიკეთი** კი მეგრულს შეთვისებული აქვს აფხაზურიდან (ბუკია 2006: 334).



**შე** (ადილ.) „ცხენი“ (აეგლ 2014: 434), **ჩე** (ყაბარდ.), **ჩე** (უბიხ.), **ა-ჩე** (აფხ.), **ჩე** (აბაზ.) „ცხენი“ (შაგიროვი 1977-ა: 141) – **ჩაჟ** / **ჩაჟ** (სვან.) „ცხენი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 828); შდრ. აგრეთვე **აჩუ** „შორისდებული ცხენის გასარეკად“ (ქეგლ I: 829), **აჩუა** „ცხენი ბავშვების ენაზე“ (ლეონიძე 1925: 4), **აჩუ** / **აჩი** „შეძახილი ცხენის გასარეკად“ (ქეგლ I: 829), **აჩუა** „ცხენი ბავშვის ენაზე“ (ქეგლ I: 829). ქართველური და აფხაზურ-ჩერქეზული სიტყვების მსგავსებას ყურადღება პირველად მიაქცია პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 48-49). ს. ჯანაშია მიუთითებს, რომ სვანური **ჩაჟ** უახლოვდება აფხაზურ **ა-ჩე** და ჩერქეზულ **შე** ფორმებს (ჯანაშია 1942: 273). ივ. ქავთარაძის აზრით, ეს სიტყვა საერთოკავკასიურია (ქავთარაძე 1972: 177-179), თუმცა ა- თავსართის არსებობა **აჩი** / **აჩუ**, **აჩუა** ფორმებში ქართულში მის აფხაზურიდან სესხებაზე უნდა მიანიშნებდეს (ბუკია 1999: 95).

**ჩერ** (ადილ.) „ფოლადი“ – **ჩეი** / **ჩეი** (სვან.) „სპილენძი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 829); ფოლადის აღმნიშვნელი სვანური სიტყვა იზოლირებულად დგას სხვა ქართველურ ენათა შესაბამის მონაცემებთან. ხომ არ არის ნასესხები ადიღეურიდან (მასალა მოგვაწოდა მ. სალიანმა).

**ჭერვ** [წ] (ადილ.) „მიწავაშლა“, **ა-ჭერვა** (აფხ.) „მიწავაშლა“ (ჯანაშია 1954: 395), **ა-წერვა** (შაყრილი 1987: 392) – **ჭირკუ** (მეგრ.) „ჩია, პატარა; უჯიშო ხილი“ (ქაჯაია 2002-ა: 474); გ. კლიმოვი ფიქრობს, რომ აფხაზურში შესულია ადიღეურიდან (კლიმოვი 1968: 295). კერძოდ, ამოსავალი უნდა

იყოს ადიღეური ჭგერკ[ვ] „მიწავაშლა“, რომელიც ზედმიწევნით „მიწაში (მიწით) მიმავალს“ ნიშნავს. მისი კანონზომიერი შესატყვისი ყაზარდოულში არის სარგვჷ (შენგელია 2006: 155-156). სემანტიკური გადასვლა „მიწავაშლა“ > „წვრილი ვაშლი“ > „წვრილი“ ადვილი შესაძლებელია (შენგელია 1978: 155). საინტერესოა, რომ ამ სიტყვას სინონიმური წყვილიც აქვს აფხაზურში და გადმოიცემა კომპოზიტით: ადგვლწა, რაც ზედმიწევნით „მიწის ვაშლს“ ნიშნავს. სიტყვის პირველი ნაწილი ქართულიდანაა შეთვისებული აფხაზურში (გვანცელაძე 1997: 208).

**ხანძუ / ჰანძუგ** (ადიღ.) „ზვინი“ (აეგლ 2014: 355) – **ანწალა** (ქართ.) „წვრილი ბრჯა, მაღალი“ – საბა (ქეგლ I: 515), **ანწალა / ანწოლა** (მეგრ.) „ხეზე ჩამოკიდებული ჩალა“ (ქაჯაია 2001: 188), **აწალა** (ლაზ.) „წვრილი ზვინი ძნისა (მაღალი)“, **აწუალ / ჰაწუალ** (სვან.) „სიმინდის ზვინი“ (ქირია 2015: 773); გ. როგავა ქართველურ ფორმებს ადიღეურიდან ნასესხებად მიიჩნევს (როგავა 1956: 129). მეორე მხრივ, სიტყვა ფონეტიკური შესატყვისობითურთ წარმოდგენილია მთელ ქართველურენოვან სივრცეში. ხომ არ არის პირუკუ პროცესი, ქართველურიდან ხომ არ არის შეთვისებული ადიღეურში?

**ხუმჷ** (ადიღ.) „უცხო“, „გარეშე“ (აეგლ 2014: 275), **ხამჷ** (ყაზარდ.) „უცხო“, „გარეშე“ (ყრლ 1957: 373) – **ქამე** (სვან.) „გარეშე“, **ქამ** „გარეთ“, **ქამემ** „უცხო“ (თოფურია, ქალდანი 2000: 781). სიტყვა სვანურში ჩერქეზულიდან არის შემო-

სული. სვანურში ადიღური სპეციფიკური ხ სპირანტი ქ-ს სახითაა გადასული (როგავა 1987: 24).

**ხზთ** (ადიღ.) „ვინ“ (აეგლ 2014: 316) – **ხნდა / ხედა** (სვან.) „რომელი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 870); სვანური ნაცვალ-სახელი ადიღურიდანაა ნასესხები (ჯანაშია 1942: 273).

**ვწ** (ადიღ.) „ღორი“, **ვწ** (უბიხ.) ა-ჰა (აფხ.), **ჰა** (აბაზ.) – **ხწმ** (სვან.) „ღორი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 869); ს. ჯანაშია აფხაზურ-ჩერქეზულ ფორმას უკავშირებს ქართულ **ღორ**-ს, იქვე უთითებს სვანურ **ხწმ**-ს და ამბობს, რომ სვანური ფორმის წარმომავლობის გზა საკვლევეია (ჯანაშია 1942: 273). სავარაუდოდ, ჩერქეზულიდან უნდა იყოს ნასესხები. ქართული და ადიღური ფორმები პირველად შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 54).

**ჰადწ** (ადიღ.) „მიცვალეული“, „გვამი“ (აეგლ 2014: 349), **ჰწდწ** (ყაბარდ.) „მიცვალეული“, „გვამი“ – **ჰად / ჰწდ** (სვან.) „მუცელი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 881); სვანური სიტყვა სხვა ქართველურ ენებში არ ჩანს, შესაბამისად, ჩერქეზული წარმოშობისაა. ადიღ. **ჰ** გადმოღებულია **ჰ** ფარინგალური აფრიკატით (როგავა 1987: 23). სემანტიკის გადასვლისთვის შდრ. ქართ. **გვამი** „მკვდარი ადამიანის სხეული, ცხედარი“ (ქეგლ II: 1433) და აფხაზური ა-მგა „მუცელი“. ეს უკანასკნელი პ. ჭარაიას აფხაზურში ქართულიდან მომდინარედ მიაჩნია (ჭარაია 1912: 30). მ. ჩუხუა აფხაზურ ა-მგა-ს პარა-

ლელურად მოჰყავს აბაზ. მგა, უბიხური ნგვა < \*მგვა „მუ-  
ცელი“ და უკავშირებს ქართულ ბოქვენ-ს, ლაზ. ქორბა-ს  
(ჩუხუა 2006: 60).

ჰალ'გლ (ადილ.) „პური“, ჰალ'გუ (ადილ.) „ვეტვის ბურ-  
ღულის, ერბოსა და შაქრისაგან გამომცხვარი ტკბილეული“  
(აეგლ 2014: 353), ჰალ'გვ (ყაზარდ.) „ღვეზელი“, ჰალ'გუ  
(ყაზარდ.) „მჭადი“ – ხულუგო / ხულუგ „უფხო პური“, ხუ-  
ლუნგო (ქართ.) „რბილი ხორბლის უფხო ჯიშების სახელ-  
წოდებაა რაჭასა და ლეჩხუმში“ (ქეგლ VIII: 1525 ), ხულუგუ  
/ ხულუგ (სვან.) „ხულუგო, უფხო პური“ (თოფურია,  
ქალდანი 2000: 876); სიტყვა ადიღური წარმომავლობისა  
ჩანს და იქიდან შემოვიდა ქართულ დიალექტებსა და სვა-  
ნურში (როგავა 1987: 24).

## თავი II

### ქართველურიდან ჩერქეზულში ნასესხები სიტყვები

ქართველურიდან ჩერქეზულში ნასესხები ლექსიკა მოიცავს როგორც სალიტერატურო ქართულის, ასევე ქართველური ენების ლექსიკურ ფონდს. საინტერესოა, რომ უბიხურში ჭარბობს მეგრულიდან შეთვისებული სიტყვები, ადიღურ-ყაბარდოულში კი ქართული ლექსიკის სიმრავლე იკვეთება.

**ატამი** (ქართ.) „საშუალო ტანის ხე“ (ქეგლ I: 629), **ატამი** (ძვ. ქართ.) persicum (აბულაძე 1973: 11), **ატამი** „ხე“ (საბა 1991: 71), **ატამა** (მეგრ.) „ატამი“ (ციფშიძე 1914: 197), **ანტამა / ატამა** (ლაზ.) „ატამი“ (მარი 1910: 126), **ატამა / ატამ** (სვან.) „ატამი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 63) – **ჭგ-ტგმ** (ადიღ.) „მსხლის სახეობა“, **ტგმ-ს** / **ბგრ-ტგმ** (ყაბარდ.) „კვირტების გაფურჩქვნა“, **ტგ'მა** (უბიხ.) „ატამი“ (კვახაძე 2014: 69), **ა-ტამა** (აფხ.) „id.“ (ჯანაშია 1954: 259), **ტამა** (აბაზ.) „გარგარი“ (აბრლ 1967: 372); ქართული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა

დ. გულიამ (გულია 2004: 12). აფხაზურში შესულია ქართველურიდან (გვანცელაძე 1997: 58). **ა-წატამა** „გარგარი“ (ჯანაშია 1954: 391) ჰიბრიდული კომპოზიტია – **ა-წა** „ვამლი“, ზედმიწევნით „ვამლატამა“. ქართულიდანვეა ნასესხები „ატმის“ აღმნიშვნელი უბიხური **ტგ'მა**, ასევე ადიღეური და ყაბარდოული კომპოზიტების ნაწილები: **ტგმზ**, **ტგმგ**, **ტგმ**.

**ბაკი** (ქართ.) „საქონლის დასამწყვდევი, ირგვლივ მოზღუდული, უსახურავო“ (ქეგლ I: 954), **ბაკი** (ლაზ.) „ბოსელი, თავლა“ (მარი 1910: 129) – **ბაჯ** (ყაბარდ.) „ბაკი“ (შაგიროვი 1977: 73); ყაბარდოული სიტყვა უკავშირდება ქართულ **ბაკი**, ლაზურ **ბაკი** და სომხურ **ბაკ** „ეზო“ ფორმებს. მიიჩნევა, რომ ყაბარდოულსა და სომხურში ქართულიდანაა ნასესხები (შაგიროვი 1977: 73). გ. როგავა ყაბარდოულ **ბაჯ** ფორმას ადარებს ქართ. **ბეღელი** : მეგრ. **ბაღუ** „ბეღელი“ ფორმებს და უთითებს, რომ შეიძლება ყაბარდოულში ქართულიდან იყოს შეთვისებული (ქართველურში ჩანს ხმოვნების კანონზომიერი შესატყვისობა), თუმცა არც უკუპროცესია გამოსარიცხი: ყაბარდოული ჰ მეგრულს ა-თი, ხოლო ქართულს ე ხმოვნით გადმოიღო (როგავა 1946: 11).

**ბალი** (ქართ.) „საშუალო ან მაღალი ტანის ხეხილი; მსხვილი დახრილი ფოთოლი აქვს, თეთრი ყვავილი და კურკიანი წვნიანი ნაყოფი“ (ქეგლ I: 956), **ბული** (მეგრ.) „ბალი“ (ქობალია 2010: 68) – **ბაღი** (ყაბარდ.) „ბალი“ (ყრლ 1957: 22); სიტყვა (**ბაღუ**) გვხვდება კავკასიაში გავრცელებულ თითქმის ყველა ენაში: ხუნძ. **ბაჟი**, ლეზგ. **ბაღი** „ალუ-

ბალი“, ჩეჩნ. **ბაღლ**, ინგ. **ბოალ** „ალუბალი“, ბალყ. **ბაღლი**, ოსური **ბალ / ბალი** (შაგიროვი 1977: 68). ქართულიდან აქვს ნასესხები ყაზარდოულს (შაგიროვი 1989: 139). სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სიტყვა სპარსული წარმოშობისაა. სხვათა კვალდაკვალ ჩვენ მივიჩნევთ, საერთოქართველური ფორმაა. შდრ.: ქართ. **ბალი** : მეგრ. **ბული** : ლაზ. **ბული** (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 92).

**ბაჟა** (ქართ.) „ხორცეული შეჭამანდის შესაკმაზავი მომჟავო წვენი“ (ქეგლ I: 873), **ბაჟა** (მეგრ.) „ნიგვზის წვენი, – ბაჟე“ (ჯავახიშვილი 1986-ა: 214) – **ბაჟენ / ბაჯენ** (ადილ.), **ბაჟენ** / **ბაჯენ** (ყაზარდ.) „ძველებური ადიღური კერძი, კეთდებოდა ქერისაგან ან სიმინდის ფქვილისა და არაჟნისაგან. ტკბილ-მჟავე ფაფა“ (ბალყაროვი 1965: 31), **ა-ბჟეი** (აფხ.) „მმარი“ (ჯანაშია 1954: 72). სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ აფხაზური ქართულიდან მეგრულის გზითაა შეთვისებული აფხაზურში (ჯანაშია 1955: 8). აფხაზური **ა-ბჟეი**-სთვის შესაძლოა ამოსავალი ყოფილიყო არა **ბაჟა**, არამედ მეგრული **ბჟე** „მმარი“ (ყიფშიძე 1914: 207), სემანტიკა ამ სიტყვებისთვისა ერთნაირია. ბ. ბალყაროვი ჩერქეზული ფორმების პარალელურად უთითებს ოსურ სიტყვას **ბაგანგ / ბაგანი** „ლუდი“ და ფიქრობს, რომ ჩერქეზული ნასესხობაა (ბალყაროვი 1965: 31). თუ დავუშვებთ, რომ აფხაზური ფორმები ქართველურიდანაა შეთვისებული, ასეთივე წარმოშობა ივარაუდება ჩერქეზულისა და ოსურისთვის. ვფიქრობთ, ამავე წარმომავლობისად უნდა მივიჩნიოთ „მდოგვის“ აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ბაჯ** (უსლარი 1887: 124), თუმცა ა.

აბდოკოვი აფხაზურ ფორმას განიხილავს უბიხურ **ბჰგენჰ** სიტყვასთან მიმართებაში, რომელიც „ქერს“ ნიშნავს და მიიჩნევს, რომ ერთი მხრივ ადიღურ-ყაზადოული და მეორე მხრივ აფხაზურ ფორმათათვის ამოსავალი უბიხური სემანტიკაა (აბდოკოვი 1973: 41).

**ბაჟი** (ქართ.) „1. გადასახადი სახელმწიფოში შეტანილსა და სახელმწიფოდან გატანილ საქონელზე. 2. გადასახადი ამა თუ იმ საქონლის დამზადებაზე“ (ქეგლ I: 972), **ბაჟი** (მც. ქართ.) „გადასახადი, გამოსაღები“ (აბულაძე 1973: 29), **ბაჟი** „ტვირთის ხარკი“ (საბა 1991: 94), **ბაჟი** (მეგრ.) „გარკვეული გადასახადი“ (ქაჯაია 2001: 218), **ბჰჟ** / **ბაჟ** (სვან.) „ბაჟი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 146) – **ბჰჟანდ** (ადიღ.), **ბჰჟანდ** (ყაზარდ.), **ბაგანდა** (აბაზ.) „არენდა“ (შაყრილი 1971: 114), **ა-ბაჯ** (აფხ.) „ბაჟი“ (ჯანაშია 1954: 64); ვვარაუდობთ, რომ სიტყვა ქართველურიდანაა შესული აფხაზურში, აქედან კი სხვა აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში.

**ბატი** (მეგრ.) „ზაქი“ (ყიფშიძე 1914: 201) – **ბჰტ** (უბიხ.) „ზაქი“ (შაგიროვი 1989: 139), **ა-ბატ** (აფხ.) „ზაქი“ (ჯანაშია 1954: 63); საკუთრივ მეგრული **ბატი ბატკ**-ისგან არის მიღებული მეგრულ სახეობაში კ-ს დაკარგვით (ჯავახიშვილი 1937: 191). შდრ. **ბატკი** (ქართ.) „შემოდგომაზე მოგებული საქონელი“ (ქეგლ I: 990), **ბატკი** „ჩვილი თიკანი“ (საბა 1991: 97), **ბატკი** (გურ.) „შემოდგომაზე ნაშობი შინაური საქონელი; ხბო, ბატკანი ან თიკანი“ (დლონტი 1984: 62), **ბატკი** (იმერ.) „თხა სამ წლამდე“ (ჯავახიშვილი 1986:



182), **ბატკი** (მეგრ.) „ერთი წლის თხა, დედალი“ (ჩიქობავა 1942: 15). აფხაზურსა და უბიხურში შესულია მეგრული (სემანტიკა დავიწროებული) მნიშვნელობით (ლომთათიძე 1974: 95). იგივე ტერმინი ჩანს აფხაზურ ჰიბრიდულ კომპოზიტებში **ა-ჟბატ** „მდედრობითი სქესის ზაქი“, **ა-ცბატ** „მამრობითი სქესის ზაქი“ (არშვა 1980: 22, 79), **ა-ჟბატფშქა** „ახალდაბადებული ფურ-ზაქი“ (კვარჭია 1981: 28).

**ბებერა** (ქართ.) „ამობურცული წყალჩამდგარი კანი“ (ქეგლ I: 1009) – **ფსგზგზ** „ბებერა“ (კვახაძე 2014: 144). ჩერქეზულ ფორმაში **ფსგ-** წყლის აღმნიშვნელი ძირია. თუ სიტყვის მეორე ნაწილს **ზგზ** ჩერქეზულში ეტიმოლოგია არ დაეძებნება, შეიძლება ჰიბრიდულ კომპოზიტად განვიხილოთ, სადაც **ზგზ** ქართული **ბებერა**-დან მომდინარეობს.

**ბელურა** (ქართ.) „პატარა ნაცრისფერი ჩიტი“ (ქეგლ I: 1040), **ბალირე** (მეგრ.) „ბელურა“ (ყიფშიძე 1914: 201), **ბალგრე / ბალრე** „id.“ (ქაჯაია 2009: 46) – **ა-ბალრეი / ა-ბალგრ** „ბელურა“ (ჯანაშია 1954: 63), **ბალგრ** (უბიხ.) „ბელურა“ (ფოგტი 1963: 89); ქართველური და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). სიტყვა მეგრულიდანაა შესული აფხაზურსა და უბიხურში (ლომთათიძე 1974: 94).

**ბეჰა** (მეგრ.) „ნიჩაბი“ (ბლაჟუბა 1964: 203); **ბაჰე** (მეგრ.) „ჭურჭელი იყო ერთგვარი“ (ქაჯაია 2009: 47) – **ბაჰალ** (ყაბარდ.), **ბლაჰ** (აბაზ.) „ნიჩაბი“ (აბდოკოვი 1973: 41), **ა-ბაჰა** (აფხ.) „ნიჩაბი, ბარი“ (ჯანაშია 1954: 64); ა. აბდოკოვი

მიიჩნევს, რომ ყაზარდოული, აბაზური და აფხაზური ფორმები საერთო წარმომავლობისაა (აბდოკოვი, იქვე). ხ. ზღაჟბას აზრით აფხაზური (აბჟური) **ა-ბაჰა** მეგრულიდანაა შეთვისებული (ზღაჟბა 1964: 203). ა. შაგიროვი თვლის, რომ ყაზარდოულში **ბჰლად** თურქულიდანაა შესული, აქედან კი – აბაზურში, ხოლო აფხაზური **ა-ბაჰა** სხვა წარმოშობისაა (შაგიროვი 1977: 74).

**ბოლვა** (ქართ.) „სახელი ბოლავს ზმნის მოქმედებისა“ (ქეგლ I: 1091) – **ბლჰნ** „წვა“, „ნათება“ (შაგიროვი 1977: 99); ადიღური ფორმა უკავშირდება აფხაზურ **ა-ბღლრა** (**ა-ბღგრა**) „წვა“, „ნათება“ სიტყვას, რომელიც, თავის მხრივ, პ. ჭარაიამ დააკავშირა ქართულ **ბოლ-ი**, **ბოლ-ვა** ფორმებთან (ჭარაია 1912: 20-21). ეს უკანასკნელი საეჭვოდ მიაჩნია ა. შაგიროვს (შაგიროვი 1977: 99).

**ბოლოკი** (ქართ.) „ორწლოვანი ბოსტნეული მცენარე“ (ქეგლ I: 1094), **ბულეკი** (მეგრ.) „ბოლოკი“ (ყიფშიძე 1914: 208), **ბულეკი** / **ბულეჭი** (ლაზ.) „ბოლოკი“ (მარი 1910: 132), **ბოლოკ** (სვან.) „ბოლოკი“ (საღლიანი 2005: 15) – **ბაღღჯჷ** / **ბოღღჯჷ** / **ბჰღჯჷ** (ადიღ.) „ბოლოკი“ (შაგიროვი 1977: 68); ჩერქეზულში შეთვისებულია ქართულიდან. ვ. აბაევის გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შესაძლოა, სესხების შუალედურ რგოლად ოსური განვიხილოთ და მოჰყავს შესაბამისი ფორმები: ირონული **ბოლკ** და დიგორული **ბოლგჷ** (აბაევი 1958: 270).

**ბურღი** (ქართ.) „იარაღი, რომლიც ბრუნვითაც ხვრეტენ რამე საგანს“ (ქეგლ I: 1185), **ბურგი** (ლაზ.) „ბურღი“ (ქუთელია 2005: 169), **ბირღუ** / **ბურღუ** (სვან.) „ბურღი“ (თოფურია, ქალღანი 2000: 154) – **ბერღ-მ** (ადილ.) „ჭანჭიკი“ (კვახაძე 2014: 147); სიტყვა არ გვხვდება ჩერქეზულ ჯგუფის სხვა ენაში. ვფიქრობთ, რომ ადიღეურში ქართულიდანაა შესული. სემანტიკური გადაწევა **ბურღი** > **ჭანჭიკი** მოულოდნელი არ უნდა იყოს.

**ბუყინი** / **ბუყუნი** / **ბუკუნი** / **ბუყუნი** (მეგრ.) „ხის ჭურჭელი მაწვინსათვის“ (ყიფშიძე 1914: 210), „რძის ჩასაწური“ (ჯავახიშვილი 1986: 222); „ყველის შესანახი ჭურჭელი“ (ელიავა 1989: 28), **ბეყუ** / **ბოყუ** (სვან.) „ხის ქერქისაგან გაკეთებული ჭურჭელი ხორბლისათვის“ (თოფურია, ქალღანი 2000: 151, 156) – **ბაყგრ** (უბიხ.) „ყველის დასამარილებელი და შესანახი ხის ჭურჭელი“ (შაგიროვი 1989: 139, 140), **ა-ბყგლ** (აფხ.-აბჟ.) „ხის ჭურჭელი რძის შესადედებლად“ (რალ 1964: 263), **ბყგლ** (აბაზ.) „კასრი“ (აბრლ 1967: 121); საერთოქართველურ დონეზე აღდგენილია **\*ბოყუ** „ხის ჭურჭელი“ > ქართ. **ბოყვი** : ზან. **ბუყუნი** / **ბუყუნი** < **\*ბუყუ-ინ-ი** : სვან. **ბეყუ** / < **ბოყუ** (ჩუხუა 2000-2003: 66). საერთოქართველური სიტყვა მე-გრულის საშუალებითაა შესული აფხაზურ-ჩერქეზულში (ბუკია 2007: 161).

**გადღანება** (მეგრ.) „გაკვირვება; დაძრახვა, დაწუნება; მოქმედების, საქციელის დაგმოზა“ (ქაჯაია 2001: 280) – **ფგზღან** (ადილ.), **ფგზუენ** (ყაზარდ.) „საყვედური, მრისხანება“

(შაყრილი 1971: 117), **ფგბჟ** (უბიხ.) „სიბრაზე“ (ჯანაშია 2015: 94), **ა-ფგბლან** (აფხ.) „საყვედური“ (გენკო 1998: 69), **ფგბლან** (აბაზ.) „წყენა, უკმაყოფილება“ (აბრლ 1967: 137); გ. კლიმოვი აფხაზურ ფორმას ადილეურიდან შეთვისებულად მიიჩნევს, თუმცა იქვე დასძენს, რომ ადილეურ ნიადაგზეც საკმაოდ ნათელი არაა ფუძის აგებულება (კლიმოვი 1968: 292). შესაძლოა, მეგრული და აფხაზურ-ჩერქეზული საერთო ძირითაა წარმოდგენილი ან მეგრული ფორმა შედარებით აფხაზურ-ჩერქეზულში.

**გვაბანაკი** (ქართ.) „ერთგვარი ზედა სამოსი, თექის მსგავსი“ (ქეგლ II: 1432), **გვაბანაკი** (მეგრ.) „მწყემსის პალტო“ (სახოკია 1985: 349) – **გაბანაჩ** (ადილ.), **გაბანაჩ** (ყაბარდ.), **გაბანაქ** (აბაზ.), „მწყემსის ზედა სამოსი“ (შაყრილი 1968: 65), **ა-გაბანაქ** (აფხ.) „ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ჩასაცმელი, გვაბანაკი“ (ჯანაშია 1954: 79); ა. შაგიროვი აფხაზურ-ჩერქეზული სიტყვებისთვის ამოსავლად მიიჩნევს თურქულ **Kopenek** ფორმას (შაგიროვი 1989: 112). წ. ბჟანიაც აფხაზურისთვის ამოსავალ ფორმად მოიაზრებს თურქულ **კაპანეკ**-ს და მიუთითებს, რომ აფხაზური **ა-გაბანაქ** მეგრულად ჟღერს, როგორც **გობენეჯი**, რუსულად (ყუბანელ და სხვა კაზაკებთან) **კობენიაკი** (ბჟანია 1962: 99). შევნიშნავთ, რომ მეგრულში **გობენეჯი** ფორმა არ გვხვდება. ავტორთა შეხედულებაც ნაკლებად სავარაუდოა. ქართველურში გვაქვს მარტივი **გვაბანი / გვაბანა / გობანი** „საზამთრო წამოსასხამი“, „ლეიბი“ (ჭარაია 1997: 49; ბერიძე 1912: 21) და მისგან ნაწარმოები **გვაბანაკი**. ჩვენი ვარაუდით, ფორმა აფხაზურმა

ისესხა მეგრულიდან და შემდგომ გავრცელდა სხვა ენებში. აფხაზურ-ჩერქეზული აუსლაუტის პალატალიზებული ქ-ს გაჩენას ახსნა სჭირდება, რაც მეგრული სახელობითი ბრუნვის რეფლექსად თუ ჩაითვლება (ლომთათიძე 1976: 170). აფხაზურში სესხებისას ადაპტაციის წესები დაცულია, კერძოდ, გვ- კომპლექსი შეცვლილია ფ თანხმოვნით. გარდა ამისა, აუსლაუტში მეგრულის სახელობითი ბრუნვის ნიშნის გავლენით მოხდა უკანაენისმიერი ქ-ს პალატალიზაცია. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ სიტყვებს აფხაზურში დიალექტების მიხედვით სინონიმური წყვილები მოეპოვება: ბზიფურში აბჟურ ა-გაზან-ს ა-ცართა ჩაენაცვლება, აბჟურ ა-გაზანაქ-ს კი – ა-ჩგა (ბჟანია 1962: 205).

**გვამი** (ქართ.) „1. მკვდარი ადამიანის სხეული, ცხედარი; 2. ძვ. წიგნ. პიროვნება, პირი, ადამიანი“ (ქეგლ II: 1433); **გუამი** (ძვ. ქართ.) „ჯორცი, სხეული, ტანი, სული“ (აბულაძე 1973: 97), **გუამ** (სვან.) „გულ-მკერდი, მკერდი“ (თოფურია 2000: 179) – **ნგბ** (ადიდ.) „მუცელი; კუჭი“ (აეგლ 2012: 238), **ნგბ** (ყაზარდ.) „მუცელი“, **ნგუგ** (უბიხ.), **ა-მგა** (აფხ.) „მუცელი“, **მგა** (აბაზ.) „მუცელი“ (შაგიროვი 1982: 58); პ. ჭარაია აფხაზურ ფორმას უკავშირებს მეგრულ ქვარა-ს (ჭარაია 1912: 30). ნ. მარის თვალსაზრისით, უფრო ახლოა ქართულ გვამთან (მარი 1912: 30) შდრ. მ. ჩუხუა აფხაზურ ა-მგა-ს პარალელურად მოჰყავს აბაზ. მგა, უბიხური ნგუა < \*მგუა „მუცელი“, უკავშირებს ქართულ ბოქვენ-ს, ლაზ. ქორბა-ს და საერთო წარმოშობისად მიაჩნია (ჩუხუა 2006: 60). არსებობს ქართული გვამ-ის სხვა ჩერქეზულ მასალასთან დაკავშირების

მცდელობაც (იხ. **ჰადშ** (ადილ.), **ჰნდშ** (ყაბარდ.) „მიცვალებული“, „გვამი“, გვ. 27).

**გვიან** (ქართ.) „კარგა ხნის შემდეგ, დიდი ხნის, ხანგრძლივი დროის შემდეგ“ (ქეგლ II: 1441), **გვიან** „ხანდაზმით“ (ჩუბინაშვილი 1887: 319), **გვიანი** (მეგრ.) „გვიანი“ (ჭარაია 1997: 49), **გუიან** (სვან.) „გვიანი“ (ჩართოლანი 2003: 208) – **გუიან** (ადილ.) „გვიანი“ (შაგიროვი 1977: 114), **ა-გიან** (აბჟ.) „გვიანი, დაგვიანებული“ (შაყრილი 1986: 161), **ა-გვიან** (გენკო 1998: 71); ა. შაგიროვი მიუთითებს, რომ ჩერქეზულში სიტყვას ეტიმოლოგია არ ეძებნება, წარმომავლობაც უცნობია და გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა ქართულ **გვიან**, **გვიანება** ფუძეებს უკავშირდებოდეს (შაგიროვი, იქვე).

**გომი**, **გომური** (ქართ.) „მსხვილფეხა რქოსანი საქონლის საზამთრო სადგომი, – გომური“ (ქეგლ II: 1470), **გუემ** (სვან.) „გომური, მაჩვიბის ქვედა ნაწილი; სარდაფი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 180) – **გან** / **კანგ** (ყაბარდ.) „ბელელი“ (შაგიროვი 1977: 112); სიტყვა გვხვდება ოსურშიც **გონ** / **გომ** სახით (აბაევი 1958: 523-524). ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ სიტყვის პირველწყარო ცნობილი არ არის (შაგიროვი 1977: 112). ბ. ბალყაროვი აანალიზებს სიტყვის სემანტიკის მონაცვლეობას **საქონლის სადგომი** > **ბელელი** > **სახლი** (ქართული **გომური** მისთვის „ქოხია“) და მიიჩნევს, რომ ამ დინამიკას მივეყვართ კავკასიელ მთიელთა ძველი საცხოვრებელი პირობების წარმოდგენამდე. ერთსა და იმავე შენობაში იყო საცხოვრებელიც, საქონლის სადგომიც და ბელელიც (ბალ-

ყაროვი 1965: 41). ა. აბდოკოვი ჩერქეზულ ფორმებს უკავშირებს აფხაზურ ა-კუნა „ფაცერი“ (აბდოკოვი 1973: 45), რომელიც აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული (იხ. ქვემოთ). ვფიქრობთ, რომ სიტყვა ქართულიდანაა გავრცელებული ჩერქეზულ ენებში.

**გრძელი** (ქართ.) „რასაც დიდი სიგრძე აქვს“ (ქეგლ II: 1468), **გინძე / გიძე / გირძე / გენძე / გვრძე** (მეგრ.) „გრძელი“ (ყიფშიძე 1914: 217), **გინძე / გუნძე** (ლაზ.) „გრძელი“ (მარი 1910: 135) – **ჯეძა** (უბიხ.) „გრძელი“ (ფოგტი 1963: 128); ქ. ლომთათიძე ანალიზებს უბიხურ სიტყვას და მიუთითებს, რომ ახლო მონათესავე ენებში მსგავსი ფუძე არ მოგვეპოვება. სიტყვა ქართველურიდანაა ნასესხები უბიხურში. უბიხურ ფორმასთან ყველაზე ახლოს დგას სენაკური **გიძე**, თუმცა არაა გამორიცხული, რომ **რ** უბიხურ ნიადაგზეც დაკარგულიყო (ლომთათიძე 1974: 96).

**გუთანი** (ქართ.) „1. მიწის სახნავი იარაღი საკვეთით, სახნისითა და ფრთით, – სახვნელი“ (ქეგლ II: 1494), **გუთანი** „ერქვანი, სახვნელი“ (ჩუბინაშვილი 1887: 332), **გურთანი** (მეგრ.) „გუთანი“ (ყიფშიძე 1914: 219), **გუთან / გუთან** (სვან.) „გუთანი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 176) – **კუთან** (ყაბარდ.) „გუთანი“, **ა-ჯთან** (აფხ.-აბჟ.), **ა-კუათანა** (აფხ.-ბზ.), **კუათან** (აბაზ.) „id.“ (შაგიროვი 1989: 102); ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ აბჟურული ფორმა ქართულიდანაა შეთვისებული, ბზიფურს და, მასთან ერთად, აბაზურს უკავშირებს თურქულ **kutan**-ს (იქვე, 103). სხვა მოსაზრებით, სიტყვა უკავშირდება ქართულ

საკვეთელ-ს და აფხაზების მიერ ათვისებულია ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობის შედეგად (ზახია-ოქრუაშვილი 2011: 66). ვ. აბაევს მოჰყავს ფორმები კავკასიური ენებიდან: **ქუთან** (ხუნძ.), **ქოთან** (უდ.), **გუთან** (დარგ.), **გუოთა** (ვეინახ.) და საერთოკავკასიურ, გაურკვეველი წარმოშობის სიტყვად მიიჩნევს (აბაევი 1958: 527). სიტყვა ქართველურ ნასესხობად უნდა განვიხილოთ აფხაზურ-აბაზურსა და ყაბარდოულში. აბაზური ენის ტაპანთურ დიალექტში სიტყვა კომპოზიტის ნაწილადაც გვხვდება: **კათანაჰ** „ხვნის ხელმძღვანელი, უფროსი გუთნისდედა“. ქართ. **გუთან**-ი + აფხაზურ-აბაზური (ა)**კათან** + **აჰ** „უფროსი, უხუცესი“ (გვანცელაძე 1997-ა: 172).

**დიდი** (ქართ.) „1. ჩვეულებრივზე მეტი სიდიდით, ზომით; 2. რაოდენობით მეტი, – ბევრი, დიდძალი, მრავალრიცხოვანი; 3. მოზრდილი, უფროსი“ (ქეგელ III: 1166), **დიდი** (მეგრ.) „id.“ (ყიფშიძე 1914: 226), **დიდი** (ლაზ.) „id.“ (მარი 1910: 139) – **დგდჷ** / **დჷდ** (ადილ.) „გამლიერებითი ნაწილაკი“; ჟ. დიუმეზილი არ გამორიცხავს ადილეური ფორმის კავშირს ქართულ **დიდი** ან უბიხურ **დადა** „ბევრი“, „ძალიან“ ფორმებთან (დიუმეზილი 2015: 30). კ. ჭარაია ქართულ **დიდ**-ს უდარებს აფხაზურ **ა-დგუ** „დიდი“ ფორმას (ჭარაია 1912: 22-23).

**დოლო** (მეგრ.) „მდელო, მინდორი“ (ყიფშიძე 1914: 228) – **დუ** (ადილ.) „მინდორი“, **ა-დუ** „მინდორი, ველი“ (ჯანაშია 1954: 100); შეთვისებულია ქართველურიდან (ლომთათიძე



1981-ა: 7). იქნებ აფხაზური ფორმა მოდის არა **დუნია**-საგან, როგორც ქ. ლომთათიძე მიუთითებს, არამედ მეგრული **დოლო**-საგან? მ. ჩუხუას მოჰყავს საერთო ქართველურ-აფხაზური ფორმები: ქართ. **დაბ**-ა, უ-**დაბ**-ნ-ო, უ-**დაბ**-ურ-ი, ზან. (მეგრ.) **დობ**-ერ-ა / **დობ**-ირ-ა „სახნავი მიწა“, ლაზ. **დობა** „მიწა“, სვან. **დაბ** „ყანა“, აფხ. **ა-დგ** „მინდორი“, უბიხ. **დგ** „ველი“ (ჩუხუა 2007: 103). ა. კვახაძეს უბიხური **დგ** ფორმის ჩერქეზულ შესატყვისად მოჰყავს ლოკატიური პრევერბი (რალაცის ზედაპირზე ყოფნა) **და**- (კვახაძე 2014: 24). ვფიქრობთ, აფხაზურ-უბიხური ფორმა ნასესხებია მეტ სიახლოვეს ავლენს ქართველურ მასალასთან.

**ეფშა** (მეგრ.) „სავსე“ (ყიფშიძე 1914: 232), **აოფშა** (ლაზ.) „სავსე“ (ქუთელია 1982: 76) – **ფსაჟ** (ადილ.) „მთელი“, „სავსე“ (კვახაძე 2014: 207); მეგრულ სიტყვას შესაბამისი ფორმები ეძებნება სხვა ქართველურ ენებში: ქართ. **სავსე** : ზან. **ეფშა** / **ოფშა** : სვან. **გუეში** (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 201). ვვარაუდობთ, რომ ჩერქეზულში სიტყვები მეგრულიდანაა შეთვისებული.

**ვანი** (ქართ.) „ძვ. სადგომი, ბინა“ (ქეგლ IV: 17), **ვანი** (ძვ. ქართ.) „სადგომი, სახლი, დაბა, საცხოვრებელი, მონასტერი“ (აბულაძე 1973: 153) – **უენან** (ადილ.), **უენან** (ყაბარდ.), **ლნგ** (აბაზ.) „სახლი, ოჯახი“ (შაყრილი 1971: 147), **ა-ჰნგ** (აფხ.) „სახლი, ოჯახი“ (უსლარი 1887: 126); პ. ჭარაიას აზრით, შესაძლოა, აფხაზურში ქართულიდან იყოს შეთვისებული და ამოსავალი იყოს ქართული **ვანი** (ჭარაია 1912: 21). ქ. ლომ-

თათიძე აფხაზურ **ა-ვნე** ფორმას უკავშირებს ქართულ **სა-ყუდელ**-სა და მეგრულ **სუდე**-ს (ლომთათიძე 1955: 824). თ. გვანცელაძეს იგი საკუთრივ აფხაზურ სიტყვად მიაჩნია (გვანცელაძე 2011: 55). ვფიქრობთ, რომ სიტყვა აფხაზურ-ჩერქეზულში ქართულიდანაა შეთვისებული და ამოსავალი ძველი ქართული **ვან**-ია (ბუკია 2013: 170).

**ვიწრო** (ქართ.) „გარდიგარდმო მცირე ზომისა, მცირე განისა, არაგანიერი“ (ქეგლ IV: 76), **ინწრო** (მეგრ.) „ვიწრო“ (ქაჯაია 2002: 90), **ხუეწ**, **ნახუწი** (სვან.) „ვიწრო“ (თოფურია, ქალდანი 2000: 623) – **მეწუგ** (უბიხ.) „ვიწრო“ (ფოგტი 1963: 147); სიტყვა უბიხურში ქართველურიდანაა შეთვისებული, ბოლო მარცვლისეული **რ** უბიხურშია დაკარგული (ლომთათიძე 1974: 96).

**ზეთი** (ქართ.) „ცხიმოვანი თხევადი ნივთიერება, რომელსაც იღებენ სხვადასხვა მცენარეულ და მინერალურ ნივთიერებათა გადამუშავების გზით“ (ქეგლ IV: 127), **ზეთი** „(სპარ.) ცხიმი მოსავალთა მარცვალთა“ (ჩუბინაშვილი 1887: 519), **ზეთი** (მეგრ.) „ზეთი“ (ყიფშიძე 1914: 236), **ზეთ** (სვან.) „ზეთი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 251) – **ზეთ** (ყაბარდ.) „ზეთი“ (შაგიროვი 1989: 139), **ა-ზეთ** (აფხ.) „ზეთი“ (ჯანაშია 1954: 110); სიტყვა ყაბარდოულსა და აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 48; შაგიროვი, იქვე). მართალია, სიტყვა სპარსული წარმომავლობისად მიიჩნევა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ქართულია. შდრ. ქართ. **ზეთი** : ზან.

**ზანდი** < / **ზანთი** „ბლანტი, წელვადი“ (მ. ჩუხუას ზეპირი მითითება).

**ზენტხ** (სვან.) „შვრია“ (თოფურია, ქალდანი 2000: 254) – **ზანთხ** (ადილ.) „შვრია“ (აეგლ 2010: 433); ადიღეური სიტყვა წარმოდგენილია კავკასიაში გავრცელებულ სხვა ენებშიც: **ზამხა** (ოს.), **ზენტხე** (ბალყ.) „შვრია“ (შაგიროვი 1977: 206). ო. კახაძე სვანურ და ადიღეურ სიტყვებს უკავშირებს ქართულ **ზანდურ**-ს „ხორბლის სახეობა“ (კახაძე 1960: 197). მ. ჩუხუა მიიჩნევს, რომ ადიღეურმა ისესხა სვანური **ხ-** განვი-თარებული სიტყვა (ჩუხუა 2000-2003: 105).

**თემი** (ქართ.) „1. საერთო წეს-ჩვეულებების მქონე ადამიანთა ერთობა საქართველოს მთიანეთში; 2. ადამიანთა ერთობა, ძირითადი სოციალური ჯგუფი წინაისტორიულ ხანაში“ (ქართული ლექსიკონი 2014: 285) – **თამ(ვ)** (ადილ.) „უბანი“, „აულის ნაწილი“ (აეგლ 2014: 10); გ. როგავა მიიჩნევს, რომ ეტიმოლოგიურად უკავშირდება **დამნ** / **თამნ** „მხარი“ ფორმას (როგავა 1956: 4). ნ. იაკოვლევი მიიჩნევს, რომ „უბნის“ აღმნიშვნელი **თამ(ვ)** ადიღეურში ქართულიდანაა ნასესხები (იაკოვლევი 1941: 241).

**თვალი** / **თვალ-მარგალიტი** „ძვირფასი თვალი“ (ქეგლ IV: 412), **თუწლ** (სვან.) „ძვირფასი თვალი“ (საღლიანი 2005: 55) – **თუწლწ** (უბიხ.) „ძვირფასი თვალი“ (შაგიროვი 1989: 139); უბიხურში შეთვისებულია ქართულიდან (შაგიროვი, იქვე).

თილი (მეგრ.) „ცხვარი“ (ყოფშიძე 1914: 243) – **ტგ** (ადილ.) „ცხვარი“, **ტგ** (ყაბარდ.) „ვერძი“, **ტგ** (უბიხ.) „ვერძი“, **ა-თგ** (აფხ.) „ცხვარი“, **თგ** (აბაზ.) „დაკოდლილი ცხვარი“ (აზდოკოვი 1983: 122), **ა-თგლ-** (აფხ.) „ყოჩი“ (ჯანაშია 1954: 130); აფხაზურ ფორმაში ჩანს საერთო აფხაზურ ჩერქეზული **თგ / ტგ** ელემენტი. გ. კლიმოვი მიიჩნევს მეგრულში აფხაზურიდან ნასესხობად (კლიმოვი 1986: 182), მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც: მეგრული **თილი** საერთოქართველური წარმოშობისა ჩანს. მას ქართულში **თიკან-ი**, ხოლო სვანურში **ნელაშდ / ნელეშდ / ნილაშტ** „თიკანი“ შესატყვისება. ქართველურ ფუძეს შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში: შდრ: წეკირ, ბოთლ. წეკირ, ჭარ. წეჭი < წეკირ, ტინდ. წიკარ, ბაგვ. წეკერ, კარატ. წიკერ, ახვახ. ჭეკე, დიდ. ცეკი, ხვარშ. ჩიკი, ბეჟ. ჩიკე, ჰუნზ. ჩიკე „თიკანი“ (ჩუხუა 2000-2003: 263). აფხაზური **ა-თგლ-** მკვლევრის თვალსაზრისით ქართული **თიხლ-ი** „ბატკანი; ცხვარი“ : ზან. (ჭან.) **თიხლი** „ერთი წლის თხა“ : სვან. **დუხ** „ერკემალი, ყოჩი“ შესატყვისია და გამორიცხულია საერთო-ქართველური \***დოხლ-** არქეტიპის თურქული **თოქლუ-**სგან მომდინარეობა (იქვე: 95). **ა-თგლ-** ფორმას აუსლაუტში პალატალიზებული უკანაენისმიერი აქვს, რომელიც ჩვეულებრივ ნასესხებ ფორმებში დაჩნდება და გვევლინება, როგორც ქართველური სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნის რეფლექსი, ამდენად სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (ბუკია 2006: 100). სხვა თვალსაზრისით, აფხაზურ-ჩერქეზული ელემენტი ჩანს ქართველური ძირებში: ქართ. **ბოტი** „მამალი

დაუკოდავი თხა, სანაშენე და ფარის წინამძღოლი“ (ქეგლ I: 1111), მეგრ. **ბეტარი** „ბოტი, მამალი ცხვარი“ (ქაჯაია 2009: 48) და საერთო ქართველურ-ჩერქეზულ ძირად განიხილება (როგავა 1956: 115).

**კანავი** (ქართ.) „1. ერთწლოვანი ბოჭკოვანი მცენარე, აქვს მაღალი ღერო; 2. ამ მცენარის ქერქი, სართავი ბოჭკო“ (ქეგლ IV: 1046), **კიფი / კვფ** (მეგრ.) „კანავი“ (ყიფშიძე 1914: 259), **კაჭრი / კერფი / კეფი** (ლაზ.) „კანავი“ (მარი 1910: 154), **ქან** (სვ.) „კანავი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 777) – **კაფ** (ადილ.) „კანავი“ (კვახაძე 2014: 66). შესაძლოა, ადიღეურში მეგრულიდან იყოს შესული. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ სვანურ **ქან** ფორმას შეიძლება უკავშირდებოდეს ადილ. **ჯანწ / ჯან** „პერანგი“, აფხ. **ა-კუნგ** „კანავი“, ოსური **განწ / განწ** „კანავი“ (აბაევი 1958: 512).

**კანი** (ქართ.) „გარსი, რომელიც შემოკრული აქვს ადამიანის, ცხოველის ორგანიზმს, – ტყავი“ (ქეგლ IV: 1046), **კანი** „თხელი ტყავი პირისა, ფეხისა“ (ჩუბინაშვილი 1887: 592), **კანი** (მეგრ.) „კანი“ (ყიფშიძე 1914: 251), **კანწ / კან** (სვან.) „კანი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 344) – **კანწგჳ** (ადილ.), **ხამწარაწწ** (ყაბარდ.), **კვანწგრა** (აბაზ.) „მეჭეჭი“ (აბდოკოვი 1973: 74), **ა-კან** (აფხ.) „ჭორფლი“ (ჯანაშია 1954: 141), **ა-კაკან** „id.“ (რალ 1964: 78); აფხაზურში შესულია ქართულიდან (მაგიროვი 1989: 146). **ა-კანწგწგრა** „მეჭეჭი“ (ჯანაშია 1954: 141) ჰიბრიდული კომპოზიტია. პირველი ნაწილი ქართულიდანაა შეთვისებული, მეორე ნაწილში პირველი წ

არის ფუძე-წინდებული, მეორე კი – ძირ-სუფიქსი. მთლიანად **ა-წეწრა** რაღაცედან გამოსვლას, რაღაცედან ამოსვლას ნიშნავს (მეჭეჭიც კანის შიგნიდან ამოდის), **-რა** აბსტრაქტულობის სუფიქსია (ავიძბა 2010: 6). ქართულ-აფხაზური ჰიბრიდული კომპოზიტი აფხაზურის მეშვეობით შეთვისებულია აბაზურსა და ჩერქეზულ ენებში.

**კირი** (ქართ.) „კირქვის გამოწვით მიღებული თეთრი ნივთიერება“ (ქეგლ IV: 1223), **კირი** (ძვ. ქართ.) განუმარტავია (აბულაძე 1973: 199), **კირი** „დამწვარი ქვა და დალეწილი ფქვილსავით კედელთ საშენებლად“ (ჩუბინაშვილი 1887: 616), **კირი** (მეგრ.) „კირი“ (ყიფშიძე 1914: 259), **კირი** (ლაზ.) „კირი“ (მარი 1910: 155), **კირ** (სვან.) „კირი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 348) – **კირ** (უბიხ.) „კირი“ (შაგიროვი 1989: 139), **აკგრ** (აფხ.) „კირი“ (ჯანაშია 1954: 162); ქართული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). უბიხურში სიტყვა შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 139).

**კოცნა** (ქართ.) „სიყვარულის, ალერსის, პატივისცემის გამოსახატავად ტუჩებით შეხება, – ამბორი“ (ქეგლ IV: 1355) – **გგმ** (უბიხ.) „კოცნა“, **ა-გგძრა** (აფხ.) „კოცნა“; ქ. ლომთათიძე აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ ქართულში **კოცნა** ძველი ფონდის სიტყვაა, წარმოშობით ინდოევროპულ ენებს უკავშირდება (შდრ. გერმ. **küssen**). აფხაზურ-უბიხურში ქართულიდანაა შეთვისებული (ლომთათიძე 1974: 94).

**კუნო** (მეგრ.) „თევზის საჭერი კალათი“ (ყიფშიძე 1914: 262) – **კჷნგ** (ადილ.), **ჯან** (ყაბარდ.) „კალათი“, „სათავსო“ (აბდოკოვი 1973: 45), **ა-კუნა** (აფხ.) „ფაცერი, გოდორი“ (ჯანაშია 1954: 154). ო. ძიძარია აფხაზური ტერმინის განხილვისას აღნიშნავს, მისი წარმომავლობა გაურკვეველია (ძიძარია 1989: 55). ჩვენი აზრით, სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული. ფონოტაქტიკის წესები ზედმიწევნითაა დაცული: მეგრ. (resp. ქართველური) **კუ** > აფხ. **კჷ**, შდრ. ქართ. **კუბო** > აფხ. **ა-კუბა**, აუსლაუტის ო > ა. შდრ.: ქართ. **გემო** > აფხ. **ა-ჯამა**. ვვარაუდობთ, რომ ჩერქეზულ ენებში იგი აფხაზურის მეშვეობითაა შესული.

**ლაფშა** (ქართ.) „დაკოდელი ცხენი, იაბო“ (ქეგლ IV: 1489), **ლაბშა** / **ლაფშა** / **აბშა** (მეგრ.) „იაბო“ (ყიფშიძე 1914: 269; ელიავა 1997: 202) – **აღაშა** / **აღაშ** (ადილ.), **ღაშა** (უბიხ.) **ლაშა**, (აბაზ.), **ა-ლაშა** (აფხ.) „იაბო, დაკოდელი ცხენი“ (შაყრილი 1968: 77); ამ ფორმათაგან აფხაზურს პ. ჭარაია უკავშირებს მეგრულ **ლაფშა**-ს და საერთო ფუძეს მიიჩნევს თურქულიდან ნასესხებად (ჭარაია 1912:48). თურქულენოვანი სამყაროდან ნასესხებად განიხილავს ამ ლექსემებს აფხაზურ-ჩერქეზულში ა. შაგიროვიც (შაგიროვი 1989:90). სამეცნიერო ლიტერატურაში აფხაზური **ა-ლაშა** მიჩნეულია ყარაჩაულ-ბალყარიზმად (ხაბიჩევი 1980: 42). ჩვენ ვიზიარებთ ნ. ბაღათურიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მეგრული **ლაფშა** არის ამოსავალი რიგ ენებში, მათ შორის აფხაზურ-ჩერქეზულში გავრცელებული ფორმებისა (ბაღათურია 1996: 30-31). ამ თვალსაზრისის მიხედვით, დაკო-

დილი ცხენის სახელდებისათვის ამოსავალია **ლაშის** (ტუჩის, ბაგის) მეგრული, ასევე ქართული ენის დასავლური დიალექტებისათვის (გურული, იმერული, რაჭული) დამახასიათებელი ფონეტიკური ნაცვალი **ლაფში**. -ა აქტიური სიტყვაწარმოებითი სუფიქსია მესაქონლეობის ლექსიკაში (შდრ.: **ნისლ-ა**, **ქურან-ა**...). **ლაფშა** ტუჩა ცხენს ნიშნავს. ნ. ბალათურამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ მეგრულმა ყოფამ შემოინახა ცხენის გახედნის დროს ტუჩის გალახვის წესი: „სამი წლის კვიცს გავხედნიდით... ჩვენ მას გავულახავდით ტუჩს. გალახვას ვეტყვით, ტუჩს რომ თითქმის მათრახის ტარით გავუჩქევავდით... შემდეგ კვიცს გავუშვებდით, მივცემდით თავისუფლებას...“ (ჯავახიშვილი 1986: 186). ეტყობა, **ლაფშას** სწორედ ისეთ ცხენს უწოდებდნენ, რომელსაც გავლილი ჰქონდა ეს პროცედურა. ამას ადასტურებს ის, რომ **ლაფშად** უხმობენ ცხენს ორი, ან სამი წლიდან, თუ ის დაკოდილია ან გახედნილი. შემდგომ **ლაფშა** სხვა ენებშიც გავრცელებულა. შუალედურ გზას თურქულენოვანი სამყარო წარმოადგენს (ბუკია 2013: 93).

**ლაყვა** (მეგრ.) „ლოყა, ყბა“; „ფერდი“ (ქაჯაია 2002: 187) – **ლალა** (უბიხ.) „ყბა“ (კვახაძე 2014: 128), **ლალა** „id.“ (ჯანაშია 2015: 101); უბიხური სიტყვა არ იმეზნება სხვა ჩერქეზულ ენებში. შესაძლოა, უბიხურში მეგრულიდან იყოს შეთვისებული.

**ლებია** (მეგრ.) „წვრილი ლობიო“ (ყიფშიძე 1914: 272), **ლებია** / **ლობიო** (სვან.) „ლობიო“ (თოფურია, ქალდანი



2000: 390) – **ლახგა** (უბიხ.) „ცერცვი“ (ფოგტი 1963: 136), **ა-ჩენჩლაბია** (აფხ.) „წვრილი ლობიო“ (შაყრილი 1987: 421); ქ. ლომთათიძე მიიჩნევს, რომ უბიხურში საკუთრივ მეგრულიდანაა შეთვისებული, რადგან არ გვხვდება აფხაზურში (ლომთათიძე 1974: 95). რეალურად ქართული **ლობიო** : მეგრული **ლებია**-ს ფარდი დასტურდება აფხაზურ კომპოზიტში **ა-ჩენჩლაბია**. აფხაზურში შესულია მეგრულიდან (გვანცელაძე 1997: 58).

**ლოკვა** (ქართ.) „სახელი ლოკავს ზმნის მოქმედებისა; ენის წასმა“ (ქეგლ IV: 1570), **ლოტკუა** (მეგრ.) „ლოკვა“ (ყიფშიძე 1914: 274), **ოლოსკუ / ოლოკუ** (ლაზ.) „ლოკვა“ (მარი 1910: 163); **ლილრკე** (სვან.) „ლოკვა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 307) – **ლაკა** (უბიხ.) „ლოკვა“ (ფოგტი 1963: 136); სიტყვა უბიხურში ნასესხებია ქართულიდან **ო** ხმოვნის **ჭა** კომპლექსად დაშლით და ლაბიალური **ჭ**-ს მიერ **კ** თანხმოვნის გალაბიალებით (ლომთათიძე 1974: 95).

**მაყვალი** (ქართ.) „მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს დაბალი ტანი, სამყურა ფოთოლი, პწკალები, თეთრი ყვავილები და ტკბილი, წვნიანი ნაყოფი“ (ქეგლ V: 101) – **მარაკა** (ადილ.) „მარწყვი“, „მაყვალი“, „თუთა“ (აეგლ 2012: 211), **მარაკაპწ** (ყაბარდ.) „მაყვალი“, **მგკადღლა** (უბიხ.) „მარწყვი“ (ჯანაშია 2015: 102); ქ. ლომთათიძე მიიჩნევს, რომ ჩერქეზულ ენებში ქართველურიდანაა შეთვისებული (ლომთათიძე 1984: 49). ვ. აბაევი ოსურ **მწწკუ / მწწკუ** „წითელი მოცვი“ უდარებს კენკროვანთა კავკასიურ სახელებს ქართ.

მარწყვი, სვან. ბასყ „მარწყვი“, უბიხ. ბეშხუ „ველური ვაზი“, ზაშხ<sup>2</sup> „მოცხარი“, ჩერქ. მარკო „მარწყვი“, ყაბარდ. მერაკო „მარწყვი“, ქართ. მაცვალი, ქართ. (იმერ.) მოცვი, ლაზ. მურღი „მარწყვი“ და მიიჩნევენ, რომ ოსური ფორმა კავკასიურ კენკროვანთა ენდემურ სახელებს უკავშირდება (აბაევი 1973: 79-80).

მაჭირხოლი (მეგრ.) „მერცხალი“ (ციფშიძე 1914: 278) – აწაშხ<sup>2</sup> / აწასხ<sup>2</sup> (ადილ.) „მერცხალი“, აწასხ<sup>2</sup> (ყაბარდ.) „მერცხალი“ (კვახაძე 2014: 93), წერხა / წერხა (უბიხ.) „მერცხალი“ (ფოგტი 1963: 98). მეგრული მაჭირხოლ-ის შესატყვისი ჩანს ქართული მერცხალი. ტ. გუდავა სიტყვის არქეტიპად აღადგენს \*მერწიხალ- ფორმას, ხმაბაძვითია, ასახავს მერცხლის ჭიკჭიკს და ეტიმოლოგიურად „მოჭიკჭიკეს“ ნიშნავს. ქართულის მსგავსი ხმაბაძვითი ჩანს სომხური წიწერნაკ „მერცხალი“ (გუდავა 1964: 143-145). ქ. ლომთათიძემ ყურადღება მიაქცია უბიხურ ფორმას, რომელიც ძალიან ჰგავს მეგრულ მაჭირხოლ-ის ძირეულ მორფემას. ქართულში უნდა გვექონოდა -წირხ- ფუძე. სავარაუდოდ, უბიხურმა შემოგვინახა ქართულიდან შეთვისებული სიტყვის ამოსავალი, სისინა მკვეთრაფრიკატიანი სახეობა (ლომთათიძე 1974: 97).

მახა (ქართ.) „ხორბლის ერთ-ერთი უძველესი სახეობა, გვხვდება მხოლოდ საქართველოში“ (ქეგლ V: 114) – მწშ, / მასგ „ფეტვი“ (აეგლ 2012: 225), ა-მხგ (აფხ.) „ყანა“ (ჯანაშია 1954: 199), მხგ (აზაზ.) „ნათესი, მოსავალი“ (შაგიროვი 1982: 77); გ. როგავა სიტყვის მეორე ნაწილს უკავშირებს აფხაზურ

ა-ჩა-ს „პური“, მწ- ელემენტი კი გაქვევებულ კლასის ნიშნად მიაჩნია (როგავა 1956: 34). ა. აბდოკოვი მოყვანილ ფორმებს უმატებს ყაბარდ. მწმ „ფეტვი“ სიტყვას. ბ. ბალყაროვი ადარებს დარგ. მუჩი „ფეტვი“, ცეზ. ჰინ. მოჩი, ჰუნზ. მაჩე, ბეჟ. მაჩე „მიწის ნაკვეთი“, „ვენახი“, ხვარშ. ბოჩა „ფეტვი“, ჩეჩნ.-ინგ. ბორც „ფეტვი“, ბაცბ. ბორც „ქერი“ (ბალყაროვი 1965: 30). ქ. ლომთათიძე აფხაზურ ფორმასთან დაკავშირებით უთითებს ქართულ ახო-ს და მიიჩნევს, რომ ადიღეური სიტყვა უკავშირდება ქართული ხორბლის ენდემურ ჯიშს მახა-ს (ლომთათიძე 2000: 233). მ. ჩუხუა ადიღ. მწმე, ყაბარდ. მწჩ „ფეტვი“ ფორმებს უკავშირებს ქართულ მაშა „ცერცვი“, ზანურ ფაჩქა (საბა) < \*ბოჩქა „ფეტვი“ ფორმებს და მიიჩნევს, რომ საერთო ქართველურ-ჩერქეზული ძირია (ჩუხუა 2000-2003: 147).

**მდოგვი** (ქართ.) „1. ერთწლიანი მცენარე; 2. ამ მცენარის თესლისაგან დამზადებული ცხარე საწებელი“ (ქეგლ V: 138), **დონგ(ვი)** (მეგრ.) „მდოგვი“ (ყიფშიძე 1914: 228) – **დგჯ / დგჯგ** (ადიღ.) „მწარე“, „მძალე“ (აეგლ 2010: 209); ვ. ბოუდა ადიღეურ ფორმას უკავშირებს ქართველურ **მდოგვი**, **დონგ(ვი)** სიტყვებს (ბოუდა 1950: 293). ძნელია დავეთანხმოთ ა. შაგიროვის მცდელობას, ადიღეური სიტყვა დაეყოს **დწ-** „კაკალი“ და **-ჯწ** სუფიქსი privativum. ანალოგიისთვის მოჰყავს ქართული სინტაგმა **მძალე ნიგოზი** „მწარე ნიგოზი ძმარში, გამოიყენება საწებლად“ (ჩუბინაშვილი 1887: 925), აფხაზური **აკაკან ძალა** „id.“ აფხაზურში **ა-ძალა** „მწარე, მძალე“ მომდინარეობს ქართული **მძალე**-სგან და რამდენადაც შევ-

მელით გაგვერკვია, აფხაზურში მხოლოდ ამ მნიშვნელობით გამოიყენება (შაგიროვი 1977: 156). შევნიშნავთ, რომ ბ. ჯანაშიას „აფხაზურ-ქართულ ლექსიკონში“ ა-ძალა „ძალე“ ცალკე ლექსიკურ ერთეულად აქვს შეტანილი (ჯანაშია 1954: 373); გ. მაჭავარიანის გამოკვლევით, აფხაზურში შესულია ქართულიდან (მაჭავარიანი 1966: 168). ა-კაკან ძალა-ს ორივე ნაწილი ქართულიდანაა ნასესხები.

**მუხტბე** (სვან.) „ძმა ძმისთვის“ (თოფურია, ქალდანი 2000: 582) – **მახლ'წ** (ადილ.), **მალ'ხწ** (ყაბარდ.), **მეხე** (უბიხ.), **მხტე** (აბაზ.) „სიძე“ (შაგიროვი 1982: 64), ა-მაჰ (აფხ.) „სიძე“ (ჯანაშია 1954: 189); ქ. ლომთათიძე მიიჩნევს, რომ აფხაზურში სვანურიდანაა შეთვისებული, რაც შეეხება სემანტიკურ მხარეს, გამორიცხული არ არის შინაარსის თვალსაზრისით მიმართებათა გადანაცვლება (ლომთათიძე 2001: 33).

**ომი** (ქართ.) „შეიარაღებული ბრძოლა სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად“ (ქეგლ VI: 24) – **ჟამი** (ადილ.) „ომი“ (კვახაძე 2014: 183). შესაძლოა, ადიღეურ ენის შაფსულურ დიალექტს ესესხა ქართულიდან.

**პარასკევი** (ქართ.) „შვიდდღიანი კვირის მეხუთე დღის სახელწოდება“ (ქეგლ VI: 126) – **ბარასკაჰე** (ადილ.) „ოთხშაბათი“; **ბარასკაჰე** „პარასკევი“, **ბარეჰე** / **ბარაჰე** (ყაბარდ.) „id.“ (შაგიროვი 1977: 75-76), **ბრასქა** / **ბრასკა** წ (უბიხ.) „ოთხშაბათი“ (ჯანაშია 2015: 93), **ბარასკაჰე** და **ბარასკაჰე**

ფორმებში პირველი ნაწილი **ბარასკვ** ქართული „პარასკევია“, მეორე ნაწილი **ზგი** „მცირეს, პატარას“ ნიშნავს, **შხ°(წ)** კი – „დიდს“. ჩანს, სახელდებისთვის ამოსავალია ოთხშაბათისა და პარასკევის რიტუალური მნიშვნელობა, სახარებისეული სწავლება. **ბაშხ** „პარასკევი“ ეტიმ. „დიდი პარასკევი“ ჯვარცმის მისტიკიასთან ასოცირდება, **ბარასკვზგი** „ოთხშაბათი“, ეტიმოლოგიურად „პატარა პარასკევი“ – საიდუმლო სერობასთან. სიტყვები ჯერ კიდევ მაშინაა შესული ჩერქეზულში, როცა ჩერქეზები ქრისტიანულ რელიგიას აღიარებდნენ. ქართულიდან ნასესხები სიტყვა იძებნება სხვა კავკასიურ ენებშიც: **პარასკა** (ინგ.), **პერასკა** (ჩეჩნ.) „პარასკევი“, **ბარგსჩი / ბარასკვ** (ოს.) „ტრაური, მარხვა“ (შაგიროვი, იქვე).

**რთმევა** (ქართ.) „წართმევა, გამორთმევა“ (ქეგლ VI: 427) – **თენ** (ადილ.) „მიცემა, ჩაბარება“, **ა-თარა** (აფხ.), **ათრა** (აბაზ.), **თა-**, **თუგ** (უბიხ.) „მიცემა“ (შაგიროვი 1977-ა: 85); პ. ჭარაია აფხაზურ-ჩერქეზულ ფორმებს უკავშირებს ქართულ **რთუ-რთმევა**, **მირთმევას** (ჭარაია 1912: 40).

**რქა** (ქართ.) „მაგარი, ბოლოში წაწვეტებული, ძვლოვანი წანაზარდი ზოგი ცხოველის თავზე“ (ქეგლ VI: 468), **ქა** (მეგრ.) „რქა“ (ყიფშიძე 1914: 341), **ნქა / ნქრა / ქრა / აქრა** (ლაზ.) „რქა“ (ქუთელია 2005: 284) – **ბზა-ჯა** (ადილ.) „რქები“, **ჯა** (უბიხ.) „რქა“ (კვახაძე 2014: 141); **ა-ტგლა** (აფხ.), **ტგლა** (აბაზ.) „რქა“ (აბდოკოვი 1973: 42). კითხვა ისმის: იქნებ ჩერქეზული ფორმები ქართველურიდანაა ნასესხები?

**სველი** (ქართ.) „სითხით გაჟღენთილი, სითხე-გამჯდარი, – დამბალი, დასველებული“ (ქეგლ VI: 1003), **შო-ლირი** (მეგრ.) „სველი“ (ქაჯაია2002-ა: 265) – **სუგნ** (ადილ.) „დასველება“ (შაგიროვი 1977-ა: 101); ვ. ბოუდა ადიღეურ ფორმას ქართულ **სველ**-ს უკავშირებს (ბოუდა 1950: 295).

**ტალახი** (ქართ.) „დასველებული, დამბალი, წყალში აზეილილი მიწა“ (ქეგლ VI: 1237), **ლეტა** (მეგრ.) „ტალახი“ (ყიფშიძე 1914: 273) – **მატა** (ადილ.) „თიხა“ (აეგლ 2014: 249), **მატა** (ყაბარდ.) „თიხა“ (შაგიროვი 1977: 170); გ. როგავა ჩერქეზულ ფორმებში გამოყოფს **მა**- ელემენტს, რომელიც გაქვავებული კლას-კატეგორიის ნიშანია და **ტა** ნაწილს უკავშირებს მეგრულ-ლაზურ **ლეტა**-ს (მეგრულში „ტალახი“, ლაზურში „მიწა“ (როგავა 1956: 12). ქ. ლომთათიძე ამ ფორმებთან ერთად განიხილავს აფხაზურ **ა-ლემტ** „ჭუჭყი“ სიტყვას მიიჩნევს, რომ ეს უკანასკნელი მეგრელიზმია (ლომთათიძე 1961: 121). ა. აბდოკოვი **ტა** ელემენტს ადარებს აზაზური **ყატა** „ლაფი“ სიტყვის –**ტა** ნაწილს (აბდოკოვი 1973: 53). შესაძლოა, სემანტიკის გადაწევით იმავე წარმოშობის სიტყვა იყოს უბიხური **მატა** „ოფლი“ (ჯანაშია 2015: 99).

**ურო** (ქართ.) „დიდი ჩაქუჩი“ (ქეგლ VI: 1583), **ურო** (მვ. ქართ.) „დიდი ჩაქუჩი“ (აბულაძე 1973: 430), **ურო** „რკინის ჯვედა“ (საბა 1993: 168), **ურო** (მეგრ.) „ურო – დასაკრავი“ (ჭარაია 1997: 132) – **უგრ** (ყაბარდ.) „ურო“, **ა-უგრა** „ურო“ (ჯანაშია 1954: 269); აფხაზური (აბჟუური) ტერმინი ქართულიდანაა შეთვისებული (ლომთათიძე 1976: 51). გ. როგავა

ყაბარდოულ სიტყვას მიიჩნევს ზმნური წარმოშობისად: **აჭუნ** „დარტყმა“ (როგავა 1956: 109). გ. კლიმოვი ვარაუდობს აფხაზურში ადიღეურიდან შეთვისების შესაძლებლობას, თუმ-ა იქვე ხაზს უსვამს, რომ დასაშვებია ქართველურიდან ნასესხობაც (კლიმოვი 1968: 294). მ. ჩუხუა მიიჩნევს, რომ სიტყვა ქართველური წარმოშობისაა: ზანური **ურო**-ს შესატყვისია ქართ. **ვარია** „სადღვებელი (ხისა)“, მოხ. **ვარიაჲ** „ხის ურო“ (ჩუხუა 2000-2003: 99).

**ფასი** (ქართ.) „ფულადი ღირებულება საქონლისა“ (ქეგლ VII: 37), **ფას** (სვან.) „ფასი“ (საღლიანი 2005: 61) – **ჟას** (ადიღ.) „ფასი, ღირებულება“ (შაგიროვი 1977-ა: 88), **ა-ფსა** (აფხ.) „ფასი“ (ჯანაშია 1954: 276); ქ. ლომთათიძე მიიჩნევს, რომ აფხაზური ფორმა ქართულიდანაა ნასესხები (ლომთათიძე 1976: 245). გ. დეეტერსი ადიღეურ ფორმას აკავშირებს აფხაზურ **ა-ჟასა** „ცხვარი“ ფორმასთან (დეეტერსი 1957: 388). მ. ანდრონიკაშვილი კი მიიჩნევს, რომ ქართული ფორმა მოდის ძვ. აღან. **ჰას** ფორმიდან, რომელიც ქონებას ნიშნავს (ანდრონიკაშვილი 1966: 113).

**ფაფა** (ქართ.) „წყალში გაქნილი ფქვილის (ან მარცვლეულის) დუღილით შესქელებული საჭმელი“ (ქეგლ VII: 42) – **ბაბ** (ადიღ.) **ბაბ** (ყაბარდ.) (კვახაძე 2014: 178). მართალია, სიტყვა სიმბოლური აგებულებისაა და ბავშვთა ენის კუთვნილებაა, მაგრამ ხომ არ არის ჩერქეზული ფორმები ქართულიდან ნასესხები?

**ფაფარი** „კისრის გრძელი ბალანი ცხენისა, ლომისა...“ (ქეგლ VII: 42), **ფაფარი** „ცხენთა ქეჩოს ბალანი“ (ჩუბინა-შვილი 1887: 1298), **ფოფორი** / **ფაფარი** (მეგრ.) „იგივეა, რაც ფაჭაჭი, ფაფარი“ (ჭარაია 1997: 134), **ფაფალ** (სვან.) „ფაფარი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 457) – \***ფერჷ**, \***ზერჷ** (ადილ.), \***ბლჷ** (ყაბარდ.), **ა-ბრა** (აფხ.), **ა-ფრა** (აფხ.), **ბრა** (აბაზ.) „ფაფარი“ (შაგიროვი 1982: 59), **ა-ხჩფაფერ** (აბჟ.) „ფაფარი“ (ბლაჟ-ბა 1964: 219). ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ აბჟურული სიტყვის მეორე ნაწილი **ფაფერ** აფხაზურში ქართულიდანაა ნასესხები (შაგიროვი 1989: 146). ვვარაუდობთ, რომ სხვა ჩერქეზული ფორმებიც ქართულ **ფაფარ**-თან არის დაკავშირებული.

**ფშა** (ქართ.) 1. „მდინარისაგან წყარო, მუნვე ახლო გამოდენილი“ (საბა); 2. მდინარის პატარა შენაკადი“ (ქეგლ VII: 219) – **ფსგ** (ადილ.) „წყალი“, „მდინარე“ (შაგიროვი 1977-ა: 16). ქართულ და ადიღეურ ფორმას აკავშირებს კ. ბოუდა (ბოუდა 1950: 292). კ. ჭარაია მიიჩნევს, რომ ადიღეური სიტყვა ენათესავება აფხ. **ა-ძგ**, აბაზ. **ძგ**, უბიხ. **ბზგ** „წყალი“, „მდინარე“ და პარალელს ავლებს ქართ. **წყალი**, მეგრ. **წყარი**, ლაზ. **წკარი** / **წარი**, სვან. **ლიც** / **ნიც** ლექსემებთან (ჭარაია 1912: 24-25). კ. ჭარაიას მოსაზრება შესადარებელ ფორმებთან დაკავშირებით სადავოა, კ. ბოუდას მოსაზრება კი მისაღებია ჩვენთვის.

**ქავი** (ქართ.) „ციხის გალავანი“ (ქეგლ VII: 240) – **ჩჷუ** (ადილ.) „ღობე“ (კვახაძე 2014: 156); სიტყვის გავრცელების არეალი ძალზე ფართოა, გვხვდება ნახურში, დაღესტნურ



ენებში, ოსურში: ხუნძ. ქაჭუ, ანდ. ქაჭ, ახვახ. ქო, ბეჟ. ქაჭ, ინგ. ქოჭ „ეხო“, ქოანილ „კარი“, ჩეჩნ. ქოუ „კარი“ (აბდოკოვი 1983: 127), ოს. ქაუ (ირ.), ქაუწ (დიგ.) „ფაცხა“, „სახლ-კარი“ (ბალყაროვი 1965: 40). ბ. ბალყაროვი მიიჩნევს, რომ ოსურში ადიღეურიდანაა შეთვისებული (იქვე). ამ უკანასკნელში კი ქართულიდანაა შესული.

**ქატო** (ქართ.) „დაფქული მარცვლის გარსის ნარჩენი, გაცრისას საცერში რომ რჩება, – ანაცერი“ (ქეგლ VII: 271), **გატ** / **გატ** (სვან.) „ქატო“ (თოფურია, ქალდანი 2000: 169) – ჩეთა / ჩეთ (ადიღ.) „ალაო“ (შაგიროვი 1977-ა: 135); ქართული **ქატო**-ს შესატყვისია მეგრული **ქუტია** „მცენარის სახეობა“ (ჩუხუა 2000-2003: 79). ბ. ბალყაროვს მოჰყავს ადიღ. **კეთ**, ყაბარდ. **კეთა**, ლაკ. **კუთ**, არჩ. **ტა**, ხუნძ. **ტეგ** „ალაო“, მათ უკავშირებს ქართულ **ქატო**-ს და მიიჩნევს, რომ ოსური წათა ჩერქეზულიდან არის შეთვისებული (ბალყაროვი 1965: 51). ვ. აბაევი ოსურ წათა „ქატო“ ფორმის განხილვისას უთითებს, რომ ამოსავალი ქართული **ქატო**-ა (აბაევი 1958: 330). უნდა ვივარაუდოთ, რომ ადიღეური ფორმაც ქართულიდანაა შეთვისებული.

**ქაცვი** „ეკლიანი ბუჩქი ფშატისებრთა ოჯახისა, ვიწრო-ფოთლიანი“ (ქეგლ VII: 277), **ქაცვი** „ეკლიანი ხე, ან თვით ეკალი ხისა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1330), **ქუცი** (მეგრ.) „ქაცვი, ეკლიანი ბუჩქი“ (ქაჯაია 2002-ა: 161) – **ქეცე** (უბიხ.) „ეკალი“ (ჯანაშია 2015: 110), **ა-ქუც** „ჯაგი“ (ჯანაშია 1954: 304). სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (მაჭავარიანი 1966: 168).

უბიხურიც მეგრულიდან შესულად მიგვაჩნია; დავძენთ, რომ ეს უკანასკნელი მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს გამსესხებელ ფორმასთან.

**ქომონჯი** (მეგრ.) „ქმარი“ (ციფშიძე 1914: 345), **ქომოჯი** / **ქომოჟი** (ლაზ.) „ქმარი“ (ქუთელია 1982: 89) – **ქაბჟა** (უბიხ.) „ქმარი“, „ადამიანი“ (ფოგტი 1963: 133). უბიხური **ქაბჟა**-ს შესაბამისი ფუძე აფხაზურსა და ჩერქეზულში არ ჩანს. სავარაუდოდ, სიტყვა ნასესხებია. არ არის გამორიცხული მისი მომდინარეობა ზანური **ქომონჯი** / **ქომოჯი** სიტყვიდან, რომელიც, თავის მხრივ, ქართული **ქმარ** ფორმის შესატყვისია. ქ. ლომთათიძე, რომელსაც ეკუთვნის ზანური და უბიხური სიტყვების დაკავშირება, მიიჩნევს, რომ სესხებისას მოხდა შემდეგი ფონეტიკური ცვლილებები: **ო > უა** (**ქო > ქა**); **მო > \*მუა > მა**; **ჯ** შეიძლება გასპირანტებულიყო (ლომთათიძე 1974: 98). ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ზანურში მოგვეპოვება **ჟ**-სპირანტიანი სახეობაც.

**ქსოვა** (ქართ.) „ძაფების ერთმანეთში გარკვეული წესით გაყრით გამოყვანა“ (ქეგლ VII: 367), **საგუსალი** „საქსოვი“, **რშულა** / **შულა** (მეგრ.) „ქსოვა“, **ოშვალუ** / **ოშუ** (ლაზ.) „ქსოვა“, **ლიჯიმ** (სვან.) „ქსოვა“ (ქურდიანი 2007: 424) – **სჰნ** (ადილ.) „ქსოვა“, **სჰნ** (ყაბარდ.) „ქსოვა“ (ქურდიანი, იქვე). სავარაუდოდ, ფორმები ჩერქეზულში ქართველურიდანაა შეთვისებული.

**ღაღანი** (ქართ.) – ფერადი ციმციმი, ფერის ელვარება, ბზინვა, ხასხასი (ნათესისა, ბალახისა...) (ქეგლ VII: 405) – **ღაღან** (ყაზარდ.) „აყვავება“, **ღაღა-** ელემენტი შესიტყვებაში **აწლა ღაღოტუკ** „ხე არის აყვავებული“ (აფხ.), **ყაღარა** (აბაზ.) „აყვავება“. ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ აფხაზურ-აბაზურისთვის ამოსავალი ფორმა ყაზარდოულია (შაგიროვი 1977: 125). არ გამოვრიცხავთ, რომ ქართულიდან იყოს შეთვისებული აფხაზურ-ჩერქეზულში.

**ღეტამა** (მეგრ.) „ტაბიკი“ (ყიფშიძე 1914: 350) – **ყღამა** / **ყტამა** „ტოტი“. გ. როგავა მეგრულ **ღეტამა**-ს ადიღური ფორმიდან მიღებულად მიიჩნევს (როგავა 1956: 4). რეალურად მეგ-რული სიტყვა პოვნირია აფხაზურში: **აღატამა** „ტაბიკი“ (ჯანაშია 1954: 311), **ა-ყატამა** (ზზ.) „id.“ (ბლაჟბა 1964: 224); არსებობს აზრი სიტყვის აფხაზურიდან ნასესხობის შესახებ (კლიმოვი 1986: 182), მაგრამ ა. შაგიროვის დამოწმებით, სიტყვა მეგრულიდანაა შესული აფხაზურში (შაგიროვი 1989: 142).

**ყლუპი** (ქართ.) „ყელში საჭმლის, სასმლის ერთგზის ჩაშვება, ჩაყლაპვა, – ყლუპი“ (ქეგლ VII: 555) – **ყღბ** (ადიღ.) „ყლუპი“ (კვახაძე 2014: 134). ჩერქეზულ ენა-კილოთაგან ფორმა მხოლოდ ჭემგუურშია წარმოდგენილი. შეიძლება დავუშვათ ვარაუდი, რომ სიტყვა ქართულიდანაა შეთვისებული ადიღურში.

**შმაგი** (ქართ.) „მძვინვარე გიჟი“ (ქეგლ VII: 1420) – **სგმაჯჷ** (ადილ.), **სგმაჯ** (ყაბარდ.) „ავადმყოფი“ (შაგროვი 1977-ა: 64); კ. ბოლდა ჩერქეზულ სიტყვებს აკავშირებს ქართულ **შმაგ**-თან (ბოლდა 1950: 295), რომელიც, თავის მხრივ, დიდი ხნის წინ ირანული ენებიდანაა ნასესხები. ა. შაგროვისაგან განსხვავებით, ვვარაუდობთ, რომ სემანტიკის დაკავშირება **გიჟი** ≈ **ავადმყოფი** რთული არ უნდა იყოს. განსახილველია ჩერქეზული ფორმების სიახლოვე აფხაზურ **ა-ჩგმაზარა** „ავადმყოფობა“ სიტყვასთან.

**შხამი** „საწამლავი ნივთიერება, – გესლი“ (ქეგლ VII: 1474), **შხამი** „გესლი გველთა და მძრომთა, ხოლო მოლნიცა არიან გესლოვანნი“ (საბა 1993: 311), **შხამი** (მეგრ.) „შხამი“ (ციფშიძე 1914: 360), **ჩხამი** (ლაზ.) „შხამი“ (მარი 1910: 212), **შხამ** / **შხამ** (სვან.) „შხამი, გესლი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 825) – **სხჷ** (ყაბარდ.) „შხამი“ (კვახაძე 2014: 169), **ა-შჷჷამ** (აფხ.) „შხამი“ (ჯანაშია 1954: 335); კ. ჭარაიას თვალსაზრისით, აფხაზურში ნასესხებია ქართულიდან (ჭარაია 1912: 16). იმავეს ვვარაუდობთ ყაბარდოულთან მიმართებაში. მ. ჩუხუა მიიჩნევს, რომ აფხაზური **ა-შჷჷამ** ქართული შესაბამისი ფუძიდანაა ნასესხები, ხოლო ყაბარდოული **სხჷ** უკავშირდება ძვ. ქართ. **სხამ-ი** / სვან. **ცხამ** „ღვარძლი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 841) ფორმებს.

**ჩადუნა** (ქართ.) „გვიმრის ერთ-ერთი სახეობა“ (ქეგლ VIII: 62) – **ეჩგედ** / **აჩგედ** „გვიმრა“ (კერაშევა 1957: 101). ადილურ ფორმაში **აჩ-** ფუნქციადაკარგული აფიქსია. **ჩგედ** ძირის

მსგავსი **ჩადი** / **ჩადუნა** ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში გვხვდება იმავე მნიშვნელობით (როგავა 1956: 12). ვვარაუდობთ, რომ ძირი ადიღეურში ქართულიდანაა შეთვისებული.

**ჩიქი** (მეგრ.) „მარმუჭი“ (ქაჯაია 2002-ა: 312) – **ჩცა** (ადიღ., ყაბარდ.) „ბუჩქი“ (შაყრილი 1971: 124), **ა-ჩექ** „ბუჩქი, ჩირგვი“ (ჯანაშია 1954: 348); აფხაზურში ნასესხებია მეგრულიდან ფონეტიკური გადაწევის გზით (გვანცელაძე 1997: 57). ა. შაგიროვს მოჰყავს **ჩე** ძირი (შაგიროვი 1977-ა: 129). ჩანს, ეს ლექსიკური ერთეული ჩერქეზულმა ენებმა აფხაზურის მეშვეობით ისესხეს.

**ციკი** (მეგრ.) „შვერილი, სვეტი, წვეტი; საბჯენი; სახურავის შუა ბოძკინტი; კარვის საყრდენი ბოძი“ (ქობალია 2010: 683) – **ა-ცკა** (აფხ.), **სჯჯ** (ადიღ.), **სჯჯ** (ყაბარდ.), **შაკე** (უბიხ.) „მწვერვალი“ (აბდოკოვი 1973: 77). ვვარაუდობთ, რომ სიტყვა მეგრულიდანაა შეთვისებული აფხაზურ-ჩერქეზულ ენობრივ სივრცეში.

**ციმუა** / **ციმცვა** / **ცმცვა** (მეგრ.) „მარწყვი“ (ყიფშიძე 1914: 370) – **ცემფჷ** (ადიღ.) „მარწყვი“ (აეგლ 2014: 370). ქ. ლომთათიძე მიიჩნევს, რომ ადიღეური ფორმა ქართველურიდანაა ნასესხები (ლომთათიძე 1984: 50).

**ცრუ** (ქართ.) „ვინც სიცრუეს ლაპარაკობს, ტყუის, მატყუარა“ (ქეგლ VIII: 662) – **პწე** (ადიღ.) „სიცრუე, ტყუილი“

(მაგიროვი 1977-ა: 51). ადილური ფორმა ენათესავება აფხ. ა-მც, აბაზ. მცგ, უბიხურ მგც „ტყუილი“. პ. ჭარაია მიიჩნევს, რომ აფხაზური ა-მც ქართულ ცრუ-ს უკავშირდება (ჭარაია 1912: 30). ჩვენი ვარაუდით, პ. ჭარაიას მოსაზრება საინტერესოა, თუმცა შეიძლება სადავო იყოს.

**ძანძა** (მეგრ.) „კანაფისა და სელის ქსოვილი“, **ძანძუა** (მეგრ.) „ძენძვა“ (ქაჯაია 2002-ა: 374) – **დგდ / დგდგ** (ადილ.) „სადგისი“. გ. როგავა ფიქრობს, რომ ადილური სიტყვა ზმნური **დგნ** „კერვა“ ფორმიდან მომდინარეობს, უკავშირებს იმავე მნიშვნელობის აფხაზურ ა-ძამ / ა-ძემ სიტყვებს და მიიჩნევს, რომ სვანური **თეტენ** „სადგისი“ ჩერქეზულიდან არის შეთვისებული (როგავა 1956: 129). გ. კლიმოვი აფხაზური ა-ძამ / ა-ძემ „სადგისი“ (ჯანაშია 1954: 374, 378) ფორმის შესატყვისად მიიჩნევს ქართულ **ძეძვ**-ს (კლიმოვი 1971: 229). მ. ჩუხუა კი უკავშირებს ქართ. **ძაძა**, ზან. **ძონძი**, სვან. **ძაძრა** „ტომარა“ ფორმებს (ჩუხუა 2007: 43). ვვარაუდობთ, რომ თუ სესხების საკითხი დადგა, აფხაზურ-ჩერქეზულში პოვნური სიტყვები ქართველურიდან ნასესხებად უნდა განვიხილოთ (ბუკია 2013: 238-239).

**წკა** (ქართ.) „გაუცხვავი ბრინჯი“, **წკა** (მეგრ.) „კურკა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 645) – **კ-წ / წ-წ** (ადილ.), **ჭ-წ / წ-წ** (ყაბარდ.), **ჭგ-მგ** (უბიხ.) „კურკა“ (კვახაძე 2014: 75), **წგკ** (უბიხ.) „კურკა“ (ჯანაშია 2015: 121). სავარაუდოდ, სიტყვა ჩერქეზულში მეგრულიდანაა შეთვისებული. **წ : ჭ** შესატყვისობისთვის საინტერესოა, რომ ლაზურ (ხოფ.) **ჭკემი**

„თესლი“ ფორმას არნ. ჩიქობავა აიგივეებს მეგრულ წვა-სთან (ჩიქობავა 1938: 146).

**ჭინჭრაქა** (ქართ.) „ღობემძვრალა“ (ქეგლ VIII: 1259), **ჭინჭა** (მეგრ.) „ჭინჭრაქა, ღობემძვრალა“ (ციფშიძე 1914: 389), **ჭურჭა** (ლაზ.) „პატარა ჩიტი, ჭინჭრაქა“ (ვანილიში 1964: 95) – **ჭინჭალ** (უბიხ.) „ფრინველის სახეობა“ (ფოგტი 1963: 110). ქ. ლომთათიძე ანალიზებს ქართველურ ფორმებს და ვარაუდობს, რომ რთული ფუძე უნდა იყოს. გურული **ჭინჭალა**-ს გათვალისწინებით ამოსავალ სახეობად \***ჭინჭარაქა**-ა სავარაუდო. სიტყვის პირველი ნაწილი **ჭინჭარ** სიტყვას უნდა შეიცავდეს თვისების მქონებლობის ან მსგავსების გამომხატველ -ა სუფიქსითურთ. ეს \***ჭინჭარა** უნდა დასდებოდა საფუძვლად უბიხურ ფორმას. უმახვილო ბოლოკიდური ა-ს მოკვეცა უბიხურში ბუნებრივია (ლომთათიძე 1974: 97).

**ჭიპი** (ქართ.) „1. მუცლის შუა პატარა ჩაღრმავებული ადგილი, რომელიც რჩება ჭიპლარის მოჭრის შემდეგ“ (ქეგლ VIII: 1261), **ჭიპი** „უპე, მუცლის შუა ჩუბუტო“ (საბა 1993: 403); **ჭაპანი** (მეგრ.) „ჭიპი“ (ციფშიძე 1914: 386), **ჭიპ** (სვან.) „ჭიპი“ (საღლიანი 2005: 34) – **ნებგ-პჭგ-ღგ** (ადილ.) „ჭიპი“ (კვახაძე 2014: 130), **ა-ჭაპან** (აფხ.) „ჭიპი“ (ჯანაშია 1954: 393). აფხაზურში სიტყვის ქართველურიდან სესხებას ადასტურებენ პ. ჭარაია, ა. შაგიროვი (ჭარაია 1912: 13; შაგიროვი 1989: 4). ვფიქრობთ, ადიღური კომპოზიტის **პჭგ** ელემენტი იმავე წარმომავლობისაა. **ნებგ** ფორმისთვის იხ. **ნებზ** (ადილ.) „მუცელი; კუჭი“ (გვ. 36).

**ხალთა** (ქართ.) „ტყავის ტომარა, გულა“ (ქეგლ VIII: 1322), **ხალთა** „გულის ვარშაკარანი“ (საბა 1993: 414), **ხართა** (მეგრ.) „გულა“ (ყიფშიძე 1914: 398), **ხალთა / ხალთ** (სვან.) „ხალთა, გულა“ (თოფურია, ქალდანი 2000: 867) – **ჯათჷ** (უბიხ.) „ხალთა, ტყავის ტომარა“, **წათგ** (აბაზ.) „id.“ (შაგიროვი 1989: 139), **ა-წათრა** (აფხ.) „ხალთა, გულა“ (ჯანაშია 1954: 441), **ა-ჰათა** (აფხ.) „ხალთა“ (ჭარაია 1912: 15); სიტყვა ქართველურიდანაა შეთვისებული აფხაზურ-ჩერქეზულში (ჭარაია 1912: 15; შაგიროვი 1989: 139); აფხაზურში მეგრულიდან სესხებისას ერთ შემთხვევაში მოხდა მეტათეზისი **ხართა** > **ა-წათრა**, მეორე შემთხვევაში სონორი **რ** საერთოდ დაიკარგა, თანაც მოხდა **ხ**-ს პალატალიზაცია. იმავე **ხართა**-სგან მომდინარეობს აფხაზური **ა-ჰათა** (ჯანაშია 1954: 451). ამ შემთხვევაში **ხ** > **ჰ**, რაც ასევე ბუნებრივია ქართველურიდან აფხაზურში შეთვისებულ ფორმებში: **შდრ. კალმახა** > **ა-კალმაჰა** „კალმახი“, **მუხამუზი** (მეგრ.) „დეზი“ > **ა-მაჰმეზ** „დეზი“ (ბუკია 2002-ა: 38). ვფიქრობთ, რომ ქართულ **ხალთა**-ს უკავშირდება ოსური **ხალთას** „ქალამანი“ (აბაევი 1989: 169).

**ხაპი** (ქართ.) „იგივეა, რაც გოგრა“ (ქეგლ VIII: 1336), **ხაპერა** „(დიალ.) გოგრის ერთი სახეობათაგანი“ (ქეგლ VIII: 1336), **ხაპი** (ლაზ.) „ხაპი, გოგრის სახეობა“ (ასათიანი 1974: 109), **ხაპერაში** (ლაზ.) „შავი გოგრა, ხაპერა“ (მარი 1910: 229) – **ჯაბ** (ჭემ.) „გოგრა“, **ყაბ** (აბძ.) „საზამთრო“, **ჯაბ** (ბუქედ.) „გოგრა“



(კვახაძე 2014: 72); შესაძლოა, ადიღეურში ქართულიდან იყოს შესული.

**ხერხი** (ქართ.) „ხის საჭრელი, სახერხი იარაღი“ (ქეგლ VIII: 1427), **ხორხი** „ხერხი“ (მეგრ.) „ხერხი“ (ყიფშიძე 1914: 407), **ხერხი** (ლაზ.) „ხერხი“ (მარი 1910: 231) – **ფხზ** (ჩერქ.) „ხერხი“ (აეგლ 2012: 335). სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ქართული ფორმა ჩერქეზულის სუბსტრატია და წარმოდგენილია შესაბამისი ეტიმოლოგიაც, კერძოდ, შედგება **ფხზ** „შემა“ და **ხე** „ხერხვა“ ელემენტებისაგან (როგავა 1987: 22). ვფიქრობთ, რომ საკითხი რამდენადმე განსხვავებულად დგას. სიტყვა ჯერ კიდევ ძველ ქართულში დასტურდება (აბულაძე 1973: 562). ამ დროისთვის ჩერქეზული ენობრივი გავლენა სალიტერატურო ქართულზე ნაკლებად სავარაუდოა. **ხე**-სთან დაკავშირებული ელემენტი ქართულ მირშიც პოვნიერია. **ხერხი** საკუთრივ ქართულ ფორმად მიგვაჩნია. საგულისხმოა, რომ სიტყვა აფხაზურში ქართველურიდანაა შესული ქართ. **ხერხი** > **ა-ხარხ** ბზიფურში, ხოლო მეგრული **ხორხი** > **ა-ხარხ** აბჟურ დიალექტში (ბუკია 2013: 132). შეიძლება დაიშვას ვარაუდი, რომ ჩერქეზულშიც ქართულიდანაა შესული.

**ხოზო** (ქართ.) „ხორბლის უფხო ჯიშია“ (ქეგლ VIII: 1485); **ხოზო** (მეგრ.) „პატარა კონუსის ფორმის კვერი, გამოიყენებოდა მსხვერპლშეწირვის დროს“ (ჭარაია 1912: 15), **ხოზო** / **ხეზა** (მეგრ.) „ყველის გულიანი კვერი, მთლიანად რძეში ხარშავდნენ“ (ჯავახიშვილი 1986-ა: 207), **ჟუეზა** (ძვ.

ქართ.) „პური, ღვეხელი“ (აბულაძე 1973: 571), **კტეზა** „მრგვალი პური“ (საბა 1993: 446), **ხოხო** (იმერ.) „სხვილ-მარცლიანი უფხო პური“ (ბერიძე 1912: 82) – **ჭაზა** (უბიხ.) „ყველიანი ნამცხვარი“ (ჯანაშია 2015: 126), **ა-ხაჟა** (აფხ.) „კონუსისებური კვერი, რომელსაც სპეციალურად მსხვერპლ-შეწირვისთვის ან ყველიერის თავზე აკეთებდნენ“ (ჯანაშია 1954: 419; კვარჭია 1981: 49). პ. ჭარაია აფხაზურ სიტყვას მიიჩნევს მეგრული **ხოხო**-ს ფონეტიკურ სახეცვლილებად (ჭარაია 1912: 15). მიუხედავად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებისა (კვარჭია 1981: 49), აფხაზური ფორმა უნდა იქნეს მიჩნეული მეგრულიდან ნა-სესხობად (ბუკია 2001: 71); ასევე შეუძლებელია დავე-თანხმოთ ლ. აკაბას, რომელიც ფიქრობს, რომ სარიტუალო კვერის სახელი მომდინარეობს როდოდენდრონის აფხა-ზური სახელწოდებიდან **ა-ხაჟ** (აკაბა 1984: 52).

**ხოხობი** (ქართ.) „ქათამზე მომცრო გარეული ფრინ-ველი“ (ქეგლ VIII: 1502) **კოკობი** (ძვ. ქართ.) განუმარტავია (აბულაძე 1973: 570), **კოკობი** “ფრინველი“ (საბა 1993: 443), **ხოხობი** (მეგრ.) „ხოხობი“, **კოკტეზ** (სვან.) „ხოხობი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 720) – **ა-ჰგჰ** (აფხ.) „მტრედი“ (ჯანაშია 1954: 458); **ა-ბნაჰგჰ** (აფხ.) „ველური მტრედი“ (კასლანძია 2005: 251); სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 192; 2001 33). აფხაზურ ფორმას გ. კლი-მოვი ადარებს ქართულ-მეგრულ ხმაბადვით **ღუღუნ-** / **ღუღინ-**ს (კლიმოვი 1964: 208). ლექსემა გვხვდება კომპო-ზიტის ნაწილადაც: **ა-ჰგჰჟჟ** (აფხ.) „შავი ფერის ველური

ყურძენი“ (მაჭავარიანი 2005: 317). ჩვენი აზრით, ქართულიდან ნასესხებ **ა-ჰგჰ**-ს უნდა უკავშირდებოდეს აბძა-ხურ დიალექტში პოვნიერი კომპოზიტის **ბზგუ-ჰაჰაჰა** „ერთგვარი ჩიტი“ მეორე, ეტიმოლოგიურად დაუზუსტებელი ნაწილი, პირველი **ბზგუ-** „ფრინველს“ ნიშნავს (კვახაძე 2014: 94).

**ხული** (ქართ.) „ძირნაყოფა ბოსტნეული მცენარე“ (ქეგლ VIII: 1524), **ხული** (მეგრ.) „კეჟერა“ (ყიფშიძე 1914: 407) – **ხ<sup>0</sup>გლა** (უბიხ.) „კომბოსტო“ (ჯანაშია 2015: 124), **ა-ხ<sup>0</sup>გლ** (აფხ.) „კეჟერა, კოლრაბი“ (ჯანაშია 1954: 423). უბიხურში ეს სიტყვა დასტურდება კომპოზიტში **ა-ხ<sup>0</sup>გლა-ჟგ** „კომბოსტოსმჭამელი“ და ქართველის მეტსახელია (ფოგტი 1963: 209). ქართული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). სიტყვა აფხაზურსა და უბიხურში მეგრულიდანაა შეთვისებული (ლომთათიძე 1974: 94). **ა-ხ<sup>0</sup>გლაჩაფა** „კეჟერა ფხალი“ (კოპეშვიძე 1980: 133) ჰიბრიდული კომპოზიტია (ბუკია 2008: 105).

**ხუმარა** (ქართ.) „ენამოსწრებული, ოხუნჯი“ (ქეგლ VIII: 1525), **ხუმრობა** „ენამახვილობა მსმენელთა გასამხიარულებლად“ (ქეგლ VIII: 1525), **ხუმრობა** (ძვ. ქართ.) განუმართავია (აბულაძე 1973: 564), **ხუმრობა** „მასხარაობა, სასაცილო საქმე“ (ჩუბინაშვილი 1887: 1759), **ლიხუმარალ** (სვან.) „ხუმრობა“ (საღლიანი 2005: 117) – **ჯ<sup>0</sup>მალა** (უბიხ.) „თამაში, ცეკვა“, **ჯ<sup>0</sup>მარგა** (აბაზ.) „სათამაშო“, **ჯ<sup>0</sup>მარრა** (აბაზ.) „თამაში“ (აბრლ 1967: 405), **ა-ხუმარრა** (აფხ.) „თამაში“ (ჯანაშია 1954:

424); ძველი ნასესხობაა აფხაზურში (ჭარაია 1912: 41). გვხვდება აფხაზური კომპოზიციის ნაწილად: **ა-ყ-ჩ-გ-რ-ხ-უმარრა** „ჯირითობა“ (ჯანაშია 1954: 353). **ა-ჩ-გ-ხ-უმარ** „საჯირითო ცხენი“ (არშვა 1980: 88). აფხაზურის მსგავსად, უბიხური და აზაზური ფორმებიც ქართულიდანაა შეთვი-სებული.

**ჯვარი** (ქართ.) „ქრისტიანული კულტის სიმბოლო“ (ქეგლ VIII: 1580), **ჯუარი** „ესე არს ძელი გარდაქდობილი სა-სიკვდილოთა კაცთა დასამსჭვალავად“ (საბა 1993: 464), **ჯვარი** (მეგრ.) „ჯვარი“ (ციფშიძე 1914: 412); **ჯუზრ / ჯუარ** (სვან.) „ჯვარი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 889) – **ჯორ** (ადილ.), **ჟორ** (ყაბარდ.), **ჯუარ** (აზაზ.) „ჯვარი“ (შაგიროვი 1989: 139), **ა-ჯარ** (აფხ.) „ჯვარი“ (უსლარი 1887: 133); ადილური ფორმის ქართულთან მიმართება პირველად დააფიქსირა ს. ჯანაშიამ (ჯანაშია 2007: 103). ქართული **ჯვარი** გენეტიკურად უკავშირდება მეგრ. **ჯგუნჯგი**, ლაზ. **მზგუჯი** „ბოძალი“ ფორმებს (კლიმოვი 1964: 269). პ. უსლარი მიუთითებს, რომ აფხაზურში სიტყვა ნასესხებია ქართულიდან (იქვე); **ა-ჯარსაზა** „ჯვრის სახე“ (ჯანაშია 1954: 447); კომპოზიტი (ორივე ინგრედიენტი) აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1999: 25). შდრ. **ჯვარსახე** (მეგრ.) „პირჯვარი, პირჯვრის გადასახვა“ (ქობალია 2010: 738); ჩერქეზულ ენებში სიტყვის ქართულიდან სესხებაზე მიუთითებს ა. შაგიროვი (შაგიროვი 1977: 185).

**ჯემილ** (სვ.) „ძმა დისტვის“ (თოფურია, ქალდანი 2000: 890), **ჯიმა** (მეგრ.) „ძმა“ (ყიფშიძე 1914: 413) – **ჯ-გლ** (უბიხ.) „ძმა“ (კვახაძე 2014: 112), **ნაჯგლა** (უბიხ.) „დედის ძმა“ (ჯანაშია 2015: 104). შდრ. ზანური **ჯიმადი** „ბიძა“, ეტიმ. „ძმა დედისა“. სიტყვა ჩერქეზულ ენათაგან მხოლოდ უბიხურში ჩანს. ვვარაუდობთ, რომ სვანურიდანაა შეთვისებული.

## თავი III

### უცხო ენებიდან ნასესხები ლექსიკა

ამ თავში წარმოვადგენთ ლექსიკას, რომელიც ორსავე ენობრივ სისტემაში უცხოურიდანაა შეთვისებული, მაგრამ ხშირ შემთხვევაში კარგად ჩანს სესხების შუალედური რგოლი – ერთ-ერთმა ენობრივმა სისტემამ (ქართველური, აფხაზურ-ჩერქეზული) ისესხა უცხო ენიდან (ძირითადად წარმოდგენილია აღმოსავლური სამყაროდან შეთვისებული სიტყვები) და ფონეტიკურად ადაპტირებული შეითვისა მეორე ენობრივმა სისტემამ.

**აბაზი** (ქართ.) „ოცი კაპიკის ღირებულების ვერცხლის ფული“ (ქეგლ I: 51), **აბაზი** (მეგრ.) „აბაზი“ (ყიფშიძე 1914: 191), **აბაზ** (სვან.) „აბაზი“ (საღლიანი 2005: 51) – **აფასგ** / **აბას** (ადილ.) „20-კაპიკიანი მონეტა“, **აბაზ** (აფხ.), **აფასგ** (აბაზ.) „აბაზი“ (შაგიროვი 1977: 61) . ამოსავალია სპარსული **აბასი** „ოცი დინარის ღირებულების მონეტა“. ნასესხობა გვხვდება სხვა კავკასიურ ენებშიც: ხუნძ. **აბასი**, ასევე ოს. **აბასი**, რუს. **абас**, ნოღ. **აპას** და სხვ. (შაგიროვი, იქვე). ამ სიტყვებში სესხების მიმართულებაზე საუბარი ჭირს.

**აბრაგი** (ქართ.) „1. მეფის მთავრობასთან მებრძოლი მთიელი პარტიზანი. 2. კუთხ. (იმერ.) ყაჩაღი, მძარცველი, ავაზაკი“ (ქეგლ I: 73), **აბრაგი** (იმერ.) „ყაჩაღი“ (ბერიძე 1912: 13), **აბრაგი** (მეგრ.) „ყაჩაღი“ (ყიფშიძე 1914: 191), **აბრეკი** (ლაზ.) „id.“ (მარი 1910: 126), **აბრაგ / აბრეგ / აბრაგ / აბრეგ** (სვან.) „ყაჩაღი, აბრაგი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 105) – **აბრეგ** (ადილ.) „ყაჩაღი“, **აბრანჯ** (ყაბარდ.) „id“, **აბრაგ** (აფხ.) „ყაჩაღი, ავაზაკი, ფირალი“, **აბრაგ**, (აბაზ.) „id“ (აბაევი 1958: 25). სიტყვა ფართოდ არის გავრცელებული სხვა ენებში: ინგუშ. **ებარგ**, ჩეჩნ. **ობურგ**, ხუნძ. **აბურიქ** „ყაჩაღი“, ოსური **აბგრანგ / აბრანგ** „id“. ვ. აბაევი მიიჩნევს, რომ შემოსულია სპარსულიდან და ამოსავალი უნდა იყოს ფალაური \***აპარაკ** < **აპარტაკ** „მარცვა“ (აბაევი 1958: 25). შდრ. ხევს. **აპარაკი** „თავმოძულებული, სიცოცხლეზე ხელაღებული კაცი, რომელიც ვინმეს სიკვდილით დაემუქრება და სახლ-კარს მიატოვებს, – აბრეკი (ჭინჭარაული 2005: 47). რუსული **абрек** „ყაჩაღი“ მიიჩნევა ჩერქეზულიდან ნასესხობად (შაგიროვი 1977: 56).

**აბრეშუმი** (ქართ.) „აბრეშუმის ჭიისგან ამოხვეული ძაფი“ (ქეგლ I: 74), **აბრეშუმი** „ჭიჭნაური“ (საბა 1991: 38), **არეშუმი / აბრეშუმი** (მეგრ.) „აბრეშუმი“ (ყიფშიძე 1914: 190), **იმბრიშუმი** (ლაზ.) „აბრეშუმი“ (ჯიქია 1974: 125) **აბრეშუმ / აბრეშუმ / აბრეშუმი / აბურეშუმი / აბურეშუმი** (სვან.) „id.“ (საღლიანი 2005-ა: 244) – **ბაჭემ** (უბიხ.) „ბამბა“ (შაგიროვი 1989: 139), **ა-ბგრტგენ** (აფხ.) „აბრეშუმი“ (ჯანაშია 1954: 76). **აბ-**

**რეშუმი** ქართულ ლიტერატურაში პირველად გიორგი მთაწმინდელთან გვხვდება XI ს-ში (ჯავახიშვილი 1962: 168). დ. გულია ფიქრობს, რომ ქართულ / ქართველურ და აფხაზურ ფორმებს საერთო ძირი აქვს (გულია 2004: 12). ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ უბიხურში ქართველურის მემკვიდრეობითაა შესული (შაგიროვი 1989: 139). ამოსავალია სპარსული **abrušum**.

**აბურა / აბურა / ამბური** (მეგრ.) „ბოსელი, სამროხე“ (ჭარაია 1997: 35), **აბორა** (ლაზ.) „ცხენის სადგომი“ (ქლენტი 1938: 177) – **ბოუ** (ყაბარდ.) „გადახურული სადგომი ცხენებისა და კამეჩებისათვის“, **აბორ / აბოურა** (აფხ.) „საქონლის სადგომი“, **ბორა** (აბაზ.) „ბოსელი, გომური“, **ბაუ** (ბალყ.) „გომური“ (კვარჭია 1981: 86), **აბორა** (აფხ.) „მსხვილფეხა საქონლის სადგომი“ (არშბა 1980: 15); ქართველურ-აფხაზური სიტყვების მსგავსებას პირველად პ. ჭარაიამ მიაქცია ყურადღება (ჭარაია 1912: 20); მიიჩნევა, რომ სიტყვა სპარსული წარმოშობისაა (კვარჭია 1981: 127). ა. შაგიროვი აყენებს ამ სიტყვის სლავურთან დაკავშირების ჰიპოთეზას (ამოსავლად სლავური მიაჩნია) და ადარებს რუსულ **о́рота** „ეზო“, სლოვ. **ობორ** „ღობე“, ბულგ. **ობორ**, პოლონ. **ობორა** „ბაკი, საქონლის სადგომი“ ფორმებს (შაგიროვი 1989: 8). გ. კლიმოვი მიიჩნევს, რომ აფხაზურში ადიღეურიდანაა შესული (კლიმოვი 1968: 292). სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზისაა მითითებული, რომ ტერმინი მეგრულში აფხაზურიდან არის შეთვისებული (ჭარაია 1912: 20; ბჟანია 1962: 108; კვარჭია 1981: 86), მაგრამ სპარსული ა- ხმოვნით დაწყებული **ამბურ / აბურ**



ვარიანტები და ლაზურში **აბორა**-ს არსებობა ეჭვქვეშ აყენებს მეგრულისათვის სესხების შუალედურ რგოლად აფხაზური ენის მიჩნევას (ბუკია 1999: 136).

**აზანი** (ქართ.) „ლოცვისკენ მოხმობის შემახილი“ (ქდვ) – **აზან** / **აზან** (ადილ.) „მოხმობა ლოცვისკენ“. აღმოსავლურენოვანი სამყაროს კუთვნილი სიტყვა (არაბ. **ადან**, სპარ. **აზან**) შესულია კავკასიის სხვა ენებშიც: აფხ. **აზან**, აბაზ. **აზან**, ბალყ. **აზან**, ნოღ. **აზან** (შაგიროვი 1977: 58). ქართული ფორმა მოჰყავს ა. შაგიროვს (იქვე).

**ათამყა** / **ათმაცა** / **ათმაცა** (მეგრ.) „მწყემსის ჩანთა, აბგა“ (ჭარაია 1997: 33; ელიავა 1997: 12), **ათმოყა** „id.“ (ქაჯაია 2009: 21) – **აღ'თმაჯ** (ადილ.), **ყათმაც** (ყაბარდ.), **აღ'თმაჯ** (უბიხ.), **ართმაც** (აფხ.), **ართმაც** (აბაზ.) „აბგა“ (შაგიროვი 1977: 60). ნა-სესხებია თურქულიდან. შდრ. ყარაჩ. **ართმაც** „ჩანთა“, ნოღ. **ართპალ** „აბგა“. სიტყვა მეგრულს აფხაზურიდან აქვს შეთვისებული. სესხებისას ფორმამ დაკარგა სონორი **რ**-, ფუძის შიგნით მოხდა მეტათეზისი, აუსლაუტში გაიჩინა -ა სუფიქსი, რომელიც მეგრულში ხშირად დაჩნდება უფუნქციოდაც, ამასთანავე შეინარჩუნა აფხაზური ზოგადობის ა-პრეფიქსი (ბუკია 2002: 52), თუმცა ამოსავალ ვარიანტში ა ფუძისეულია, აფხაზურში მოხდა მისი გაიგივება ზოგადობის ა- აფიქსთან.

**ალალი** (ქართ.) „1. მართალი, პატიოსანი, უცოდველი. 2. ღვიძლი, მკვიდრი, საკუთარი“ (ქეგლ I: 264), **ჰალალი** (მგ.

ქართ.) განუმარტავია (აბულაძე 1973: 575), **ალალი** „არაბ. ზედ. სამართლიანი, რჯულიერი“ (ჩუბინაშვილი 1887: 18), **ალალი** / **ჰალალი** (მეგრ.) „id.“ (ციფშიძე 1914: 193, 417), **ალალი** / **ჰალალი** / **ჰელალი** (ლაზ.) „id.“ (ქუთელია 1982: 103); **ალალ** / **ჰალალ** (სვან.) „ალალი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 40) – **ჰალალ** (ადილ., ყაბარდ.), **ა-ჰალალ** (აფხ.) „დაშვებული“, „ნებადართული“ (შაგიროვი 1977-ა: 118). არაბული **ჰალალ** „ნებადართული“, „წმინდა“, „შეუბღალავი“ გვხვდება ოსურშიც: **ხალარ** „სიკეთე“, „მეგობარი“ (აბაევი 1989: 166). ამოსავალია არაბ.-სპარ. **halāl** (შაგიროვი, იქვე). სავარაუდოდ, ქართულისგან დამოუკიდებლად არის შესული აფხაზურში თურქულიდან (გვანცელაძე 2011: 70). შესაბამისად, ჩერქეზულშიც თურქულიდან ნასესხობად უნდა იქნეს მიჩნეული.

**ალმასი** (ქართ.) „[თურქ. **elmas**] 1. ძვირფასი ქვა, – უფერო და გამჭვირვალე, ფრიად მაგარი, იხმარება სამკაულად. 2. ბასრი, მჭრელი“ (ქეგლ I: 279), **ალმასი** „თვალთა პატიოსანი, ადამატიხე“ (საბა 1991: 47), **ალმასი** (მეგრ.) „ალმასი“ (ციფშიძე 1914: 194), **ელმასი** (ლაზ.) „ალმასი“ (მარი 1910: 142); **ალმას** / **ელმას** (სვან.) „ალმასი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 42) – **ელმეზ** (უბიხ.) „ალმასი“ (შაგიროვი 1989: 100), **ა-ლმას** (აფხ.) „ალმასი“ (ჯანაშია 1954: 176), **ალმაზ** (აბაზ.) „ალმასი“ (აბრლ 1967: 69). სიტყვა თურქულიდანაა ნა-სესხები. აფხაზურ-აბაზური ფორმების ანლაუტის ა- გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ქართულის მეშვეობით იყოს შეთვისებული.

**ამლაკი** (ქართ.) „ჭრელი ცხენი“, **ამლაყი** „ჭრელი, ფერადლაქებიანი ცხენი“ (ქეგლ I: 314), **ამლაკი** „ჭრელი ცხენი“ (საბა 1991: 51), **აბლაყ** (ინგილ.) „უფერული ცხენი“ (ლეონიძე 1925: 1), **აბლაკი** / **აბლაკია** (მეგრ.) „ჭრელი ცხენი“ (ჯვ., წალენჯ.), **ამლჳ** (სვან.) „ჭრელი, ჭროლა ცხენი“ (გოგებაშვილი 1999: 22) – **ამლღჳ** / **ამმღღჳ** / **ამლღჳ** / **ამმღღჳ** (ადილ.), **ამლგჳ** (აბაზ.) „გაუხედნავი ცხენი“ (შაგიროვი 1989: 93). სიტყვა თურქულიდან არის ნასესხები ორივე ენობრივ სისტემაში.

**არამი** (ქართ.) „[არაბ. **ჰარამ** „აკრძალული“] „1. რაც არ ეკუთვნის, რაც არ ერგება. 2. ადამიანი, ვისთვისაც რამე არმად მიაჩნიათ“ (ქეგლ I: 541), **არამი** „(არაბ.) არა რჯულიერი, აკრძალული, დაშლილი, შეუნდობელი; მავნებელი“ (ჩუბინაშვილი 1887: 43), **ჰარამი** (მეგრ.) „1. არამი, არაწესიერი. 2. შურიანი, გაუმადლარი“ (ქაჯაია 2002-ა: 631), **ხარამი** (ლაზ.) „არამი“ (ჟღენტი 1938: 215) – **ხარამ** / **ხარამ** (ადილ.) „აკრძალული“, **ჰარამ** (უბიხ.) „აკრძალვა“ (შაგიროვი 1977-ა: 121). **ა-ჰარამ** (აფხ.) „ბოროტი, არაკეთილმოსურნე“ (შაყრილი 1987: 289), **ჰარამ** (აბაზ.) „ძუნწი“ (აბრლ 1967: 411). გარდა ქართველურისა და აფხაზურ-ჩერქეზულისა, არაბული სიტყვა შესულია სხვა კავკასიურ ენებშიც: ჩეჩნ., ინგ. **ხარა** „უწმინდური“, „ცოდვილი“. **ხარამ** / **ხარან** სახით გვხვდება ოსურშიც (აბაევი 1989: 175).

**არაქათი** (ქართ.) „[არაბ. **ჰარაქათ** „მოდრაობა“] ძალღონე, ქანცი“ (ქეგლ I: 549) – **ჰარეჩათ** / **ჰარე** ქათ (ყაბარდ.)

„საზრიანობა, მოხერხება, სიმარჯვე“, **ჰარაკ-ათ** (აბაზ.) „საზრიანობა“ (შაგიროვი 1977-ა:121); მომდინარეობს არაბული **ჰარაქათ** „მომრაობა, მოქმედება“. ორივე ენობრივ სისტემაში ნასესხებია. სესხების მიმართულების დადგენა რთულია.

**არაყი** (ქართ.) „მაგარი ალკოჰოლური სასმელი“ (ქეგლ I: 590), **ჰარაყ** / **არაყ** / **არაყ** (სვან.) „არაყი“ (საღლიანი 2005: 67) – **არყა** (ადილ.) „არაყი“, **არყ** (ყაზარდ.) „არაყი“, **არყა** (აბაზ.) „არაყი“ (შაგიროვი 1977: 63); სიტყვა ორივე ენობრივ სისტემაში ნასესხებია – **არაყ** (არაბ.) „არაყი“. წარმოდგენილია კავკასიაში გავრცელებულ სხვა ენებშიც. საინტერესოა, რომ აფხაზურში არყის აღმნიშვნელი სიტყვა რუსული **водка**-დანაა შეთვისებული: **ა-უატკა** „არაყი“.

**არშინი** (ქართ.) „[რუს. аршин] რუსული ზომის ერთეული“ (ქეგლ I: 581), **არშინი** „ადლი, გოჯისა“ (ჩუბინაშვილი 1887: 16, 47) – **არშენ** (ადილ.), **აშენ** (უბიხ.), **არშენ** (აბაზ.) (შაგიროვი 1989: 116), **ა-რშენ** „არშინი“ (ჯანაშია 1954: 243). ორივე ენაში შესულია რუსულიდან. სესხების შუალედური რგო-ლის გარკვევა ჭირს. ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ ადიღეური **არშენ** რუსიზმია, ზოგადად კი თურქულიდანაა შესული (შაგიროვი, იქვე). შდრ. **Arşin** „არშინი“ (მაგაზანიკი 1945: 39).

**არჯალი** (ჯავახ.) „ბედისწერა, ხვედრი“ (მარტიროსოვი 1984: 223) – **აჟაღ** / **აჯაღ** (ადილ.) „სიკვდილი“, „სიკვდილის დრო“. სიტყვა არაბულიდანაა ნასესხები: **აჯალ** „ვადა“,

„ზღვარი“, „სიკვდილის დრო“. წარმოდგენილია კავკასიაში გავრცელებულ სხვა ენებშიც: აფხ. ა-ჯალ, აბაზ. აჯალ, ლეზგ. აჟალ, ხუნძ. ჭაჟალ, ოს. აძალ, ბალყ. აჯალ... „სიკვდილი“, „ბედისწერა“ (შაგიროვი 1977: 58).

**აფერუმ!** (ქართ.) „[სპარ. აჭარინ] „მოწონების შემახილი ყოჩაღ! ბარაქალა!“ (ქეგლ I: 698), აფერიმ „(სპარ.) შორისდ. ვაშა! ვაშა! ბარაქალა“ (ჩუბინაშვილი 1887: 57) – აჭერემ (ადიღ.), ა-ჭერემ! (აფხ.) „შორისდ. აფერუმ! ყოჩაღ! ბარაქალა!“ (შაგიროვი 1989: 123); აჭადრემ (აბაზ.) „ყოჩაღ!“ (აბრლ 1967: 93). სავარაუდოდ, ქართულში სპარსულიდანაა შეთვისებული. ამოსავალ ფორმასთან ყველაზე მეტ სიახლოვეს აბაზური ფორმა ამჟღავნებს.

**ბადრიჯანი** (ქართ.) „ერთწლოვანი ფართოფოთლე-ბიანი ბოსტნეული მცენარე“ (ქეგლ I: 946), ბადრიჯანი „(სპარ.) მცენარე“ (ჩუბინაშვილი 1887: 91), პატრიჯანი (მეგრ.) „ბადრიჯანი“ (ჭარაია 1997: 112), მტკუი ფატიჯანი (ლაზ.) „პომიდორი“ (მაცაშვილი 1991: 144), გვალი პატრიჯანი (გურ.) „პომიდორი“ (იმნაიშვილი 2006: 325), პატრაჯ / პატრაჯან / პატრიჯან / პატრიჯან (სვან.) „პომიდორი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 680) – პატრაჯან (ყაბარდ.) „პომიდორი“ (შაგიროვი 1989: 97), ა-პატერჯან (აბჟ.) „ბადრიჯანი“ (ბზ.) „პომიდორი“ (ჯანაშია 1954: 219), ა-ტაბერჯან (ბზ.) (შაყრილი 1987: 131), პატრაჯან (აბაზ.) „პომიდორი“ (აბრლ 1967: 313); სიტყვა მეგრულიდანაა შესული აფხაზურში (მაჭავარიანი 2006: 102). სიტყვა გვხვდება აფხაზურ კომპოზიტში ა-

**პატერჯანლაჰა** „ლედვის სახეობა“ (კასლანძია 2005-ა: 46). შეთვისებულია თურქული **patlican** „ბადრიჯანი“ (მაგაზანიკი 1945: 483) ფორმიდან. სემანტიკის მიხედვით აფხაზურ-ყაზარდოული მნიშვნელობა გურულს, სვანურსა და ლაზურს უახლოვდება.

**ბაზარი** (ქართ.) „[სპარ. **ბაზარ**] „სურსათ-სანოვაგისა და ფართო მოხმარების საგნებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილი“ (ქეგლ I: 949), **ბაზარი** „(სპარ.) საფარდულო, სავაჭრო ადგილი“ (ჩუბინაშვილი 1887: 92), **ბაზარი** (მეგრ.) „ბაზარი“ (ქაჯაია 2001: 212), **ბაზარი** (ლაზ.) „id.“ (ქუთელია 1982: 39), **ბაზარ** (სვან.) „id.“ (საღლიანი 2005: 53) – **ბაძარ** / **ბაზარ** (ადილ.), **ბაზარ** (აბაზ.) (შაგიროვი 1989: 117), **ა-ბაზარ** „ბაზარი“ (ჯანაშია 1954: 62). სპარსული წარმოშობის სიტყვა ფართოდაა გავრცელებული როგორც კავკასურ ენებში, ასევე წინა აზიაში, თურქულში, რუსულსა და ცალკეულ ევროპულ ენებში (აბაევი 1958: 242). შდრ. თურქ. **pazar** „საქონელი, სავაჭრო“ (მაგაზანიკი 1945: 484). სესხების შუალედურ რგოლზე საუბარი ძნელია.

**ბაირალი** (ქართ.) „იგივეა, რაც დროშა“ (ქეგლ I: 953), **ბავრაკი** / **ბაირალი** „(თათრ.) ბაირალი“ (ჩუბინაშვილი 1887: 92), **ბავრაცი** (მთიულ.) „ხატის დროშა“ (ღლონტი 1984: 55), **ბოვრაცი** (თუშ.) „დროშა“ (იქვე: 88), **ბერალი** (მეგრ.) „ბაირალი, დროშა“ (ჭარაია 1997: 40), **ბერეცი** (მეგრ.) „id.“ (ქაჯაია 2009: 47), **ბარდალი** (ლაზ.) „ბაირალი“ (ჯიქია 1974: 127), **ბაირაღ** / **ბაირაზ** (სვან.) „ბაირალი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 145) –

**ბზრაც** / **ბგრაც** (ადილ.) „დროშა“, **ა-ბირაც** / **ა-ბგრაც** (აფხ.) „დროშა“ (რალ 1964: 237, 603); **ა-ზაძრაც** / **ა-ბგძრაც** (აფხ.) „id.“ (გენკო 1998: 48), **ზარაც** (აბაზ.) „ბაირალი“ (აბრლ 1967: 113); ამოსავალია თურქული **bayrak** „დროშა“ (მაგაზანიკი 1945: 66). თ. გვანცელაძის თვალსაზრისით, აფხაზურში შესულია ყარაჩაულ-ბალყარულიდან (გვანცელაძე 2011: 363). ვფიქრობთ, რომ აფხაზური (შესაბამისად, ჩერქეზული) ფორმებისთვის დასაშვებია, სესხების შუალედური რგოლი მეგრული **ბერალი** / **ბერეცი** ვარიანტი ყოფილიყო.

**ბამბა** (ქართ.) „[სპარ. **panbah**] ტექნიკურ კულტურაში ფართოდ გავრცელებული ერთწლოვანი მცენარე. 2. ამავე მცენარის ნაყოფში გამოხვეული თეთრი ბოჭკო“ (ქეგლ I: 964), **ბამბა** „(სპარ.) ბამბაკი, მცენარე, გამომღები სასთველის ნაძენძისა“ (ჩუბინაშვილი 1887: 95), **ბამბა** / **ბანზა** (საბა 1991: 93), **ბამბე** (მეგრ.) „ბამბა“ (ყიფშიძე 1914: 200), **ბამბუ** (ლაზ.) „ბამბა“ (შენგელია 2006: 332), **ბამბა** / **ბანზა** (სვან.) „ბამბა“ (საღლიანი 2005: 68) – **ბაზა** (უბიხ.) „ბამბა“, **ბამბი** (აბაზ.) „ბამბა“ (შაგიროვი 1989: 139), **ა-ბამბა** „ბამბა“ (ჯანაშია 1954: 63); **ა-ბგმბა** (კასლანძია 2005: 256), **ბამბი** (აბაზ.) „ბამბა“ (აბრლ 1967: 113); ქართული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). აფხაზური სიტყვა ნასესხებია ქართულიდან (გვანცელაძე 1997-ა: 206). ქართულიდანვე ნასესხებად მოიაზრება უბიხური და აბაზური ფორმები (შაგიროვი 1989: 139).

**ბაღჩა** (ქართ.) „[სპარ. **bahçe** „ბაღი“] პატარა ბაღი, სადაც მეტწილად ყვავილებს რგავენ, ზოგჯერ კი ბოსტნეულსაც თესავენ“ (ქეგლ I; 1000), **ბაღჩა** „(სპარ.) სამოთხე, წალკოტი, ხილნარი, მტილი ხეხილთა“ (ჩუბინაშვილი 1887: 99), **ბახჩა** (გურ.) „ბაღჩა, ბოსტანი“ (იმნაიშვილი 2006: 321), მეგრ. **ბაღჩა** „ბაღი“ (ციფშიძე 1914: 201) – **ბაჰჩა** (უბიხ.) „ბაღი“ (შაგიროვი 1989: 96), **ა-ბაჰჩა** (აფხ.) „ბაღი, საბაღნარო, წალკოტი“ (ჯანაშია 1954: 64), **ა-ბახჩა** (აფხ.) „ბაღი“ (ბუჩია 1962: 30); სიტყვა სპარსულიდანაა ნასესხები; პ. ჭარაია მიიჩნევს, რომ აფხაზურში ქართულის მეშვეობითაა შეთვისებული (ჭარაია 1912: 11). რადგან სიტყვა არ გვხვდება ადიღეურსა და ყაბარდოულში; მივიჩნევთ, რომ უბიხურშიც ქართულის გზითაა შესული.

**ბაშლაყი** (ქართ.) „[თურქ.**başlık**] იგივეა, რაც ყაბალახი“ (ქეგლ I: 1002), **ბაშლაყი** (მეგრ.) „ყაბალახი“ (ციფშიძე 1914: 202), **ბაშლუ / ბაშლული** „ყაბალახი“ (ასათიანი 1974: 29) – **ბაშლ'ყყ** (ადიღ.) „ყაბალახი“, **ბაშლ'ყყ** (ყაბარდ.) „ყაბალახი“, **ბაშლ'გვ** (უბიხ.) „ყაბალახი“, **ბაშლ'გყ** (აზაზ.) „ყაბალახი“ (შაგიროვი 1977: 70); სიტყვა თურქულიდანაა ნასესხები ქართველურსა და ჩერქეზულში.

**ბევრი** (ქართ.) „დიდი რაოდენობა, მრავალი“ (ქეგლ I: 1023), **ბრელი** (მეგრ.) „ბევრი“ (ციფშიძე 1914: 207) – **ბჷ** (ადიღ.) „ბევრი“, **ბჷრჷ** „ბევრჯერ“; ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ სიტყვა შესაძლოა ირანულიდან იყოს ნასესხები და პარალელურად მიუთითებს ქართულ ფორმას (შაგიროვი 1977: 70).



**ბინა** (ქართ.) „საცხოვრებელი ცალკე სადგომი“ (ქეგლ I: 1059), **ბინა** (სვან.) „ბინა, სადგომი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 153) – **ბჰნ** / **ბჰნგ** (ადილ.) „საფლავი“, **ბენგ** (უზბიხ.) „საფლავი“ (შაგიროვი 1977: 75); შესაძლოა მომდინარეობდეს არაბული **ბინა**-დან, რომელიც თურქულში **bina** „შენობა“ სახითაა წარმოდგენილი. იგივე სიტყვა გვხვდება ხუნძურში: **მინა** „შენობა“, „ნაგებობა“. ადიღეურში შესაძლოა მეტათეზისი მომხდარიყო.

**ბოლაზი** (ქართ.) „[თურქ. **ბოლაზ** „ყელი“, „სრუტე“] „ნავსადგური“ (ქეგლ I: 1113), **ბოლაზი** (გურ.) „ტივების მისადგომი, ნავსადგური“ (ღლონტი 1984: 83), **ბოლაზი** (მეგრ.) „უბე, ყურე“ (ქაჯაია 2009: 52), **ბოლაზი** (ლაზ.) „სრუტე (თანდილავა 2013: 66) – **ბჰლჰზ** (შაფს.) „პორტი“ (კვახაძე 2014: 239), **ა-ბაღაზა** (აფხ.) „პორტი“ (რალ 1964: 66); ქართველური და აფხაზურ-ჩერქეზული ფორმებისთვის ამოსავალია თურქული **boğaz** „სრუტე, არხი“ (მაგაზანიცი 1945: 82). სესხების შუალედურ რგოლზე საუბარი ძნელია. სიტყვა შედარებით ახალ ნასესხობას ჰგავს, შესაძლებელია, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შესულიყო ქართველურსა და აფხაზურ-ჩერქეზულში. ვერ გავიზიარებთ ა. კვახაძის მიერ შემოთავაზებულ **ბჰ-ლჰზ** ფორმის სეგმენტაციას **ლჰზ** ელემენტის ღუზის აღმნიშვნელ **ღგრზ** ფორმასთან დასაკავშირებლად (იქვე).

**ბრინჯი** (ქართ.) „პურეული მცენარე, მოჰყავთ ტენიან ადგილებში“ (ქეგლ I: 1133), **ბრინჯი** „აკაკის ხე“ (აბულაძე 1973: 35), „მარცვალ მცირე“ (საბა 1991: 114), **ბრინჯი** (მეგრ.) „id.“ (ყიფშიძე 1914: 207), **ბრინჯი / ბრინძი** (ლაზ.) „ბრინჯი“ (მარი 1910: 131), **ბრინჯ** (სვან.) „ბრინჯი“ (საღლიანი 2005: 14) – **ფრუნჟ / ფრგნჟ** (ადილ.), **ფრუნჯ** (ყაბარდ.) „ბრინჯი“ (შაგიროვი 1977-ა: 13), **ა-ბრინჯ / ა-ფრინჯ / ა-ფრგნჯ** „ბრინჯი“ (ჯანაშია 1954: 74), **ფრუნჯ** (აბაზ.) „ბრინჯი“ (აბრლ 1967: 305); ქართული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 107), **ა-ფრინჯ / ა-ფრგნჯ** ფორმებს კი თურქულის გავლენის კვალი ეტყობა (გვანცელაძე 1997: 206). ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ აფხაზურში ფორმა უშუალოდ ქართულიდან ან მეგრულიდანაა შესული, აბაზურში კი – ყაბარდოულიდან (შაგიროვი 1977-ა: 13). ე. ლომთათიძე მიიჩნევს, რომ აფხაზურისთვის უცხო მახვილიანი ი-ს არსებობა უნდა აიხსნას იმითი, რომ ეს სიტყვა ზეპირი გზითაა შესული (ლომთათიძე 1976: 60).

**ბულა** (ქართ.) „დაუკოდავი ხარი (კამეჩი), რომელსაც ინახავენ სანაშენედ, კურო“ (ქეგლ I: 1193), **ბულა** (ქართლ., კახ.) დაუკოდავი ხარი, რომელსაც ინახავენ საქონლის მოსაშენებლად” (ლეონიძე 1925: 110), **ბულა** (მეგრ.) „კურო“ (ელიავა 1997: 37), **ბულჟა** (სვან.) „ბულა, კურო“ (თოფური, ქაღლიანი 2000: 158) – **ბგღ** (ადილ.), **ბგღ** (უბიხ.), **ა-ბგღ** (აფხ.) „ბულა“ (შაგიროვი 1989: 91); სიტყვა თურქულ-მონღოლურიდანაა შესული მთელ კავკასიურ ენობრივ სივრცეში

(და არამარტო აქ), შდრ. ოსური **ბოდ** / **ბოდა**, თურქ. (ანატ.) **ბულა**, აზერ. **ბულა**, ყუმ. **ბოლა**, ალთ. **ბუკა**, მონღ. **ბუკა**; აქვე განიხილება რუს. **бугай**, უკრ. **ბუგაი**, რუს. **бух**. კავკასიურ ნიადაგზე; ქართ. **ბულა**, ხუნძ., ლაკ., დარგ. **ბულა**, ინგ. **ბულა**, უზბ. **ბულუ** (აბაევი 1958: 264). კავკასიურენოვან სივრცეში თურქული **buğa** ფორმიდან უნდა მომდინარეობდეს.

**ბული** (ქართ.) „ჰაერის მონისლული ვარვარი, ძალიან დიდი სიციხით გამოწვეული, ალმური (ქეგლ I: 1192) – **ბახზ** / **ფახ** (ადილ.) „ორთქლი“ (შაგიროვი 1977: 69). სიტყვებს ვერ დავაშორებთ არაბულ **ბუქარ** „ორთქლი“, თურქ. **buhar** „id.“ ფორმებს. აქვე განიხილება ლეზგ. **ბულ** „ორთქლი“ (შაგიროვი, იქვე). ა. აბდოკოვი მიიჩნევს, რომ ადიღეური **ბახზ** / **ფახ** ძირეული სიტყვაა და ენათესავება აბაზურ ფორმას **ბაჯ** „მშრალი“ (აბდოკოვი 1973: 40).

**გირვანქა** (ქართ.) „წონის ერთეული“ (ქეგლ II: 1456), **გირვანქა** „(თათრ.) წონა 96 მისხალი“ (ჩუბინაშვილი 1887: 322) – **ჯგრონჩჷ** (ყაზარდ.), **გგრუანქა** (აბაზ.) „გირვანქა“ (შაგიროვი 1989: 139), **ა-გგრუანქა** (აფხ.) „გირვანქა“ (შაყრილი 1986: 145); გვხვდება ოსურშიც **ჯირანქა** / **გირანქა** სახით (აბაევი 1958: 519). სიტყვა აფხაზურ-აბაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 60). ყაზარდოულში ნასესხებია ქართულიდან ან ოსურიდან (შაგიროვი 1977: 446). მოგვიანებით ა. შაგიროვი აღნიშნავს, რომ ყაზარდოული ფორმაც ქართულიდანაა ნასესხები (შაგიროვი 1989: 139).

**დავა** (ქართ.) „1. კამათი, პაექრობა; 2. საჩივარი“ (ქეგლ III: 296), **დავა** (მეგრ.) „დავა“ (ქაჯაია 2001: 426) – **დაო** (ადილ.) „პრეტენზია, კამათი“ (ადრლ 1975: 55), **ა-დაურა** (აფხ. აბჟ.) „კამათი“ (კასლანძია 2005: 335); მასალა მოგვაწოდა მ. სალლიანმა. ამ ფორმებში სესხების მიმართულებაზე მსჯელობა ჭირს, თუმცა ფაქტია, რომ ამოსავალი უნდა იყოს თურქ. **dâva** „პრეტენზია, სარჩელი“ (მაგაზანიკი 1945: 132).

**დავთარი** (ქართ.) „დიდი ზომის რვეული, ჟურნალი, წიგნი შემოსავალ-გასავლისა თუ სხვა ხასიათის ანგარიშის შესატანად ან სხვა საჭირო ცნობების ჩასაწერად“ (ქეგლ III: 300) – **დაჭთარ** (ადილ.) „წიგნი, მატთანე“; სიტყვა უკვე XIII საუკუნიდან ჩანს ქართულ წყაროებში. ძნელი სათქმელია, ქართულიდან შევიდა ადილეურში, თუ დამოუკიდებლად დაიმკვიდრა (მასალა მოგვაწოდა მ. სალლიანმა). შდრ. თურქ. **defter** „რვეული, წიგნი“ (მაგაზანიკი 1945: 134).

**დალალი** „1. შუამავალი, შუაკაცი ვაჭრობაში. 2. ფეხზე მოვაჭრე“ (ქეგლ III: 482), **თელლალ** (ლაზ. < არ.–თ. **dellâl**) „დალალი“ (ჯიქია 1974: 127) – **დალალ** (ყაზარდ.) „მაჭანკალი“ (შაგიროვი 1989: 126).

**დამლა** (ქართ.) „[თურქ.-სპარ. **დამლა**] შანთით, გაცხელებული რკინით დაკრული ნიშანი მსხვილფეხა საქონელზე (ქეგლ III: 556), **დამლა** (კახ., ქართლ.) „დალი“ (ლეონიძე 1925: 18), **ტამურლა** (ლაზ.) „დამლა“ (ჟდენტე 1938: 207) – **თამელა** (ადილ.), **დამელა** (ყაზარდ.), **დამელა** (აბაზ.) „დამლა“

(შაყრილი 1968: 68) **ა-დამგლ / ა-დამგლა** (აფხ.) „id.“ (ჯანაშია 1954: 92, კვარჭია 1981: 60), **ტამლა** (უბიხ.) „id.“ (კვარჭია 1981: 95), **ა-დამგლანწარა** „დადაღვა“ (არშბა 1980: 20); სიტყვა თურქულიდან დამოუკიდებლადაა შესული, ერთი მხრივ, ქართულსა და, მეორე მხრივ, აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში, **ა-ჯარდამგლ** „ჯვრის ფორმის დამლა“ (კვარჭია 1981: 43) კი ჰიბრიდული კომპოზიტია (ბუკია 1999: 143).

**დასტა** (ქართ.) „1. საწერი ქალღმრთის საზომი ერთეული; საერთოდ, კონა, შეკვრა. 2. აღმოსავლური მუსიკალური საკრავების დამკვრელთა მცირე დასი, ანსამბლი. 3. ძვ. ჯგუფი, გუნდი, დასი, კრებული, რაზმი“ (ქეგლ III: 733) – **დესტ(ა)** (ადილ.) „დასტა, შეკვრა“, **დესტა** (ყაზარდ.) „კოლოფი ასანთისა“, **დესტა** (აბაზ.) „პაკეტი, შეკვრა, დასტა“ (შაგიროვი 1989: 126). შდრ. თურქ (< სპარ.) **deste** „შეკვრა, ასხმულა“ (მაგაზანიკი 1945: 140).

**დევი** (ქართ.) „[არაბ.-სპარ. **დევ**] მავნე ზღაპრული არსება“ (ქეგლ III: 1126), **დევი** (ძვ. ქართ.) „ეშმაკი, „ვეშაპი“, ბოროტი, „გუელი“ (აბულაძე 1973: 139), **დემი / ნდემი** (მეგრ.) „დევი“ (ყიფშიძე 1914: 224), **დივი** (ლაზ.) „დევი“ (ქუთელია 1982: 47), **დჷჷ / დჷჷ / დჷჷ** (სვან.) „დევი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 190) – **დევ** (უბიხ.) „დევი“ (შაგიროვი 1989: 78), **ა-დაჷ / ა-დაჷგ** (აფხ.) „დევი“ (ჯანაშია 1954: 93); მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა ქართულში, უბიხურსა და აფხაზურში აღმოსავლურენოვანი სამყაროდან არის შეთვისებული, აფხაზურ-უბიხურში ქართულის მემკვიდრეობითაა შესული. გამ-

სესხებელ ენაში (აფხაზურისთვის მხოლოდ თურქული თუ შეიძლება იყოს) ის **დივ** ფორმითაა წარმოდგენილი, აფხაზური კი ქართული **დევ**-ის ტრანსფორმაციითაა მიღებული (ბუკია 2013: 53).

**დინჯი** (ქართ.) „დარბაისელი, დაფიქრებული, მშვიდი, წყნარი“ (ქეგლ III: 1188), **დინჯი** „მშვიდი, წყნარი“ (ჩუბინაშვილი 1887: 479) – **თენჩ** / **თენშ** (ადილ.) „მოხერხებული, მშვიდი“, **თენჩ** (ყაზარდ.) „ადვილი“, **თენჩ** (აბაზ.) „მშვიდი, წყნარი“ (შაგიროვი 1989: 122), **ა-თენჩ** „დინჯი, წყნარი“ (რალ 1964: 300). სავარაუდოდ, აფხაზურ-ადილურ ენებში უშუალოდ თურქულიდან იყოს შეთვისებული: **tinç** „მშვიდი, წყნარი“ (მაგაზანიკი 1945: 622). ქართულში იგივე სიტყვა ფონეტიკურად ოდნავ სახეცვლილი ფორმით გვხვდება.

**დომბა** (ქართ.) „ჩლიქოსანი ცხოველი ძროხების ოჯახისა, ტანით დიდი“ (ქეგლ III: 1209), **დომბა** „ვირმოზუერი“ (საბა 1991: 223), **დომბა** / **დომბ** / **დომბა** (სვან.) „დომბა“ (თოფურია, ქალღანი 2000: 197) – **დომბა** (ადილ.), **დომბა** (ყაზარდ.) „დომბა“ (შაგიროვი 1989: 92), **ა-დმბე** (აფხ.) „დომბა, ზუბრი“ (ჯანაშია 1954: 96), **დომბა** (აბაზ.) „დომბა“ (აბრლ 1967: 205); გვხვდება სხვა ენებშიც: ლაკ. **დუმბე** „დიდი“, „გონებრივად არასრულყოფილი“, „სუსტი ნებისყოფის“, ოს. **დომბა** „დომბა“, „ლომი“, „ძლიერი“, სომხ. **დმბო** „უგნური“ (შაგიროვი 1977, 248); შდრ. თურქ. **dombay** „ფურკამეჩი“ (მაგაზანიკი 1945: 152).

**დუნია** (ქართ.) [არაბ. **დუნმა**] „1. ქვეყანა, ქვეყნიერება, მსოფლიო. 2. გადატ. ძალიან ბევრი, უამრავი, ქვეყნის (ხალხი)“ (ქეგლ III: 1236), **დუნია** / **დუნმა** (ლაზ.) „ქვეყანა“ (ქუთელია 1982: 89) – **დუნეი** / **დუნაი** (ადიღ.) „სამყარო, ქვეყნიერება“ (შაგიროვი 1977: 152), **ა-დუნეი** (აფხ.) „ქვეყნიერება, სამყარო, წუთისოფელი“ (ჯანაშია 1954: 96), **დუნაი** (აბაზ.) „ქვეყანა, სამყარო“ (აბრლ 1967: 206). სიტყვა თურქულის მეშვეობითაა შესული ქართველურსა და აფხაზურ-ჩერქეზულ ენობრივ სივრცეში.

**დუქანი** (ქართ.) „წვრილი სავაჭრო ან პატარა სასა-დილო; ზოგჯერ სახელოსნოსაც ეძახიან“ (ქეგლ III: 1239), **დუქანი** (ძვ. ქართ.) „სავაჭრო“ (აბულაძე 1973: 143), **დუქანი** „უკუსაჯდომელი, გინა სასაქმო“ (საბა 1991: 228), **დუქანი** (მეგრ.) „დახლი“ (ყიფშიძე 1914: 229), **დუქანი** (ლაზ.) „დუქანი“ (ჯიქია 1975: 68), **დუქან** (სვან.) „დუქანი“ (საღლიანი 2005: 17) – **ტუჩან** (ადიღ.), **დუკან** (უბიხ.), **ტუან** (აბაზ.) „დუქანი“ (შაგიროვი 1989: 117), **ა-დუქან** „id.“ (გვანცელაძე 2003: 143). ამოსავალია არაბული წარმოშობის სიტყვა, რომელიც შესაძლოა ან არაბულიდან, ან თურქულის მეშვეობით შემოსულიყო ქართველურენოვან სივრცეში. მეგრულში არაბულიდან ნასესხობად თვლის ი. ყიფშიძე (ყიფშიძე 1914: 229). შდრ. თურქული **dükkan** „მაღაზია, დახლი“ (მაგაზანიკი 1945: 159); ქართული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ. ის მიიჩნევს, რომ აფხაზურში სესხების შუალედური რგოლი ქართულია (ჭარაია 1912: 11). იმავეს იმეორებენ ნ. გენკო და ა. შაგიროვი

(შაგიროვი 1989: 117). საგულისხმოა, რომ ფორმა ჯერ კიდევ ძველ ქართულში ჩანს. არ არის გამორიცხული, რომ ქართულის გზით აფხაზურში შესული ლექსიკური ერთეული ჩერქეზულშიც მოხვედრილიყო.

**ზარალი** (ქართ.) „[არაბ. **ზარარ**] ქონებრივი დანაკლისი, დანაკარგი“ (ქეგლ IV: 98), **ზარალი** „(სპარ.) ზიანი, დანაკლისი“ (ჩუბინაშვილი 1887: 513), **ზარალი** (მეგრ.) „id.“ (ყოფშიძე 1914: 236), **ზარალ** (სვან.) „id.“ (საღლიანი 2005: 54) – **ზარარ** / **ზარან** (ადილ.) „ზარალი“ (შაგიროვი 1989: 84), **ა-ზარალ** (აფხ.) „ზარალი“ (ჯანაშია 1954: 108) **ზარარ** (აბაზ.) „id.“ (აბრლ 1967: 23); სიტყვა ფართოდ არის გავრცელებული სხვა კავკასიურ ენებში: ლაკ. **ზარალ**, ხუნძ. **ზარალ**, თათ. **ზარალ** / **ზარარ** (შაგიროვი 1977: 207). ა. შაგიროვის აზრით, აფხაზურში შესულია თურქულიდან (შაგიროვი 1989: 84), თუმცა შეიძლება დავუშვათ, რომ **ა-ზარალ** ფორმისთვის შუალედური რგოლი ქართველური ყოფილიყო, რასაც ვერ ვიტყვით ჩერქეზულ ფორმაზე.

**თამადა** (ქართ.) „სუფრის ხელმძღვანელი“ (ქეგლ IV: 297) – **თჰჰმადან** (ადილ.) „1. უფროსი“, 2. „სიძე, თაყვანისმცემელი“, **ა-თამადა** (აფხ.) „მოხუცი“ (უსლარი 1887: 162). ამოსავალია სპარ. **დამად** „სიძე“. კავკასიაში სიძეს აკისრებდნენ სუფრის წაძლოლას, აქედან სემანტიკის გადასვლა **სიძე** > **თამადა**. ვ. აბაევის მოსაზრებით, სიტყვა თავდაპირველად ჩერქეზულ ენებში შევიდა (აფხაზურ-ჩერქეზულში – მ. ბ.), ჩერქეზულიდან მოხვდა ქართულში, აქედან კი რუსულში



**тамада** და ოსურში **თამადა** „სუფრის წინამძღოლი“ (აბაევი 1979: 227).

**თარაზო** (ქართ.) „[სპარ. **თარზო**] სიბრტყის ან ხაზის ჰორიზინტალურად გასამართავი ხელსაწყო“ (ქეგლ IV: 339), **თერეზო** (გურ.) „თარაზო“ (იმნაიშვილი 2006: 331), **თერეზი** (მეგრ.) „თარაზო“ (ქაჯაია 2002: 43) – **თარზ** (ადილ.) „სწორი, ზუსტი“, **თარზ** (ყაბარდ.) „სწორი“, „ზუსტი“, **თარზ** (უბიხ.) „მართალი, სწორი“ (შაგიროვი 1989: 134), **ათერეზ** „თარაზო“ (ჯანაშია 1954: 126), **ათერაზ** (აბჟ.) „id.“ (ბლაჟბა 1964: 203); გვხვდება სხვა კავკასიურ ენებშიც: **თერეზ**, **თერეზარ** (ლეზგ.), **თერზა** (ჩეჩნ.), **თარაზ** (ინგ.) „სასწორი“, აგრეთვე ოსურ ენაში: **თარაზ** / **თარაზ** „სასწორი“ (აბაევი 1979: 266).

**თარი** (ქართ.) „[სპარ. **თარ**] აღმოსავლური სიმებიანი საკრავი, რომელსაც მიზრაფით უკრავენ“ (ქეგლ IV: 339) – **თანგ** (უბიხ.) „მუსიკალური საკრავი“ (კვახაძე 2014: 185); სიტყვა ჩერქეზულ ენათაგან მხოლოდ უბიხურში გვხვდება. ივარაუდება, რომ სპარსულიდანაა ნასესხები. შესაძლოა, უბიხურში ქართულიდან იყოს შეთვისებული, თუმცა ლაბი-ალიზებული თ-ს გაჩენას ახსნა სჭირდება. მ. ჩუხუა მი-იჩნევს, რომ უბიხური **თანგ** ქართულ **ფანდურ**-ს უკავშირდება **ფ** > **თუ** / **თ** პროცესის გავლით, რაც გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა უბიხურში.

**თარილი** (ქართ.) „რაიმე მოვლენის, ფაქტის მომხდარობის, რაიმე დოკუმენტის შექმნის დრო, აღნიშნული წერი-

ლობით“ (ქეგლ IV: 342), **თარიხი** (ლაზ.) „თარიღი, ისტორია“ (მარი 1910: 146) – **თაურგზ** (ადილ.), **თაურგზ** (ყაზარდ.) „ლეგენდა, გადმოცემა“ (შაგიროვი 1977-ა: 68), **ა-თაარგზ / ა-თურგზ** (აფხ.) „ისტორია“ (ჯანაშია 1954: 115, 126). არაბული **თაჰრის** შესულია სპარსულში, თურქულში და თითქმის ყველა კავკასიურ ენაში: სპარ. **თაროხ**, **თავაროხ** „ისტორია“, თურქ. **tarih** „ერა“, „ისტორია“, ლეზგ., ლაკ. **თარიხ** „ისტორია“, ხუნძ. **თავარიხ** „ისტორია“, „ისტორიული გადმოცემა“, ბალყ., ყარაბ. **თაურუხ** „ლეგენდა“, ოსური **თაჰრანლ / თაურანყ** „ისტორია“ (აბაევი 1979: 239). შესაძლოა ეს სიტყვები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ესესხა ქართველურსა და აფხაზურ-ჩერქეზულ ენებს.

**თასი** (ქართ.) „[არაბ. **თას**] ოქროს, ვერცხლის ან სხვა ლითონის სასმისი, ჯამის ფორმისა“ (ქეგლ II: 345), **ტაშტი** „ლითონის მოზრდილი, გაშლილი, მრგვალი (ან მოგრძო) ჭურჭელი (ქეგლ VI: 1263), **თას / თას** (სვან.) „თასი“ (სალლიანი 2005: 17, 55), **ტაშდ** (სვან.) „ტაშტი“ (იქვე, 48) – **თას** (ადილ.) „მეტალის ჭიქა“, **თას** (ყაზარდ.) „ტაშტი“ (შაგიროვი 1989: 104). არაბულიდან შემოსული სიტყვა ფართოდაა გავრცელებული კავკასიურ ენებში: ჩეჩნ. **თას** „თასი“, დარგ. **ტას**, ხუნძ. **ტარს**, ლაკ. **ტას** „ტაშტი“; სხვა ენებში: ოსური **თას** „ტაშტი“, სომხ. **თას** „თასი“, ტაჯ. **თოს** „თასი“ (აბაევი 1979: 234).

**თოფი** (ქართ.) „ხელში დასაჭერი გრძელლულიანი სასროლი იარაღი“ (ქეგლ II: 473), **თოფი** (მეგრ.) „id.“ (ყიფშიძე

1914: 144), **თუეფ** / **თრფ** / **თეფ** / **თოფ** (სვან.) „id.“ (თოფურია, ქალდან 2000: 262) – **თოფ** (ადილ.), **თოფ** (ყაზარდ.), **თოფ** (აბაზ.), **თოფ** (უბიხ.) „თოფი“ (შაგიროვი 1977-ა: 73). ნასესხებია თურქულიდან: **top** „თოფი“ (მაგაზანიკი 1945: 625).

**თოფრა** (ქართ.) „მცირე ტომარა“ (ქეგლ IV: 476), **თოფრა** / **თოფრაჲ** (სვან.) „თოფრა“ (თოფურია, ქალდან 2000: 261) – **დობრა** (ყაზარდ.) „თოფრა“; თურქულიდან ნასესხები სიტყვა გავრცელებულია სხვა კავკასიურ ენებშიც: **თურბა** (ლეზგ.), **ტობმი** (ინგ.) „თოფრა“, გვხვდება ოსურ ენაშიც: **თოჭრა**, **თოფრა**, **დობრა** სახით (აბაევი 1979: 298). შდრ. თურქ. **torba** „ტომარა“ (მაგაზანიკი 1945: 626).

**თუთუნი** (ქართ.) „თამბაქო“ (ქეგლ IV: 488), **თუთუმი** (მეგრ.) „თუთუნი“ (ყიფშიძე 1914: 244), **თუთუმი** (ლაზ.) „ნამდვილი თუთუნი“ (მაყაშვილი 1991: 143), **თუთინ** / **თუთუნ** (სვან.) „თუთუნი“ (თოფურია, ქალდან 2000: 261) – **თუთუნ** (ადილ.) „თამბაქო“, **ა-თათუნ** / **ა-თეთუნ** „თამბაქო“ (ჯანაშია 1954: 128), **თუთუნ** (აბაზ.) “თუთუნი” (აბრლ 1967: 352). ამოსავალია თურქული **tütün** „თამბაქო“ (მაგაზანიკი 1945: 633); ქართული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 10). ქ. ლომთათიძე მიუთითებს, რომ სიტყვა აფხაზურში ქართულის მეშვეობითაა შეთვისებული (ლომთათიძე 1976: 63).

**თუმანი** (ქართ.) „ათი მანეთი“ (ქეგლ II: 491), **თუმანი** (მეგრ.) „id.“ (ყიფშიძე 1944: 244) – **თუმან** (ყაზარდ.) „ათი მანეთი“, **თუმან** (აბაზ.) „id.“ (შაგიროვი 1977-ა: 73); ამოსავალია სპარსული **თუმან**. ქართველურსა და აფხაზურ-ჩერქეზულს შორის სესხების მიმართულება გასარკვევია.

**თუნუქი** (ქართ.) „1. თხელი ფურცლოვანი რკინა. 2. გადატ. თუნუქის ჭურჭელი“ (ქეგლ IV: 493), **თუნუქა** „(ოსმალ.) თეთრი რკინის ფიცარი“ (ჩუბინაშვილი 1887: 570), **თანაქა** (მეგრ.) „კეცის დასაფარებელი თუნუქი“ (მაკალათია 1945: 207), **თანაქა** (გურ., იმერ.) „თუნუქის ჭურჭელი, სანავთე“ (ღლონტი 1984: 243) – **თენჯე** (ადილ.) „თუნუქი“, **თენექე** (უბიხ.) „თეთრი ლითონის ჭურჭელი“ (შაგიროვი 1977-ა: 71), **ა-თანაქე** „თუნუქი“ (ჯანაშია 1954: 119). ნასესხებია თურქულიდან: **teneke** „თუნუქი“ (მაგაზანიკი 1945: 607). სესხების შუალედური რგოლის რკვევისთვის ხელჩასაჭიდი მასალა არ ჩანს.

**კალა** (ქართ.) „რბილი ჭედადი, მოვერცხლისფრო-თეთრი ლითონი“ (ქეგლ IV: 1028), **კალე** (მეგრ.) „კალა“ (ჭარაია 1997: 75) – **კალაი** (ადილ.) „კალა“, **ა-კალეი** (აფხ.) „id.“ (უსლარი 1887: 142), **კალიი** (აბაზ.) „კალა“ (აბრლ 1967: 237); არაბ.-სპარ. **ყალბ** აფხაზურში ნასესხებია ქართულიდან (ჭარაია 1912: 12). აფხაზური ფორმა ქართულიდანაა ნასესხები, ადიღური თურქულის გზით, ხოლო აბაზური – სავარაუდოდ რუსულიდან. ბ. ბალყაროვი მიიჩნევს, რომ **კალა** კავ-

კასიურ ენებში არაბული ან სპარსული ენიდანაა შეთვი-  
სებული ქართულის მეშვეობით (ბალყაროვი 1965: 49).

**კალამი** (ქართ.) „1. [ბერძ. **kalamos** „ლერწამი“] იარაღი  
მელნით (ან ტუშით) წერისთვის“ (ქეგლ IV: 1029), **კალამი**  
(ძვ. ქართ.) „საწერელი“ (აბულაძე 1973: 191); **კალამი** (მეგრ.)  
„საწერი კალამი“ (ქაჯაია 2002: 103), **გალემი** (ლაზ.) „კალამი“  
(ჯიქია 1974: 126) – **კაღამ** (ადილ.), **კაღამ** (უბიხ.), **კალამ**  
(აბაზ.) „id.“ (შაგიროვი 1989: 90), **ა-კალამ** (აფხ.) „კალამი,  
საწერი“ (კასლანძია 2005: 479). მიუხედავად იმისა, რომ  
ბერძნული წარმოშობის სიტყვა თურქულშიც გვხვდება,  
რომლის გავლენაც აფხაზურ-აბაზურსა და ჩერქეზულზე  
ძალზე დიდია, ამ ენებში ქართულის მეშვეობითაა შესული.  
თურქულიდან შეითვისა ლაზურმა კალმის აღმნიშვნელი  
**გალემი**. მ. ჩუხუა მიიჩნევს, რომ **კალამი** საკუთრივ ქარ-  
თველური ფორმაა. მას ზანურში (მეგრულში) კანონზომიერი  
შესატყვისობა ეძებნება: **კოლომ-ია** „მცენარის სახეობა“.

**კამბეჩი** / **კამეჩი** (ქართ.) „ხარზე დიდი რქოსანი  
ცხოველი“ (ქეგლ IV: 1043), **კამბეში** / **კამბეჩი** (ძვ. ქართ.)  
„კამეჩი, გამეჩი“ (აბულაძე 1973: 191), **კამბეჩი** / **კამბეში** (მეგრ.)  
„კამეჩი“ (ყიფშიძე 1914: 251), **ჯამუში** / **ჯამიში** (ლაზ. < თურქ.  
**camuş**) „კამეჩი“ (მარი 1910: 235; ჯიქია 1975: 67), **კამბეჩ** /  
**კამბეშ** / **კამბეჩ** (სვან.) „კამეჩი“ (თოფურია, ქალღანი 2000:  
344). – **კამბეშ** (ყაბარდ.) „ზაქი“, **კამბეშ** (აბაზ.) „კამეჩი“  
(შაგიროვი 1989: 139), **ა-კამბაშ** (აფხ.) „id.“ (კვარჭია 1981: 85).  
ქ. ლომთათიძე მიიჩნევს, რომ სვანური **კუმაშ** „მსხვილფეხა

საქონელი“ **კამემ**-იდან მომდინარეობს. სემანტიკური გადასვლა **კამერი** > **საქონელი** > **ძროხა** ბუნებრივია (ლომთათიძე 1974: 95). სიტყვა გვხვდება სხვა კავკასიურ ენებში: ხუნძ. **გამუმ** / **კამუმ**, ლეზგ. **გამიშ**, დარგ. **გამუმ**... ვ. კვარჭია, მრავალგზის მიუთითებს, რომ **ა-კამბაშ** სიტყვის ამოსავალია სპარსული **გომემ** (კვარჭია 1981: 85), მაგრამ არაა ნათქვამი, რომ აფხაზურისთვის, ისევე როგორც აბაზურისთვის, სესხების შუალედური რგოლი ქართველურია, უფრო ზუსტად, სპარს. **გომემ** > ქართ. **კამერი** > მეგრ. **კამბეში** > აფხ. **ა-კამბაშ**.

**კოკური** / **კოკუში** (მეგრ.) „ინდაური“ (ციფშიძე 1914: 260) – **გაგუმ** (ყაბარდ.) „ინდაური“, **ა-კაკუმ** / **ა-გაგუმ** (აფხ.) „ინდაური“ (ჯანაშია 1954: 152), **გაგუმ** (აბაზ.) „ინდაური“; თურქული სიტყვა **koguş** ორსავე ენაში ნასესხებია, მაგრამ აფხაზური **ა-კაკუმ** მეგრულის მემვეობითაა შესული (ჭარაია 1912: 10).

**ლალუმი** (ქართ.) „ზოგი ფეთქებადი ნივთიერების საერთო სახელი“ (ქეგლ IV: 1495), **ლალუმი** (მეგრ.) „ნაღმი, დინამიტი“ (ქაჯაია 2002: 186), **ლალუმ** (სვან.) „ნაღმი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 371) – **ლალუმ** / **ლალმ** (ადილ.) „ლალუმი, ნაღმი“ (შაგიროვი 1977: 240), **ა-ლალუმ** „ლალუმი“ (ჯანაშია 1954: 168); ბერძნული წარმოშობის სიტყვა გვხვდება თურქულშიც **lagim** სახით. ა. შაგიროვის აზრით, აფხაზურისთვის სესხების შუალედური რგოლი ქართულია (შაგიროვი 1989:

118, 150), სავარაუდოდ, აფხაზურის გზით არის შესული ადიღურში.

**ლულა** (ქართ.) „[სპარ. **ლულა**] ცეცხლსასროლი იარაღის მილი, რომელშიც გაივლის გასროლილი ტყვია“ (ქეგლ IV: 1591) – **ლულ(ა)** / **ლულან** (ადიღ.), **ლულა** (უბიხ.), **ლულა** (აბაზ.) „ჩიბუხის მილი“ (შაგიროვი 1989: 129-130). სემანტიკა ლულა ≈ ჩიბუხის მილი ერთმანეთს ფარავს. ვვარაუდობთ, რომ ჩერქეზულ ენებში ქართულიდანაა შესული. შდრ. თურქ. (< სპარ.) **lüle** „მილი“ (მაგაზანიკი 1945: 385).

**მაზვა** (მეგრ.) „ნამცხვარი ფქვილისა და თაფლისაგან“ (ჭარაია 1997: 89), **მაზა** (ქართ.) „სანუკვარი საჭმელი“ (ჩუბინაშვილი 1887: 660) – **მაჟაჟ** (ადიღ.), **მაჟაჯან** (ყაბარდ.) „პური“, **მაჟაძა** (აბაზ.) „ცომი“ (აბდოკოვი 1973: 60), **ა-მაჟა** (აფხ.) „ნამცხვარი“ (ჯანაშია 1954: 184); სიტყვა ნასესხებია ქართველურში და ამოსავალია ბერძნული **μαζα** „ნამცხვარი“. შდრ. ბერძ. **μαζζα** „ცომის მოზელა“ (ვაისმანი 1899: 782). ფორმა ქართველურიდან არის შეთვისებული აფხაზურში. გ. მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ აფხაზურისთვის სესხების შუალედური რგოლი მეგრულია (მაჭავარიანი 1966: 166). სიტყვის ფონეტიკური ვარიანტები გვხვდება ჩერქეზულ ენებში. ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ ამ ენებში აფხაზურის მემკვიდრეობითაა შესული (შაგიროვი 1977: 264).

**მაიმუნ** (ქართ.) „1. ძუძუმწოვარი ცხოველი, აგებულებით ჰგავს ადამიანს. გადატ. სხვისი მიმბაძველი; უმწონდ,

უხეიროდ მანჭია“ (ქეგლ V: 21), **მაიმუნი** „(არაბ.) ქია, ანთარი, პითიკი, ციდამტკაველა“ (ჩუბინაშვილი 1887: 661), **მაიმუნი** (მეგრ.) „მაიმუნი“ (ჭარაია 1997: 89), **მამუნ** (სვან.) „მაიმუნი“ (საღლიანი 2005: 72) – **მამუნ** (ადილ.), **ნომინ** (ყაზარდ.), **მაიმუნ** (უბიხ.) „მაიმუნი“ (შაგიროვი 1989: 94), **ა-მაამენ** „მაიმუნი“ (ჯანაშია 1954: 181); **მაიმუნ** (აბაზ.) „id.“ (აბრლ 1967: 271) < თურქ. < არაბ.-სპარ. **maymun**. მეგრული (resp. ქართველური) და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1997: 89). უბიხურ ფორმას ქართული გავლენა ეტყობა. ქართულიდანაა შეთვისებული ოსურში **მაიმუნი** ფორმით (აბაევი 1979: 67).

**მარჯანი** (ქართ.) „მოწითალო ფერის ძვირფასი ქვა“ (ქეგლ V: 79) – **მარჯან** (ადილ.) „ლალი“ (შაგიროვი 1989: 100). სიტყვა თურქულიდანაა შეთვისებული. ამოსავალია თურქული **mercan** „მარჯანი“ (მაგაზანიკი 1945: 406). ადილეურს სემანტიკის გადაწევით აქვს ნასესხები, თანაც არ გვხვდება მონათესავე ყაზარდოულსა და უბიხურში. იქნებ ქართულის გზით შევიდა ადილეურში?

**მასხარა** (ქართ.) „ოხუნჯი, ხუმარა“ (ქეგლ V: 86) – **მესჯარ** (ადილ.) „დაცინვა“ (შაგიროვი 1977: 272). არაბული წარმოშობის სიტყვა გვხვდება აფხაზურშიც: **ა-მაცქარა** (ჯანაშია 1954: 187). სავარაუდოდ, ადილეურში ქართულიდანაა შესული.



**მაშა** (ქართ.) „ორად მოკეცილი ხის ან ლითონის იარაღი ნაკვერჩხლის ასაღებად, – საკეცე“ (ქეგლ V: 102), **მაშა** „ტკეცი, მარწუხი ცეცხლის ასაღები“ (ჩუბინაშვილი 1887: 682), **მაშა** (მეგრ.) „ნაკვერჩხლის ასაღები“ (ყიფშიძე 1914: 278) – **მაშა** (უბიხ.) „მაშა, სატეხი“ (შაგიროვი 1989: 104), **ა-მაშა** (აფხ.) „მაშა (ნაკვერცხლის ასაღები)“ (ჯანაშია 1954: 186). ქართული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). შდრ. **maşa** „სატეხი, მაშა“ (მაგაზანიკი 1945: 397). მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა თურქულია, არ არის გამო-რიცხული, აფხაზურსა და უბიხურში ქართულიდან შესუ-ლიყო (ბუკია 2013: 143).

**მესტი** (ქართ.) „1. მოკლეყელიანი უძირო მემის ფეხ-საცმელი ან უყელო საძირიანი მემის ფეხსაცმელი“ (ქეგლ V: 197), ფართოდაა გავრცელებული ქართული ენის დიალექ-ტებში: კახურში, თუშურში, იმერულში, რაჭულში, ლეჩხუ-მურში, გურულში, აჭარულში (ჯავახიშვილი: 1983), გვაქვს მეგრულ-ლაზურშიც: **მესტი** / **მესთი** (მეგრ.) „წულა“, **მესტი** (ლაზ.) „ტყავის უძირო ფეხსაცმელი“ – **მესტ(წ) / მესტ** (ადიღ.), **მესთ** (ყაზარდ.), **ა-მესტ** (აფხ.), **მაღესტ** (აბაზ.) „მესტი“ (შაგი-როვი 1989: 80) თურქული სიტყვა **mest** „საშინაო ფეხ-საცმლის სახეობა“ (მაგაზანიკი 1945: 408) შეთვისებულია სხვა კავკასიურ ენებშიც: **მწჩიი** (ჩეჩნ., ინგ.), **მაჩუდალ** (ხუნძ.), **მაჩუდთი** (დარგ.), **მწს** (ლეზგ.) „წულა“; აგრეთვე **მეს** / **მესთაწლ** (ოს.) „მსუბუქი ფეხსაცმელი, მესტი“ (აბაევი 1973: 112). ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ აფხაზურ-ჩერქეზულში შეთვისე-ბულია უშუალოდ თურქულიდან. ჩვენი აზრით, არ არის

უგულებელსაყოფი სესხების შუალედურ რგოლად ქართველურის მოაზრება.

**მისხალი** (ქართ.) „ძვ. წონის ერთეული, უდრის 4,25 გრამს“ (ქეგლ V: 433), **მისხალი** „(არაბ.) წონა 4 დანგისა და 27 კერატისა, გინა 108 ქერის მარცვალი“ (ჩუბინაშვილი 1887: 750), **მირცხალი** (მეგრ.) „მისხალი“ (ქაჯაია 2002: 283) – **მესყალ** (ყაზარდ.) „წონის ერთეული“, **ა-მარცხალ** „მისხალი“ (ჯანაშია 1954: 185); მომდინარეობს არაბული **მისყალ**-იდან „წონის ერთეული, 1,5 დრაჰმის ოდენობის, გამოიყენება ძვირფასი ლითონის, თვლების გასაზომად“, არაბულიდან შესულია თურქულში **miskal** „წონის საზომი“ (მაგაზანიკი 1945: 416) ფორმით. გვაქვს სხვა ენებშიც: **მისყალ** (ხუნძ.), **მისხალ** / **მისყალ** (ოს.), **მსხალ** (სომხ.) „მისხალი“ (აბაევი 1973: 123). აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 149), ყაზარდოულში – თურქულიდან.

**მოლა** (ქართ.) „მუსულმანთა რელიგიური კულტის მსახური“ (ქართული ლექსიკონი 2014: 407) – **მოლწ** (ადილ.), **მოლა** (აბაზ.) „მოლა“ (შაგიროვი 1977: 269), **ა-მულა** „მოლა“ (ჯანაშია 1954: 193); ამოსავალია არაბული **მაულწ** „ბატონი“, „მეუფე“, „წმინდანი“. სავარაუდოდ, სესხების შუალედური რგოლია თურქული **molla** „მოლა“ (მაგაზანიკი 1945: 417).

**მურა** (ქართ.) „1. რუხ-წითელი, შავ-წითელი; 2. შავ-წითელი ძაღლი“ (ქეგლ V: 1157) – **მორწ** (ადილ.) „ღია ცისფერი“, **მორწ** (ყაზარდ.) „ყავისფერი“, „მუქ-ყავისფერი“. სი-

ტყვა ძალიან ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა ენებში: ოს. **მორა** / **მორა** „მუქ-ყავისფერი“, ყარაჩ.-ბალყ. **მორ** „ყავისფერი“, ნოღ. **მორგ** „ყავისფერი“, ყირგ. **მორ** „მუქ-ყავისფერი საღებავი“, თურქ. **mor** „ისფერი“, რუს. **мурый** „მუქ-ყავისფერი“, ჩეხ. **მოურა** „ყავისფერი ჯიშის ძროხა“. ლექსემა ასევე წარმოდგენილია ბერძნულში „მუქის“ მნიშვნელობით. ამავე რიგისაა ლათინური **maurus** „მავრი“, ფრ. **moreau** „შავრა“ (შაგიროვი 1977: 269). ვ. აბაევი ფორმას ე. წ. „მოგზაურ“ სიტყვად მიიჩნევს (აბაევი 1973: 130).

**ნალი** (ქართ.) „სპეციალურად გამოჭედილი ფოლადის ფირფიტა, რომელსაც ფეხზე აკრავენ ხარს, ცხენსა და მისთ.“ (ქართული ლექსიკონი 2014: 452); **ნალი** (მეგრ.) „ნალი“ (ჭარაია 1997: 100), **ნალი** (ლაზ.) „ნალი“ (ჟღენტე 1938: 207), **ნალ** (სვან.) „ნალი“ (საღლიანი 2005: 22) – **ნაღ** (ადიღ.), **ნაღ** (უბიხ.), **ნალ** / **ნაღ** (აბაზ.) „ნალი“ (შაგიროვი 1989: 94). ამოსავალია არაბული **ნალ** > თურქ. **nal** (მაგაზანიკი 1945: 449). **ნალ**-მა ხმარებიდან გამოდევნა ძველ ქართულში გავრცელებული **ლუმბა** და **საჭედარი** (ბუკია 2006-ა: 155).

**ნამუსი** (ქართ.) „პატიოსნება; სინდისი“ (ქეგლ V: 1334), **ნამუსი** „(სპარ.) შეგნება, სვინდისი; დაცვა პატიოსნებისა“ (ჩუბინაშვილი 1887: 955), **ლამოსი** / **ლამუსი** / **ნამოსი** / **ნამუსი** (მეგრ.) „ნამუსი“ (ქაჯაია 2002: 181, 358) – **ნამგს** / **ნამგს** (ადიღ.) „ღირსება, პატივი“ (შაგიროვი 1989: 85), **ა-ნამგს** „სინდისი, ნამუსი, პატიოსნება“ (ჯანაშია 1954: 202) / **ა-ლამგს** „ნამუსი, სინდისი“ (რალ 1964: 459), **ნამგს** (აბაზ.) „მორჩი-

ლება, წესრიგი“ (აბრლ 1967: 287). მიღებულია სპარ. **ნამუს** ფორმიდან, რომელიც ნიშნავს „კანონს, ღირსებას, რეპუტაციას“. ფართოდაა გავრცელებული კავკასიის ენებში: **ნამუს** (ხუნძ., დარგ.), **ნამუს / ნამუს** (ოს.), **ნამუს** (სომხ.) „ღირსება“ (აბაევი 1973: 155). აფხაზურისთვის (**ა-ლამგს**) სესხების შუალედური რგოლი მეგრულია.

**ნახვთა / ნახუთა / ნახტა / ნახთა** (მეგრ.) „ავშარა“ (ციფშიძე 1914: 287; ჭარაია 1997: 102) – **ნახტა / ნახტა** (ადილ.), **ნახტა / ნოხტა** (უბიხ.), **ნახტა** (აბაზ.) „ავშარა“ (კვარჭია 1981: 93) **ა-ნახტა** (აფხ.) „id.“ (ჯანაშია 1954: 208). გვხვდება აგრეთვე ყარაჩაულ-ბალყარულში **ნუქთა**, აზერბაიჯანულში **ნოხთა**, ჩუვაშურში **ნახთა** ფორმით. იგივე სიტყვა წარმოდგენილია მონღოლურ ენაში და, როგორც ვარაუდობენ, ძირი ჩინურამდეც კი მიდის (შაგიროვი 1989: 94). გ. კლიმოვი ამ სიტყვას მეგრულში აფხაზურიდან შესულად მიიჩნევს (კლიმოვი 1986: 182), თუმცა თავის მოსაზრებას არ ასაბუთებს. აქ სესხების მიმართულების გარკვევა ჭირს, ვინაიდან ასევე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეგრულიდანაც შეეძლო ესესხა აფხაზურს. საკითხის გადასაწყვეტად ხელჩასაჭიდი მასალა არ ჩანს (ბუკია 1999: 128).

**ოდა** (ქართ.) „[თურქ. **ოდა**] ხის, ქვის... ბოძებზე დადგმული ფიცხული სახლი“ (ქეგლ VI: 8), **ოდა** (მეგრ.) „სახლი“ (ციფშიძე 1914: 293), **ოდა** (ლაზ.) „ოთახი“ (მარი 1910: 176) – **უადგ** (უბიხ.) „ოთახი“ (შაგიროვი 1989: 108), **ა-შადა** (აფხ.) „ოთახი“ (ჯანაშია 1954: 263). **ა-შადა** ძირითადად ბზი-

ფურში გვხვდება (ბლაჟა 1964: 204). მომდინარეობს თურქული **oda**-დან, რომელიც „ოთახს“ ნიშნავს (მაგაზანიკი 1945: 460).

**ოყა** (ქართ.) „წონის ერთეული – უდრის 3 გირვანქას, ანუ დაახლოებით 1200 გრამს“ (ქეგლ VI: 88), **ოკა** (ლაზ.) „ზომის ერთეული, ოყა“ (მარი 1910: 176) – **უაჭა** / **უოჭა** (უბიხ.), **ა-უაყა** (აფხ.) „ოყა“ (შაგიროვი 1989: 116). მართალია, ორივე ენობრივი ერთეულისთვის ამოსავალია თურქული **okka** (მაგაზანიკი 1945: 461), მაგრამ აფხაზური ფორმის **ყ** თანხმოვანი გვავარაუდებინებს, რომ მისთვის სესხების შუალედური რგოლი ქართულია.

**ოჯახი** (ქართ.) „[თურქ. **ოჯაკ** „კერა“, „სახლი“, „სახლეული“] ერთად მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც შედგება უახლოესი ნათესავებისაგან, – კომლი, სახლობა“ (ქეგლ VI: 98), **ოჯახი** (მეგრ.) „სახლი, ოჯახი, კერა“ (ყიფშიძე 1914: 296), **უოჯახ** / **უოჯახ** (სვან.) „ოჯახი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 747) – **უწწაყ** / **უწწაყ** (ადილ.) „ბუხარი“ (შაგიროვი 1977-ა: 92), **ა-უაჯაყ** (აფხ.) „ბუხარი“ (რალ 1964: 266); **უაჯაყ** (აბაზ.) „საკვამური“ (აბრლ 1967: 375). თურქული სიტყვა **ocak** (მაგაზანიკი 1945: 460) შესულია კავკასიურ ენებში: დარგ. **უჩაგ**, ლეზგ. **უჟად**, თაბას. **უჟად** „კერა“. ოსური **უწწაგ** „კერა“ განსაკუთრებით უახლოვდება ბალყარულ **ოზაქ**-ს (აბაევი 1989: 103).

**პაპუწი** (ლაზ.) „ჩუსტი, ფლოსტი“ (დიუმეზილი 2009: 170) – **პაპგჷმ** (ადილ.) „ჩუსტი“ (შაგიროვი 1977-ა: 8), **ა-პაპგჷ** „უქუსლო წალა“ (ჯანაშია 1954: 217); ამოსავალია სპარსული **pâpûšû** (ბართაია 2010: 93) > თურქული **pabuç / papuç** „უქუსლო ფეხსაცმელი“ (მაგაზანიკი 1945: 477, 479). შესაძლოა, უშუალოდ თურქულიდან აქვს ნასესხები ლაზურს და აფხაზურ-ჩერქეზულს.

**საათი** (ქართ.) „დროის განსაზღვრული მონაკვეთი, 60 წუთი. 2. შუალამიდან (ან შუადღიდან) 60 წუთობით გამოთვლილი დრო. 3. დღე-ღამის ფარგლებში დროის გასაზომი ხელსაწყო“ (ქეგლ VI: 487), **საათი** „(არაბ.) საჟამო, იარაღი ჟამთა მაჩვენებელი, ჟამი ოცდამეოთხე ნაწილი დღე-ღამისა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1051), **სათი** (მეგრ.) „საათი“ (ციფშიძე 1914: 315), **საათ / სათ / სათ / სათ** (სვან.) „საათი“ (საღლიანი 2005: 25, 92) – **სგჷათ** (ადილ.), **სგჷათ** (ყაზარდ.), **ა-საათ** (აფხ.), **საჷათ** (აბაზ.), **საჷათ** (უბიხ.) „საათი“ (შაგიროვი 1977-ა: 66). არაბულ-სპარსული **სათ** გვხვდება სხვა კავკასიურ ენებშიც: ხუნძ. **საჷათ**, ლაკ. **შათ**, ჩეჩნ. **საჷთ**, ინგ. **საჷათ** (აბაევი 1979: 50). აფხაზურში შესულია ქართულიდან (მაჭავარიანი 1966: 168), რასაც ვერ ვიტყვით ჩერქეზულ ენებზე.

**საბაბი** (ქართ.) „[არაბ. **საბაბ** „მიზეზი“] მიზეზი, გარემოება, შემთხვევა, რომელიც რაიმე მიზნით შეიძლება იქნეს გამოყენებული, – გამოგონილი მიზეზი“ (ქეგლ VI: 501), **საბაბი** „(არაბ.) მიზეზი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1053) – **საბჷვ** (ადილ.) „გამორჩენა, სარგებელი“, **საბჷვ** (ყაზარდ.) „id.“, **ა-**

**საბაფ** (აფხ.) „სარფა, სარგებელი“, **საბაფ** (აბაზ.) „სარგებელი, ხეირი“ (შაყრილი 1971: 135); არაბული წარმოშობის სიტყვა თურქულში **sebep** ფორმითაა წარმოდგენილი. მართალია, სიტყვა ნასესხებია, მაგრამ არაბულიდან შეთვისებული სიტყვების სესხების შუალედური რგოლი აფხაზურ-ჩერქეზულისთვის ქართული უნდა იყოს. შესაძლოა, აფხაზურ-ჩერქეზულს ქართულის გზით ესესხებინოს.

**საინი** (ქართ.) „იგივეა, რაც თეფში“ (ქეგლ VI: 627), **სენი** (მეგრ.) „თეფში“ (ყიფშიძე 1914: 317), **საინ** / **საინ** (სვან.) „თეფში“ (თოფურია, ქალდანი 2000: 699) – **სეჰჰან** (ყაზარდ.) „თეფში“ (ყრლ 1957: 333), **ა-საან** (აფხ.) „საინი, თეფში“ (ჯანაშია 1954: 252), **საჰან** (აბაზ.) „თეფში“ (აბრლ 1967: 333); ამოსავალია არაბული სიტყვა, რომელიც სავარაუდოდ თურქულის გზით შევიდა ქართველურსა და აფხაზურში: **sahan** (თურქ.) „ლანგარი“ (მაგაზანიკი 1945: 512).

**სალამი** (ქართ.) „[არაბ. **სალამ** „მშვიდობა“] შეხვედრისას ერთმანეთისადმი მიმართვა საგანგებო სიტყვით“ (ქეგლ VI: 669), **სალამი** „(არაბ.) მოკითხვა, თავის დაკვრა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1082) – **სალამ** (ადილ.), **სალამ** (უბიხ.) „სალამი, მისალმება“ (შაგიროვი 1989: 86), **ა-სალამ** (აფხ.) „მისალმება“ (შაყრილი 1987: 115); **სალამ** (აბაზ.) „მისალმება“ (აბრლ 1967: 331).

**საპონი** (ქართ.) „[ლათ. **sapoōnis**] „წყალში ადვილად ხსნადი მასა, რომელსაც ამზადებენ ცხიმულისა და ტუ-

ტებისაგან“ (ქეგლ VI: 771), **საპონი** „ფრანგულია, ქართულად წერილით შენაზავები ეწოდების“ (საბა 1993: 48); **საპონი** „კუმპა, ქონი მოდულებული და გახმობილი სარეცხისთვის“ (ჩუბინაშვილი 1887: 1106), **საპონი** (მეგრ.) „საპონი“ (ციფშიძე 1914: 315), **საპ[უ]ენ / საპონ** (სვან.) „საპონი“ (თოფურია, ქალ-დანი 2000: 696) – **საბგნ** (ყაზარდ.) „საპონი“ (ერლ 1957: 327), **ა-საპგნ** (ბზ.) / **ა-საპან** (აბჟ.) „საპონი“ (ჯანაშია 1954: 253), **საბგნ** (აბაზ.) „id.“ (აბრლ 1967: 320); ქართული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 10). სიტყვა ფართოდაა გავრცელებული კავკასიურ ენებში: **საფუნ** (ხუნდ.), **საბონ** (აღლ., თაბას.), **საბა** (ჩეჩნ.), **საბგნ** (ყაზარდ.), აგრეთვე ოსურში **საფონ / საფონან** (აბაევი 1979: 31). ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ აფხაზურში სიტყვა ქართულიდანაა შესული, აბაზურში კი – ყაზარდოულიდან (შაგიროვი 1977-ა: 56).

**სეირი** (ქართ.) „[არაბ. **საირ** „მოდრაობა“, „სვლა“, „სეირნობა“] თავის შესაქცევი რამ, – სანახაობა“ (ქეგლ VI: 986), **სეირი** „ნავარდობა, შესაქცევად სიარული“ (ჩუბინაშვილი 1887: 1163) – **სააირ** (ადილ.) „გასაოცარი“, **სეირ** (უბიხ.) „უცნაური, სასაცილო“ (შაგიროვი 1989: 132), **ა-სსირ** (აფხ.) „1. სეირი. 2. ფარსაგი“ (ჯანაშია 1954: 257), „მშვენიერი, დიდებული“ (გენკო 1998: 228). შდრ. თურქ. **seyir** „სანახაობა“ (მაგაზანიკი 1945: 532), ყარაჩ.-ბალყ., ნოღ. **სეაირ** „უცნაური, გასაოცარი“ (შაგიროვი, იქვე).

**სურათი** (ქართ.) „[არაბ. **სურათ** „გარეგნობა, სახე“] 1. მხატვრობის ნაწარმოები, – ნახატი. 2. ფოტოაპარატით სპეცი-





და მისთ. დროს“ (ქეგლ VI: 1265), **ტახტი** (ძვ. ქართ.) „დასა-  
 ჯდომელი“ (აბულაძე 1973: 411), **ტახტი** (მეგრ.) „ხის ფართო  
 საწოლი, ფართო ლოდი“ (ყიფშიძე 1914: 327) / **ტახტა**, **ტახტ**  
 (სვან.) „ტახტი“ (საღლიანი 2005: 48) – **თახთ** (ადილ.), **ა-  
 ტახტა** (აფხ.) „ტახტი“ (შაგიროვი 1989: 89). შდრ. თურქ. (<  
 სპარ.) **taht** „ტახტი, სავარძელი“ (მაგაზანიკი 1945: 578).  
 მართალია, ქართველურსა და აფხაზურ-ჩერქეზულში სი-  
 ტყვა აღმოსავლური სამყაროდან არის შეთვისებული, მაგრამ  
 ისმის კითხვა, როგორ გაჩნდა აფხაზურ და ადიღურ ფორ-  
 მებში აუსლაუტში –ა, ხომ არ არის მეგრული **ტახტა**-ს გავ-  
 ლენით გაჩენილი? სიტყვა პოვნიერია სხვა კავკასიურ  
 ენებში: ლაკ. **თახჩა**, ლეზგ. **თახთ**, ხუნძ. **თახ**, დარგ. **თახ**,  
 ჩეჩნ. **თახთა**, ასევე ოსურში **ტახთი** სახით (აბაევი 1979: 52).

**ტოლუმბაში** (ქართ.) „[თურქ. **ტულუმბაში** „ტიკის უფ-  
 როსი“] იგივეა, რაც თამადა“ (ქეგლ VI: 1316), **ტოლბაში**  
 (მეგრ.) „თამადა“ (ქაჯაია 2002-ა: 35), **ტოლიბაშ** / **სტოლუმბაშ** /  
**ტოლბაშ** / **ტოლიბაშ** / **ტოლობაშ** (სვან.) „თამადა, ტოლუმ-  
 ბაში“ (თოფურია, ქალდანი 2000: 719) – **ტოლბაშ** (ყაბარდ.)  
 „თამადა“ (შაგიროვი 1989: 139), **ა-ტოლბაშ** (აფხ.) „id.“ (რალ  
 1964: 567); **ა-ტალბაშ** (აბჟ.) / **ა-ტალბოშ** „id.“ (კასლანძია 2005-  
 ა: 174). ა. შაგიროვს მიაჩნია, რომ აფხაზურ-ადიღურენოვან  
 სამყაროში ქართულიდანაა ნასესხები (შაგიროვი 1989: 139).  
 თ. გვანცელაძე მიიჩნევს აფხაზურში ახალ ნასესხობად თურ-  
 ქულიდან (გვანცელაძე 2011: 353).

**უთო** (ქართ.) „გლუვძირიანი, სახელურიანი გასახურებელი ხელსაწყო თეთრეულისა და ტანისამოსის გასასწორებლად, გასატკეცად“ (ქეგლ VI: 1461), **უნთო** (მეგრ.) „უთო“ (ყიფშიძე 1914: 332), **უნთოჲ** (სვან.) „უთო“ (საღლიანი 2005: 134) – **უტოგ** (ადილ.), **აბთუუ** / **იგთუუ** (ყაზარდ.), **აბთუუ** (აბაზ.) „უთო“ (შაგიროვი 1989: 105), **ა-უანთა** „უთო“ (ჯანაშია 1954: 264); ქართული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირად. გულიამ (გულია 2004: 13). სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 51), რასაც ვერ ვიტყვით ჩერქეზულ ენებზე. შდრ. თურქ. **ütü** „უთო“ (მაგაზანიკი 1945: 647).

**ულუფა** (ქართ.) „კერძი, წილი საზრდოსა, საკვებისა“ (ქეგლ VI: 1511), **ულუფა** „(სპარ.) სარჩო, საზრდო, გარდაკვეთილი როჭიკი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1256) – **უგლახ**“ (ყაზარდ.) „ჯამაგირი, ხელფასი“ (შაგიროვი 1977-ა: 95), **ა-უალაფა** (აფხ.) „ხელფასი“ (ჯანაშია 1954: 264). სიტყვები უკავშირდება თურქულ **ulufe** „მოწყალება“, „შემწეობა“. ამოსავალია არაბული **'alūfa**, **'alaf** „ფურაჟი“. ქართული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირად. გულიამ (გულია 2004: 13).

**უბღვრცვზ** (ადილ.) „უბედურების, წარუმატებლობის მომტანი“ (აეგლ 2012: 262) – **უოღურცუზ** / **ოღურცუზ** / **უოღურცუ** (სვან.) „ბოროტი, შურიანი (ადამიანი)“ (საღლიანი 2013: 38); სვანურ ფორმებს პარალელი არ ეძებნება სხვა ქართველურ ენებში. სიტყვის ადიღურიდან სესხებას ვარაუდობს მ. საღლიანი (საღლიანი, იქვე). სიტყვა თურ-

ქულიდანაა ნასესხები: **uğursuz** „უბედური“ (მაგაზანიკი 1945: 436).

**ფალავანი** (ქართ.) „[სპარ. **fahlavān** „მოჭიდავე“, „გმირი“] 1. მოჭიდავე მოჭიდავის საპირისპიროდ. 2. კარგი ვაჟკაცი, – გმირი“ (ქეგლ VII: 7), **ფალავანი / ფალევანი** „(სპარ.) ბუმბერაზი, გმირი, მამაცი, ვაჟკაცი, ჭაბუკი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1293), **ფალაუანდ / ფალუანდ / ფალუან / ფალუანდ** (სვან.) „ფალავანი“ (თოფურია 2000: 749) – **ფელგუან** (ადილ.) „გოლიათი, ფალავანი“, **ფალუან** (უბიხ.) „ფალავანი“ (შაგიროვი 1977-ა: 14), **ა-ფელგუან** (აფხ.) „ფალავანი“ (რალ 1964: 55), **ა-ფელგუან** (აფხ.) „ფალავანი“ (შაყრილი 1987: 33), **ფელუან** (აბაზ.) „ფალავანი“ (აბრლ 1967: 300). სიტყვა ქართველურ-აფხაზურ ენობრივ არეალში შემოსულია სპარსულიდან. სავარაუდოდ, აფხაზურისთვის სესხების შუალედური რგოლი ქართული უნდა იყოს, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არ არის გამოსარიცხი აფხაზურში თურქულიდან ნასესხობის შესაძლებლობა – თურქ. **pehlivan** „ფალავანი, ათლეტი“ (მაგაზანიკი 1945: 484).

**ფანჯარა** (ქართ.) „[სპარ. **fanjara**] შენობის კედელში დაყოლებული ღია ადგილი, რომელშიც მომინული ჩარჩოა ჩასმული“ (ქეგლ VII: 17), **ფენჯერე** (ლაზ.) „ფანჯარა“ (ჯიქია 1975: 68) – **ფენჯერ** (ადილ.) „ფანჯრის მინა“ (ადრლ 1975: 265), **ა-ფენჯერ** (აფხ.) „ფანჯარა“ (რალ 1964: 382). სპარსული წარმოშობის სიტყვა, სავარაუდოდ, თურქულიდანაა შემოსული

ქართულსა და აფხაზურ-ჩერქეზულში. შდრ. თურქ. **pencere** „ფანჯარა“ (მაგაზანიკი 1945: 485).

**ფარა** (მეგრ.) „ფული“ (ყიფშიძე 1914: 334), **ფწრა** (სვან.) „ფული“ (საღლიანი 2005: 100) – **ფარწ** (ადილ.) „ფული“ (შაგიროვი 1989: 117), **ა-ფარა** „ფული“ (ჯანაშია 1954: 274); ქართული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). ამოსავალია თურქული (< სპარ.) **para** „ფული“ (მაგაზანიკი 1945: 479).

**ფაიდი** (გურ., ქიზიყ.) „ხიერი, სარგებელი, ნაყოფიერება“ (ლონტი: 1984: 532), **ფენდა** (მეგრ.) „ხვაგი, ბარაქა; სარფა“ (ქობალია 2010: 624), **ჭაიდე** (ლაზ.) „სარგებლობა, გამოსადეგი“ (თანდილავა 2013: 788), **ფაიდა** / **ფაიდა** (სვან.) „ბაქარა; ხვაგი“ (საღლიანი 2005: 29, 74) – **ჭედწ** (ადილ.) „სარფა, ხიერი, გამორჩენა“, **ა-ჭაიდა** (აფხ.) „შემოსავალი, მოგება“, **ჭაიდა** (აბაზ.) „შემოსავალი“ (შაგიროვი 1989: 87). ნასესხებია თურქულიდან. შდრ. თურქ. (<არაბ.) **fayda** „სარგებელი, სარფა“ (მაგაზანიკი 1945: 186). მეგრულ ფორმაში ნ განვითარებულია, აი > ე ფონეტიკური პროცესისთვის შდრ. ქართ. **ჭვაგი** > \***ჭვაი** > \***ჭვეი** > მეგრ. **ჭვე**; **ამზავი** > \***ამზაი** > \***ამზეი** > მეგრ. **ამზე**; **ნათესავი** > \***ნათესაი** > **ნათესეი** > მეგრ. **ნათესე**... (ჟღენტი 1953: 53).

**ფინჯანი** (ქართ.) „1. ფაიფურის, ან ფაიანსის ყურიანი ჭურჭელი. 2. იმდენი სითხე, რამდენიც ასეთ ჭურჭელში ჩაეტევა“ (ქეგლ VII: 115) – **ფილჯან** / **ჭგრჯჯან** (უბიხ.) „ფინ-

ჯანი“ (შაგიროვი 1989: 105), **ა-ჭერჯან** „სირჩა“ (ჯანაშია 1954: 460). არაბული წარმოშობის სიტყვა თურქულის გზითაა შესული ქართულში, აფხაზურსა და უბიხურში: **filcan / fincan** „ფინჯანი, თასი, ჯამი“ (მაგაზანიკი 1945: 191).

**ფლანელი** (ქართ.) „[ფრან. **flanelle**] ტილოს მსგავსად ნაქსოვი შალის ან ბამბის თბილი ქსოვილი, რომელსაც აქვს წმინდა ბუსუსები ორსავე ან ცალ მხარეს“ (ქეგლ VII: 133), **ფლანელი** „თივთიკის შალი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1310), **ფანელი** (მეგრ.) „id.“ (ქაჯაია 2002-ა: 83), **ფანელ / ფანელ** (სვან.) „ფლანელი“ (თოფურია 2000: 749) – **ჭანიღწ** (ადიღ.) **ა-ფნელ** (აფხ.) „ფლანელი“ (ჯანაშია 1954: 459), **ა-ჭანელა** (აფხ.) „ფლანელი“ (რალ 1964: 603). თურქული (< იტალ.) **fanilâ** „ფლანელი“ (მაგაზანიკი 1945: 184). აფხაზურში მეგრულის გზითაა შესული (ბუკია 2013: 230), შესაბამისად, ადიღეურშიც სესხების შუალედური რგოლი მეგრული ფორმა უნდა იყოს, საიდანაც გავრცელდა მთელ მთელ იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სივრცეში.

**ქირა** (ქართ.) „[არაბ. **ქირნჟ**] სასყიდელი სხვისი სახლის, პირუტყვის თუ რაიმე ნივთისა თუ იარაღის გამოყენებისათვის“ (ქეგლ VII: 328), **ქირა** (მეგრ.) „ქირა“ (ყიფშიძე 1914: 344), **ქირა / ქირაჟ** (სვან.) „id.“ (თოფურია, ქალდანი 2000: 783) – **ჩერწ** (ადიღ.) „ქირა“, **ა-ქერა** (აფხ.) „ქირა, გადასახადი“, **ქერა** (აფხ.); სიტყვა არაბულიდანაა შეთვისებული ქართულსა და აფხაზურ-აბაზურში, ამ უკანასკნელში ქართულის მეშვეობით (ჭარაია 1912: 12).

**ქისა** (ქართ.) „[არაბ. **ქისატ**] მომცრო პარკი ფულის ან სხვა წვრილმანი ნივთებისათვის“ (ქეგლ VII: 330), **ქისა** „ქართული არ არის, თალისა ჰქვიან“ (საბა 1991: 376), **ქესა** (მეგრ.) „ქისა“ (ყიფშიძე 1914: 342), **ქენსა / ქისა / ქესა** (სვან.) „ქისა“ (საღლიანი 2005: 101) – **ჩესან** (ადილ.) „ქისა“, **ა-ქასა** (აფხ.) „ქისა“ (ჯანაშია 1954: 307), **ქესა** (აბაზ.), **ქესა** (უბიხ.) „ქისა“. გვაქვს სხვა კავკასიურ ენებში: **ქესე** (ხუნძ.) **ქისა** (დარგ., ჩეჩნ., ყაბარდ.) „ჯიბე“, აქვე განიხილება ოსური **ქესან / ქესან / ქისან** „ქისა“ (აბაევი 1958: 613).

**ღარიბი** (ქართ.) „[არაბ. **ღარობ**] მცირე ქონების პატრონი, მცირე შემოსავლის მქონე, – ხელმოკლე; უქონელი“ (ქეგლ VII: 400), **ღარიბი** (მეგრ.) „id.“ (ყიფშიძე 1914: 349), **ღარობ / ღარიბ** (სვან.) „ღარიბი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 793) – **ღარობ** (ადილ.) „უცხოელი“, „მარტოხელა“, „მორჩილი“ (შაგიროვი 1989: 126), **ღარიბ** (აბაზ.) „უცხოელი, მოგზაური“ (აბრლ 1967: 141), **ა-ღარ** (აფხ.) „ღარიბი“ (ჯანაშია 1954: 309), **ა-ღარრა** (აფხ.) „სიღარიბე“ (რალ 1964: 360); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). ვვარაუდობდით, რომ არაბული წარმოშობის სიტყვა აფხაზურში ქართულის საშუალებით იყო შესული (ბუკია 2013: 162) . შდრ. თურქ. (< არაბ.) **garip** „უცნაური; უცხო; მოგზაური; მარტოხელა; ნაღვლიანი“ (მაგაზანიკი 1945: 199). ჩერქეზული და აბაზური ფორმა უფრო ახლოს დგას ქართულთან, ვიდრე აფხაზური.

ღუელიაქ / ღოლამქ / ღუელამქ / ჴელამქ / ღულიაქ / ღოლამქ / ღოლაქ / ღოლამქ (სვან.) „ცხვარი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 796) – მალ / მალ'გ „ცხვარი“ (აეგლ 2012: 206); ადიღეური სიტყვა თურქულიდანაა შეთვისებული. შდრ. თურქ. **mal** „საქონელი, ქონება“ (მაგაზანიკი 1945: 392) < არაბ. მალ „id.“. ს. ჯანაშია მიიჩნევს რომ სვანური ღუელიაქ-ის ჴელ ნაწილი ჩერქეზულიდანაა შეთვისებული (ჯანაშია 1942: 272).

ყაბული (ქართ.) „[არაბ. **qabūl**] ყაბული არის თანახმაა“ (ქეგლ VII: 493), ყაბული (მეგრ.) „თანხმობა“ (ყიფშიძე 1914: 354), ყაბულ / ყაბულუნ (სვან.) „ყაბული, თანახმა“ (თოფურია, ქალდანი 2000: 803) – ჯაბგლ (უბიხ.), ა-ყაბგლ / ა-ყაბულ (აფხ.) „თანხმობა“ (შაგიროვი 1989: 85), ყაბგლ (აბაზ.) „ნება-რთვა“ (აბრლ 1967: 247); შდრ. თურქ. (< არაბ.) **kabul** „მიღება, თანხმობა“ (მაგაზანიკი 1945: 300). გვხვდება რიგ კავკასიურ ენაში: ყაბულ / ყაბულაბ (ხუნძ.), ყაბულსი (დარგ.) „თანხმობა“, ყაბულ (ლეზგ.) „დათანხმება“, ყაბგლ (ყაბარდ.) „მიღებული, მართალი“; შდრ. აგრეთვე ყაბულ (ოს.) „თანახმა“ (აბაევი 1973: 254). აფხაზური ფორმა მხოლოდ ბათუმურ თქმაში გვხვდება, რაც ქართულის გავლენით შეიძლება აიხსნას.

ყავარი (ქართ.) „[თურქ. კავარა „ნაჭერი“] ნაპობი თხელი ფიცარი შენობის სახურავად“ (ქეგლ VII: 497), ყავარი „თხელი და ვიწრო ფიცარი“ (საბა 1993: 262), ყამბარი (მეგრ.) „ყავარი“ (ყიფშიძე 1914: 354) – ყაჭარ (უბიხ.) „ყავარი“ (შაგი-



როვი 1989: 139), **ა-ყაჟარ** (აბჟ.) > **ა-ყაურ** „ყავარი“ (ჯანაშია 1954: 314); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 130), უბიხური ქართულიდან ნასესხობად მი-აჩნია ა. შაგიროვის (შაგიროვი, იქვე).

**ყალანი** (ქართ.) „ბეგარა , გადასახადი“ (ქეგლ VII: 502) – **ყაღწნ** (ყაბარდ.) „მოვალეობა“, **ყალან** (აბაზ.) „დავალეობა“, „მოვალეობა“ (შაგიროვი 1977: 224); სიტყვა თურქული **kalan**-იდანაა შეთვისებული.

**ყამა** (ქართ.) „[თურქ. **კამა**] კუთხ. (გურ.) მრგვალწვერა სატევარი“ (ქეგლ VII: 505), **ყამა** (მეგრ.) „ხანჯალი“ (ციფშიძე 1914: 354), **კამა** (ლაზ.) „დიდი დანა, ხანჯალი“ (ქლენტი 1938: 188) – **ჯამშ** (ადილ.) „ხმალი“, **ყამშ** (ყაბარდ.) „ხმალი“, **ჯამშ** (უბიხ.) „ხმალი“ (კვახაძე 2014: 184), **ა-ყამა** (აფხ.) „ხანჯალი, სატევარი (უსლარი 1887: 156), **ყამა** (აბაზ.) „ხანჯალი“ (აბრლ 1967: 249). სიტყვა გვხვდება კავკასიის სხვა ენებშიც: **ღამა** (ჩეჩნ.) „დაშნა“, **ყამა / ყამა** (ოს.) „ხანჯალი“ (აბაევი 1973: 260). სიტყვის ამოსავალია თურქული **kama** „დიდი დანა, ხანჯალი“. ადიღეურ **ჯამშ**-სთან ახლოს დგას მეგრული **ხამი/უ** „დანა“ (ციფშიძე 1914: 397). არ არის გამორიცხული, რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შევიდა ქართველურსა და აფხაზურ-ჩერქეზულში.

**ყანჯალ** (სვან.) „თუნუქი“ – **ყანჟაღ** (ადილ.), **ყანჯაღ** (ყაბარდ.), **ყანჯაღ** (აბაზ.) „ფურცლოვანი რკინა, თუნუქი“

(შაგიროვი 1977: 224). სიტყვა წარმოშობით თურქულ ენათა კუთვნილებაა. შდრ. ყარაჩ.-ბალყ. **ყანჯალ** „თუნუქი“. სვანურში ჩერქეზულის მეშვეობითაა ნასესხები. ფორმები შეაპირისპირა მ. სადლიანმა (სადლიანი 2013: 41).

**ყარაული** (ქართ.) „[თურქ.] დარაჯი“ (ქეგლ VII: 508), **ყარული** / **ყარუუ** / **ყარუული** (მეგრ.) „ყარაული“ (ქაჯაია 2002-ა: 207), **ყარუილ** / **ყარუილ** / **ყარულ** (სვან.) „ყარაული, გუშაგი, დარაჯი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 804) – **ყარაულ** (ადილ.) „დარაჯი, ყარაული“ (შაგიროვი 1977: 225), **ა-ყარულ** (აფხ.) „დარაჯი, ყარაული“ (ბლაჟბა 1964: 559); თურქულიდან შეთვისებული სიტყვა ფართოდაა გავრცელებული ქართველურსა და სხვა ენებში. მეგრულს ტერმინი ქართულიდან აქვს ნასესხები გარკვეული ფონეტიკური ცვლილებებით, კერძოდ, გამარტივებულია ქართული ფორმის **-აუ-** ხმოვანთკომპლექსი, **-ა-** ჩავარდნილია. თუმცა ტერმინი თურქულია: **karagül** „დარაჯი“ (მაგაზანიკი 1945: 315), მაგრამ ჩანს, აფხაზურისთვის სესხების შუალედურ რგოლს მეგრული წარმოადგენს, რადგან აფხაზურისთვის დამახასიათებელი ზოგადობის **ა-** პრეფიქსი „გამეგრულეზულ“ ფორმაზეა დართული. ადიღეური ფორმა კი თურქულიდან ნასესხები ჩანს.

**ყასაბი** (ქართ.) „[არაბ. **კასსაზ**] 1. საქონლის დამკვლელი, ან ხორცის გამყიდველი. 2. იტყვიან კაცის მკვლელზე“ (ქეგლ VII: 512), **კასაბი** „მეგორცე“ (საბა 1991: 355) – **ყასაფ** (ადილ.) „გასაყიდი ხორცი“, **ხასაფ** (ყაბარდ.) „ხორცი“ (შაგიროვი 1989: 93), **ა-კასაფ** (აფხ.) „ყასაბი“ (ჯანაშია 1954: 144).

ქართული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). შდრ. თურქ. **kasab / kasap** „ყასაზი“ (მაგაზანიკი 1945: 321). სავარაუდოდ, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ისესხეს ქართულმა და ჩერქეზულმა ენებმა.

**ყიამათი / ყიამეთი** (ქართ.) „[არაბ. **კიამათ** „მეორედ მოსვლა“] ძნელი, უბედური, საზარელი, საშინელი“ (ქეგლ VII: 541) – **კამათ** (ადილ.), **კამათ** (ყაზარდ.) „მეორედ მოსვლა“ (შაგიროვი 1977: 223), **ა-კამეთ** (აფხ.) „1. ძვ. მეორედ მოსვლა, 2. საშინელება“ (ჯანაშია 1954: 139). ორივე ენისთვის ნასესხობაა, მაგრამ აფხაზურ-ჩერქეზული ფორმები თურქულიდანაა შეთვისებული (გვანცელაძე 2011: 49), ქართული კი, სავარაუდოდ, არაბულიდან.

**შაბათი** (ქართ.) „[ძვ. ებრ. **šabbath** „დასვენების დღე“] შვიდდღიანი კვირის მეექვსე დღე“ (ქეგლ VII: 601) – **შ'აბათ / შ'აშბათ** (ადილ.) „შაბათი“, **ს'აბათ** (უბიხ.) „id.“ (შაგიროვი 1977-ა: 146); ამოსავალია ძველებრაული **šabbath**. იგივე სიტყვა მეგრული **საბატონი**-დან ნასესხობის სახით გვხვდება აფხაზურ-აბაზურ ენებში: **ა-საბშა** „შაბათი“ (შაყრილი 1987: 114), **ა-საბშახ'გ** „მიცვალებულთა მოხსენიება შაბათობით“ (ჯანაშია 1960: 84). ზედმ. „შაბათის წილი“, **საბშა** (აბაზ.) „შაბათი“ (აბრლ 1967: 329). შდრ. სვან. **საფტინ / სამტინ** „შაბათი“ (საღლიანი 2005: 123), რომელიც მეგრულიდან ნასესხები უნდა იყოს. ივარაუდება, რომ კვირის დღეთა გამოხატვის აფხაზურ-აბაზურ სისტემაზე გავლენა იქონია შესაბამისმა მეგრულმა სისტემამ. მეგრულის ზეგავლენაზევე მიუთითებს

(ა)საბჭო „შაბათი“ სიტყვის გაცვეთილი საბ ელემენტის არსებობაც (გვანცელაძე 2000: 30). ა. შაგიროვი სხვაგან უბი-ხურ ფორმად მიუთითებს შაბა ვარიანტს მიუთითებს (შაგი-როვი 1989: 139). ჩანს, მეგრულიდანაა შეთვისებული უბი-ხურში სხვა ფორმაც: საბა „შაბათი“ (ჯანაშია 2015: 106).

**შალი** (ქართ.) „1. მატყლის ქსოვილი. 2. ქალის თბილი მოსასხამი მატყლის სქელი ქსოვილისა“ (ქეგლ VII: 620), **შალი** „მატყლის ნაქსოვი“ (საბა 1993: 278), **შალი** / **ფშალი** (მეგრ.) „შალი“ (ჭარაია 1997: 151), **შალი** (ლაზ.) „შალი“ (შენგელია 2006: 332), **შალ** (სვან.) „თავშალი“ (ავალიანი 1995: 33) – **შალ** (ადილ.) „შალი“, **შალ** (უბიხ.) „id.“ (შაგიროვი 1989: 114), **ა-შალ** (აფხ.) „შალი“ (ჯანაშია 1954: 321). **შალი** სპარ-სული სიტყვაა და ქსოვილის სახეობას აღნიშნავს, თურ-ქულად წამოსასხამსაც ნიშნავს (ჯავახიშვილი 1962: 163). ამო-სავალია თურქული **şal** „შალი, ქაშმირი“ (მაგაზანიკი 1945: 559). ფორმას ქართველურში, გარდა ქსოვილის სახეობის მნიშვნელობისა, „თავშლის“ სემანტიკაც აქვს. მეგრულში **შალი** „თავსაფარს“ ნიშნავს, **ხუჯიშ ფშალი** „მხარზე მოსახ-ვევი შალი“.

**შანა** (ქართ.) „ხატთა ზედა შებმული ფული, მინდობის ნიშანი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1394), **შანა** (მეგრ.) „ქალის და-სანიშნი ნივთი; ნიშანი; საქმროს საჩუქარი“ (ყიფშიძე 1914: 355), **შანა** (იმერ.) „თილისმა“ (ბეზარაშვილი 1978: 118) – **შანგ** (ადილ.) „ნიშანი“, „წინასწარმეტყველება“ (შაყრილი 1971: 145), **ა-შანა** (აფხ.) „შანი“ (ჯანაშია 1954: 321), **ა-ნაშანა** (აფხ.)

„სასწაული“ (გვანცელაძე 2003-ა: 199); მეგრული ფორმა სპარსული წარმოშობის **ნიშან**-იდან მომდინარეობს. მეგრულიდან არის გადასული ადიღეურსა და აფხაზურში. სხვათაშორის, აფხაზურში გვაქვს იგივე სიტყვა სხვადასხვა, ქართულის მსგავსი მნიშვნელობით – **ა-შანა** (აბჟ.) „ხალი“ (ბლაჟბა 1964: 218); **ხალ**-ის აღსანიშნავად აბჟურმა მეგრული ფორმა გამოიყენა. შდრ. მეგრ. **ნიშანი** „ხალი“ (ყიფშიძე 1914: 290).

**შეითანი** (ქართ.) „[არაბ. **შაიტან**] ეშმაკი, სატანა“ (ქეგლ VII: 809), **შეითანი** / **შეიტანი** (ლაზ.) „ეშმაკი“ (ჟღენტი 1938: 212) – **შაითან** / **შეთან** (ადიღ.), **შაითან** (უბიხ.), **ა-შაითან** (აფხ.), **შაითან** (აბაზ. „ეშმაკი“ (შაგიროვი 1989: 82). შდრ. თურქ. (< არაბ.) **şeytan** „სატანა, დემონი“ (მაგაზანიკი 1945: 567).

**ჩანახი** (ქართ.) „1. გულამოდებული ხის (ან თუნუქისაგან გაკეთებული) ცილინდრული ჭურჭელი მარცვლეულისათვის. 2. ამ საწყაოს წონისა“ (ქეგლ VIII: 317), **ჩანახი** „სხვათა ენაა, ქართულად მრდა ჰქვიან ZA. „დიდი პინა CD“ (საბა 1993: 315) – **შენაყ** (ყაზარდ.) „მათლაფა“ (შაგიროვი 1977-ა: 143), **ა-ჩანახ** (აფხ.) „თეფში, მათლაფა“ (უსლარი 1887: 175). ამოსავალია თურქული **çanak** „თიხის ჯამი“ (მაგაზანიკი 1945: 108); გვაქვს აფხაზურ კომპოზიტი **ა-ჩეიჩანახ** „ლამბაქი“ (რალ 1964: 55). შესაძლოა, ყაზარდოულში თურქულიდან შესულიყო, აფხაზურისთვის კი შუალედური რგოლი ქართულია.

**ჩარხი** (ქართ.) „[სპარ. **ჩარხ**] საბრუნებელი მანქანა“ (ქეგლ VIII: 335), **ჩარხი** (მეგრ.) „ჩარხი სალესავი“ (ჭარაია 1997: 155), **ჭარხა** (ლაზ.) „ბორბალი“, „საქსოვი დაზვის ნაწილი“ (მარი 1910: 223), **ჩჳრხ** / **ჩჳრხ** (სვან.) „ჩარხი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 829) – **შჳრჳხ** (ადილ.) „შჳრჳხ“ (ყაზარდ.), **ჭარხ** (უბიხ.) „ჩარხი“, **ა-ჩარხ** (აფხ.) „ჩარხი“, **ჩარხ** (აბაზ.) „ბორბალი“ (შაყრილი 1971: 142). სპარსულიდან შეთვისებული სიტყვა ფართოდ არის გავრცელებული კავკასიურ ენებში: **ჩარხ** (ხუნძ., ლეზგ.) „ჩარხი“, **ჩარხ** (ანდ., ვაინახ.) „ბორბალი“; გვხვდება ოსურში **ცალხ** „ბორბალი“ (აბაევი 1958: 287). აფხაზურში ქართულიდანაა ნასესხები. ამაში გვარწმუნებს აუსლაუტის პალატალიზებული **ხ**, რომელიც ქართული სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნის რეფლექსია.

**ჩოხა** (ქართ.) „[თურქ. ჩუხა] 1. ზედა სამოსელი – წელში გამოყვანილი, ღრმად გულამოჭრილი, გახსნილსახელოებიანი და განიერკალთებიანი; 2. ძვ. ბერ-მონაზონთა ტანსაცმელი“ (ქეგლ VIII: 534); **ჩოხა** (მეგრ.) „ჩოხა“ (ელიავა 1997: 350) – **სჳჳუხა** / **შჳჳუხჳ** (ადილ.) „მაუდი“, **ჩჳუხა** (აბაზ.) „id.“ (შაგიროვი 1989: 115), **ა-ჩოჳჳა** / **ა-ჩჳჳა** (აფხ.) „მაუდი“ (ჯანაშია 1954: 345). **ჩოჯა** / **ჩოხა** ქართულში IX-X საუკუნეებში ჩნდება, ამიტომ უფრო საფიქრალია, რომ ეს ტერმინი სპარსულიდან იყოს შეთვისებული, ვიდრე თურქულიდან (ჯავახიშვილი 1962: 99). ძველ ქართულში ის „საბერო სამოსელია“ (აბულაძე 1973: 512). მეგრულში **ჩოხა** ქსოვილის სახეობას, კერძოდ, „შალს, მაუდს“ აღნიშნავს. შდრ. თურქ. **çuha** „მაუდი“ (მაგაზანიკი 1945: 126).

**ჩუანი / ჩუვანი** (მეგრ.) „თუჯის ქვაბი“ (ჭარაია 1997: 157), **რჩუანი** „id.“ (ჭანტურია 1996: 216); **ჩუვენი** (ლაზ.) „ქვაბი“ (მარი 1910: 211); **ჩტენი / ჩტედნ / ჩედნ / ჩონ / ჩუენი** (სვან.) „სპილენძის, ან თუჯის ქვაბი, დიდი კარდილა“ (თოფურია, ქალდანი 2000: 833), **ჩონა** (რაჭ.) „თუჯის ქვაბი“ (ლლონტი 1984: 661) – **შეტუან** (ადილ.) „ქვაბი“, **შეტუნ** (ყაბარდ.) „ქვაბი“, **ა-ჩ(გ)ტუან** (აფხ.) „თუჯის ქვაბი რძის ასადულეზლად“, **ჩ(გ)ტუან** (აბაზ.) „ქვაბი, **ჩ(გ)ტუჷ** (უბიხ.) „ქვაბი“, **ჩეტუნა** (უბიხ.) „დიდი ქვაბი“ (ჯანაშია 2015: 117); ჰ. ჭარაიას მიაჩნია, რომ აფხაზურში მეგრულიდან ნასესხობად (ჭარაია 1912: 13). ვფიქრობთ, რომ ორსავე ენაში ნასესხებია თურქულიდან, მაგრამ სესხების შუალედური რგოლის გარკვევა ჭირს (ბუკია 2007: 166). სიტყვა გავრცელებული კავკასიურ ენებში: **ჩოდენ** (ხუნძ.), **ჩუონ / ჩონ / ჩუინა** (ვაინახ.). გვაქვს ოსურშიც: **ცტუან / ციტუან** „თუჯი“. რუსული **чугун** ამ ნასესხობათა რიგშია (აბაევი 1958: 318). კ. შაყრილი გვთავაზობს, აფხაზური **ა-ჩ(გ)ტუან** სიტყვის ეტიმოლოგიას: **აჩ** = **აჩარა** „ჭამა“, **უა** მომდინარეობს სიტყვიდან „კეთება“, **ნ** ლოკატიური აფიქსია, შესაბამისად, **ა-ჩ(გ)ტუან** ზედმიწევნით ნიშნავს „რამიც საჭმელს აკეთებენ“ (შაყრილი 1971: 63). ბუნებრივია, ასეთი ხალხური ეტიმოლოგიის მიღება შეუძლებელია, მითუმეტეს, თავადვე აღნიშნავს, რომ სიტყვა თურქულ ენებშიც იძებნება.

**ხაზინა** (ქართ.) „[არაბ. **ხაზინე** „სალარო“, „საჭურჭლე“] „1. განძი, საგანძური. 2. სახელმწიფო ქონება“ (ქეგლ VIII: 1315) – **ხ'არზენ** (ადილ.) „საუკეთესო, ძვირფასი“, **ხ'არზენჷ**

(ყაზარდ.) „ხაზინა“, **ხაზენა** (უბიხ.) „საგანძური, ხაზინა“ (მაგიროვი 1977-ა: 109), **ა-ხაზენა** (აფხ.) „საგანძური“ (რალ 1964: 503), **ხარზენა** (აბაზ.) „1. საგანძური; 2. სიმდიდრე“ (აბრლ 1967: 384). არაბული წარმოშობის სიტყვა გვხვდება სხვა ენებშიც: ლაკ., ჩეჩნ. **ხაზნა**, სომხ. **ხაზინა**, ოსური **ხაზნა** / **ხაზინა** „ძვირფასეულობა“, „საგანძური“, „სიმდიდრე“ (აბაევი 1989: 195). ქართული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13).

**ხათრი** (ქართ.) „[არაბ.-სპარ. **ხათირ**] პატივისცემა, თავაზი“ (ქეგლ VIII: 1316), **ხათრი** (მეგრ.) „პატივისცემა, მორიდება“ (ყიფშიძე 1914: 396), **ხათრ** / **ხათრ** (სვან.) (თოფურია, ქალდანი 2000: 867) – **ხათერ** (ადიღ.) „პატივისცემა“, **ხათერ** (ყაზარდ.) „id.“ **ა-ჰათერ** (აფხ.) „id.“ (ჭარაია 1912: 11), **ხათერ** (აბაზ.) „id.“. არაბულ-სპარსული სიტყვა წარმოდგენილია სხვა ენებშიც: ხუნძ. **ხათირ**, ლაკ. **ხათირ**, ლეზგ. **ხათურ**, ადულ. **ხათირ**, წახ. **ხათრ**, ოსური **ხათერ** / **ხათირ** (აბაევი 1989: 147).

**ხამჰალა** (მოხ.) „წყალი ან რძეში მოხარშული მჭადის ფქვილის გორგლები“ (დლონტი 1984: 738) – **ჰალჰამჰ** (ადიღ.), **ხაჰლ’ამჰ** (ყაზარდ.), **ა-ჰამჰალ** (აფხ.), **ჰამჰალ** (აბაზ.) „სიმინდის ცომისგან მოხარშული კვერები“, **ხამჰამჰ** / **ხალტამა** / **ხაჰლჰამჰ** / **ხამჰალჰ** / **ხალტამა** (ოს.) „id.“ (აბაევი 1989: 169-170). ბ. ბალყაროვი მიიჩნევს, რომ ფორმა ოსურში ჩერქეზულიდანაა შეთვისებული (ბალყაროვი 1965: 29). ამოსავალია თურქ. **yatlama** (ცხიმში გამომცხვარი ფენოვანი კვერები“ (აბაევი, იქვე). სავარაუდოდ, ჩერქეზულიდან



ოსურში შესული სიტყვა ამ უკანასკნელის მეშვეობით აღმოჩნდა მოხეურში. ნ. მაჭავარიანი გვთავაზობს აფხაზური **ა-ჰამჰალ** სიტყვის განსხვავებულ ეტიმოლოგიას. ის მიიჩნევს, რომ ფორმა კომპოზიტს უნდა წარმოადგენდეს: **ა-ჰა მსხალი**“ + **მჰალ**. ეს უკანასკნელი ქართული წარმოშობისაა: ქართ. **კვერი** > მეგრ. **კვარი** > აფხ. **(მ)ჰალ**. კომპოზიტი ეტიმოლოგიურად „მსხალკვერს“ ნიშნავს და არის პირამიდის ფორმის სარიტუალო საკვები, რომელსაც ახალ წელს ხარშავენ (მაჭავარიანი 2014: 142).

**ხარჯი** (ქართ.) „[არაბ. **ჰარჯ**] 1. რაც იხარჯება, – გასავალი, დანახარჯი“ (ქეგლ VIII: 1349), **ხარჯი** (მეგრ.) „ხარჯი, გასავალი“ (ციფშიძე 1914: 399), **ხარჯ** / **ხარჯ** (სვან.) „ხარჯი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 869) – **ხარჯ** (ადილ.), **ხარჟ** (ყაზარდ.) „id.“ (შაგიროვი 1989: 87); **ა-ხარჯ** (აფხ.) „გასავალი, ხარჯი“ (ჯანაშია 1954: 411), **ა-ჰარჯ** „id.“ (შაყრილი 1987: 290). ამოსავალია თურქული **harc** (მაგაზანიკი 1945: 232). ქართული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13).

**ხეირი** (ქართ.) „[არაბ. **ხეირ**] 1. სიკეთე, წარმატება. 2. სარფა, მოგება, გამორჩენა“ (ქეგლ VIII: 1371), **ხეირი** „სიკეთე“ (ჩუბინაშვილი 1887: 1731) – **ხერ** / **ხაერ** (ადილ.) „სიკეთე, სარგებელი, სიხარული“ (შაგიროვი 1977-ა: 110), **ხაირ!** (აფხ.) „ხეირი!“ (ჯანაშია 1954: 415), **ხაირ** „ხეირი, სიკეთე“ (გვანცელაძე 2003: 197). **ხაეგრ** (აბაზ.) „სარგებელი“ (აბრლ 1967: 383); სიტყვა ფართოდ არის გავრცელებული სხვა კავკასიურ

ენებშიც: ყაზარდ. **ხადრ**, ჩეჩნ., ინგ., **ხედრა**, ხუნძ., ლეზგ., **ხადრ**, ანდ, **ხადრ**, ლაკ. **ხადრ**... გვხვდება ოსურშიც: **ხადირ** „ხეირი“ (აბაევი 1989: 134). ამ შემთხვევაში სესხების შუალედურ რგოლზე საუბარი ძნელია, თუმცა ბუნებრივია, რომელიმე კავკასიური ენიდან უნდა შესულიყო დანარჩენში.

**ხინკალი** (ქართ.) „დაკეპილი ხორცი, პურის ცომში გახვეული და მოხარშული“ (ქეგლ VIII: 1456) – **ხენკალ** (ადიღ.), **ხენკალ** / **ხანკალ** (ყაზარდ.) „ატრია“. ხუნძური სიტყვა შესულია სხვა ენებში: ჩეჩნ., ინგ. **ხინგალ**, ყუმ. **ჰინკალ** „ხინკალი“, ოსური **ხანკალ** / **ხინკალ** „ატრია“. ვ. აბაევი თვლის, რომ „ატრიის“ მნიშვნელობით ოსურიდანაა შესული ჩერქეზულ ენებში (აბაევი 1989: 174).

**ხურჯინი** (ქართ.) „[სპარ. **ხურჯინ**] ორთვლიანი ნაქსოვი აბგა მხარზე გადასაკიდებელი ან ცხენის უნაგირის ტახტაზე ჩასაკვრელი, ჩვეულებრივ სურსათ-სანოვაგის საზიდად“ (ქეგლ VIII: 1532), **ხურჯინი** „თურქთ(ა) ენაა, ქართულად მახალი ჰქვიან, აბგას – მახალაკი“ (საბა 1993: 435), **ხურჯინი** / **ხურჯონი** / **ხუროჯინი** / **ხურუჯონი** (მეგრ.) „ხურჯინი“ (ყიფშიძე 1914: 30), **ხურჯინ** / **ხურჯუნ** (სვან.) „ხურჯინი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 877) – **ხ'ურჯენ** (ყაზარდ.), **ა-ხ'ურჯენ** (აფხ.) „ხურჯინი, აბგა“ (ჯანაშია 1954: 425), **ა-ხ'რჯან** „id.“ (კასლანძია 2005-ა: 373). ჩერქეზულ-აფხაზურისთვის ამოსავალია ქართველურიდან შეთვისებული ფორმა. ვ. აბაევი მიუთითებს ოსურ და კავკასიურ ენებში გავრცელებულ სხვა ფორმებსაც: ოსური **ხორძენ** / **ხურძინ**, თაბას. **ხურჯ**, ლაკ. **ხურჯინ**. მათთვის ამოსავალია სპარსული **xurjin** (აბაევი 1989: 217).

**ჯაშუში** (ქართ.) „[არაბ. **ჯასუს**] 1. პირი, რომელიც რომელიმე მთავრობის დავალებით იგებს სხვა ქვეყნის სახელმწიფოს სამხედრო საიდუმლოს. 2. მახეზღარა“ (ქეგლ VIII: 1567) – **ჯასუს** (ადილ.), **ჟასუს** „ჯაშუში, მსტოვარი“ (შაგიროვი 1989: 126). შდრ. თურქ. **casus** „ჯაშუში“ (მაგაზანიკი 1945: 95). სესხების შუალედურ რგოლზე მსჯელობა ჭირს.

**ჯიბე** (ქართ.) „[არაბ. **ჯიბ**] ზედა ტანსაცმელზე მიკერებული პატარა პარკი ფულის, ცხვირსახოცის და მისთან. ჩასადებად“ (ქეგლ VIII: 1585), **ჯიბე** „ფარაგი“ (საბა 1993: 456), **ჯიბე** (მეგრ.) „ჯიბე“ (ციფშიძე 1914: 413), **ჯები** / **ჯებე** (ლაზ.) „id.“ (მარი 1910: 236); **ჯიბ** / **ჯიბაი** / **ჯიბზ** (სვან.) „id.“ (თოფურია, ქალდანი 2000: 887) – **ჯებ(ზ)** / **ჟებ** (ადილ.) „ჯიბე“, **ჯებზ** (უბიხ.) „id.“, **ჯებ** (აზაზ.) „id.“ (შაგიროვი 1989: 112), **ა-ჯება** (აფხ.) „ჯიბე“ (ჯანაშია 1954: 450), **ა-ჯაბა** (ზუზ.) „id.“ (ბლაჟბა 1964: 206). ქ. ლომთათიძის თვალსაზრისით ქართულიდანაა შეთვისებული აფხაზურში (ლომთათიძე 1976: 47). სიტყვა ფართოდაა გავრცელებული კავკასიურენოვან სივრცეში: **ჯიბ** (უდ., თაბას.), **ჟიფ** (არჩ.), **ჟიფ** (ლაკ.), ასევე ოსურში **ძეფფ** (აბაევი 1958: 406). აფხაზური კომპოზიტი **ა-ფგერჯება** „გულის ჯიბე“ (შაყრილი 1986: 166) მეგრულიდანაა ნასესხები. ამოსავალია **გურიშ ჯიბე** / **გურჯიბე** „გულის ჯიბე“.

**ჯილაგი** (ქართ.) „გვარი, ჯიში, მოდგმა“ (ქეგლ VIII: 1538) – **ჟილზ** / **ჩილზ** (ადილ.) „მოსახლეობა“, „საზოგადოება“, „ხალხი“ (შაგიროვი 1977: 197). შდრ. აგრეთვე აფხ. **ა-ჟულა**

„ჯიში“, „გვარი“, უდ. ცილ „შთამომავლობა“. ყაბარდო-ულიდან ნასესხობის სახით გვხვდება ოსურშიც: **ძელა** / **ძილა** „საზოგადოება“, „ხალხი“, ხოლო დიგორული **ძილაგა** ქართულიდან ნასესხობაა (აბაევი 1958: 405, 397). ჩერქეზულ ფორმაში გ. როგავა უშვებს გაქვავებული კლას-კატეგორიის - **ლ** ნიშნის არსებობას (როგავა 1956: 73). საეჭვოა, რომ კავკასიური წარმომავლობისა იყოს. სიტყვა გვხვდება ყარაჩა-ულ-ბალყარულ, ყირგიზულ და სხვა ენებში (შაგიროვი 1977: 197).

**ჯინი** (ქართ.) „[არაბ. ჯინნ] 1. ავი სული, გრძნეული, დემონი (ქეგლ VIII: 1591), **ჯინი** „(არაბ.) სპარსულად ფერია, ზღაპრულად კეთილი სული, შემწე კაცთა და წინააღმდეგი დევთა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1771) – **ჟინ** (ადილ.), **ჟენ** / **ჯენ** (ყაბარდ.), **ა-ჯენ** (აფხ.), **ჯენ** (აბაზ.), **ჯინ** (უბიხ.) „ჯინი, ავი სული“ (შაგიროვი 1977: 195). შდრ. თურქ. **cin** „ავი სული“ (მაგაზანიკი 1945: 101). სესხების შუალედური რგოლის გარკვევა ძნელია.

**ჯურმა** (რაჭ.) „შიგნეულისგან გაკეთებული საჭმელი“ (დლონტი 1984: 786) – **ჟურმ** / **ჯორმ** (ადილ.), **ჯრმ** (უბიხ.) „შიგნეულისგან გაკეთებული საჭმელი“. სიტყვა თურქულიდანაა ნასესხები და ფართოდ არის გავრცელებული სხვა ენებში: ოს. **ძორმ** / **ზორმ** „კუპატი“ (აბაევი 1959: 398), ყარაჩ.-ბალყ. **ჯერმე** „კუპატი, ნაწლავებისგან გაკეთებული ძეხვი“, ნოდ. **ძორმე** „ოჯახური კუპატი“, ყირგ. **ჯურმ** „id.“ (შაგიროვი 1977: 194). სავარაუდოდ, რაჭულისთვის სესხების შუალედური რგოლი ჩერქეზულია.

## თავი IV

### ხმაბაძვითი სიტყვები

ხმაბაძვითი სიტყვები სესხების მიმართულების დასადგენად ნაკლებად საიმედოა, მაგრამ ცალკეულ ფორმებზე დაკვირვებით მაინც იკვეთება გარკვეული ტენდენციები:

**აშ, იშ, იშო** (ქართ.) „ხარის გარეკვის შორისდებული“, **იშია** „ხბო ბავშვთა ენაზე“, „ხბოს მოფერებითი სახელი“ (ქავთარაძე 1972: 181) – **უგ / ცგ** (ადილ.), „ხარი“, **ცგ** (უბიხ.) „ხარი“, **ა-ც** (აფხ.) „ხარი“, **ჩგ** (აბაზ.) „ხარი“ (შაგიროვი 1977: 107). გ. კლიმოვი მიიჩნევს, რომ ჩერქეზული სიტყვები ენათესავება „ცხვრის“ აღმნიშვნელ საერთოქართველურ \***უაგ** ფორმას (კლიმოვი 1964: 82). ი. ქავთარაძე აფხაზურ-ჩერქეზულ ფორმებს უკავშირებს ხარის მოხმობის ქართულ შორისდებულებს **აშ, იშ, იშო** და ხბოს მოფერებით სახელს **იშია** (ქავთარაძე, იქვე).

**ბზიკი** (ქართ.) „ფუტკრის მსგავსი ყვითელი მწერი“ (ქეგლ I: 1051) – **ბზ** / **ბჟ** (ადილ.) „ფუტკარი“, **ბჟ** (ყაბარდ.) „ფუტკარი“; **ა-ბჟე** (აფხ.) „ხოჭო“, **ბჟე** (აბაზ.) „ხოჭო“ (შაგი-

როვი 1977: 89). ხმაბადვითი სიტყვაა შდრ. ქართ. **ბზული**. გ. როგავა ჩერქეზულ ფორმათა შორის განიხილავს უბიხურ **ბჟამ** „კრაზანა“ ფორმას (როგავა 1956: 42). კ. ბოლდა ადიღეურ ფორმას უკავშირებს ქართულ **ბზიკ**-ს (ბოლდა 1950: 292).

**ბზრიალი** (ქართ.) „სწრაფად ბრუნვა, ტრიალი“ (ქართული ლექსიკონი 2014: 78) – **ბზაბზაჟ** (ადიღ.) „ტრიალი“; ხმაბადვითი სიტყვებია. სავარაუდოდ, სესხებაზე საუბარი ძნელია (მასალა მოგვაწოდა მ. საღლიანმა).

**ბუ** (ქართ.) „ღამის მტაცებელი ფრინველი, დიდთავა და დიდრონთვალეზა, მოგრძო მოკაკულ-ნისკარტიანი“ (ქეგლ I: 1154), **ლუ** (მეგრ.) „ბუ“(ყიფშიძე 1914: 352) – **ზუნდუ** / **ზუნტუ** (ადიღ.) „ბუ“ (აეგლ 2010: 346). ადიღეური სიტყვების ბოლო ნაწილი **უუ** / **უუ** ხმაბადვითი ხასიათისაა. შდრ. უბიხური **ზუნტუ** „ბუ“ (ჯანაშია 2015: 97). ა. შაგროვს, რომელიც განიხილავს მოცემულ ფორმებს, შედარებისთვის მოჰყავს ქართ. **ბუ**, მეგრ. **ლუ**, ლაკ. **ოსუ** „ბუ“. ადიღეურიდან არის ნასესხები უბიხური **ჟუნდუ** „ჰოტი“, **ზუნტუ** „ბუ“ (შაგროვი 1977: 202). ვვიქრობთ, ჩერქეზულ მასალასთან შესადარებლად უფრო რეალურია ქართული (ზემოიძერ.) **ზანდარა** „დიდი, ზორბა“ (ღლონტი 1984: 228) ფორმის მოხმობა.

**ბუბუნი** (ქართ.) „ხარის გაბმული ნელი ყვირილი ბულ-რაობისას“ (ქეგლ I: 1155) – **ბუბუნ** / **ბუბუნ** (ადიღ.) „ბლავილი“ (აეგლ 2010: 82); ადიღეური სიტყვა, ისევე როგორც ქართუ-

ლი, ხმაბაძვითია. შდრ. აფხ. **ა-ბეჭჭრა** „ბლავილი“. ამ უკანასკნელს ტ. გუდავა აკავშირებს ხუნძურ-ანდიურ და ქართულ მასალასთან: ხუნძ. **ბუბუ** „არის ბლავილი“, ქართ. **ბუბუნი** „id.“ (გუდავა 1959: 56-57). ქ. ლომთათიძე აფხაზურ ფორმას აკავშირებს ქართულ **ბლეილ**-თან (ლომთათიძე 1955: 826).

**ბლავილი** (ქართ.) „ძროხისა და ცხვრის ხმიანობა“ (ქეგლ I: 1200), **ღვარა / ღვარაფი** (მეგრ.) „ყვირილი, ბლავილი“ (ყიფშიძე 1914: 352) – **ღწგენ / ღწწწ** (ადილ.) „ბლავილი“, **ღა** (უბიხ.) „ბლავილი“ (კვახაძე 2014: 284). ორსავე ენობრივ სისტემაში სახეზეა ხმაბაძვითობა. გასარკვევია ადიღეურ ფორმებში **გენ, ხწწ** ელემენტების ფუნქცია.

**გუგული** (ქართ.) „ტყის ფრინველი“ (ქეგლ II: 1492), **გუგული** (მეგრ.) „გუგული“ (ყიფშიძე 1914: 219), **გუგული** (ლაზ.) „გუგული“ (მარი 1910: 136) – **კკკკა** (ადილ.), **ქქქქ** (ყაბარდ.), **ა-კკკ** (აფხ.), **კკკა** (აბაზ.), **გგგგ / კკკ / კკკ** (უბიხ.), **გიგუ / გიგო** (ხუნძ.), **გუგუტა** (ბაცბ.), **ქუქუპ** (ლეზგ.) „გუგული“ (კლიმოვი 1965: 301). ხმაბაძვითი სიტყვაა. ქართული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). ნ. მაჭავარიანის ვარაუდით, აფხაზურში ნასესხებია ქართულიდან (მაჭავარიანი 2009: 151), შესაბამისად, ჩერქეზულშიც ქართულიდან ჩანს შეთვისებული.

**კაკანი** (ქართ.) „1. ქათმის ხმიანობა. 2. კაკანის მსგავსი წვრილი ხმით სიმღერა; კაკანივით გაბმული ლაპარაკი. 3. გადატ. გაბმული სროლის ხმა“ (ქეგლ IV: 1025), **კაკანი** „ქათმისა და კაკბის ჳმიანობა“ (საბა 1991: 347), **კარკალი** (მეგრ.) „კაკანი“ (ყიფშიძე 1914: 252) – **კაკან** (ადილ.) „კაკანი“, **კვრ-კვრ** (უბიხ.) „ქათმის ხმა“ (კვახაძე 2014: 282), **აკაკარა** / **აკარ-კარრა** (აფხ.) „id.“; ხმაბაძვითი სიტყვებია და ნათესაობის დასამტკიცებლად ნაკლებად გამოდგება (ჭარაია 1912: 27), თუმცა აფხაზურ სიტყვათა ვარიანტები, ასევე უბიხური გვაგარაუდებინებს, რომ ქართველურის გავლენა იგრძნობა, **აკაკარა** ქართულიდანაა შეთვისებული, **აკარკარრა** და **კვრ-კვრ** კი – მეგრულიდან.

**ფრენა** (ქართ.) „1. ფრთების მოძრაობა, სვლა ჰაერში; 2. გადატ. მეტისმეტად სწრაფად სირბილი, – ქროლა“ (ქეგლ VII: 169), **ფურინუა** (მეგრ.) „ფრენა“ (ყიფშიძე 1914: 339) – **ფვრ-ფვრ** (ყაზარდ.) „ფრენის ხმა, იმიტაცია“ (კვახაძე 2014: 265), **ფვრ** (უბიხ.) „ფრენა“ (ჯანაშია 2015: 110), **ფვრრა** (აბაზ.) „ფრენა“ (ჩუხუა 2006: 59), **აკვვრრა** (აფხ.) „ფრენა“ (უსლარი 1887: 153); ხმაბაძვითი სიტყვებია. 3. ჭარაია ამ ფორმებს უკავშირებს მეგრულ **ფარფალ**-ს „პეპელა“ (ჭარაია 1912: 35). მდრ. უდიური **ფურ**-, არჩ. **ფარხ**- (კლიმოვი 1964: 190).

**ქაც-ქაც** (მეგრ.) „თხის მოსახმობი“ (ქობალია 2010: 634) – **ქაც-ქაც** (ადილ.), **კაც-კაც** (უბიხ.) „თხის მოხმობის შორისდებული“ (კვახაძე 2014: 82), **ქაც-ქაც** (უბიხ.) „id.“ (ჯანაშია 2015: 110), **ქაცა-ქაცა** (აფხ.) „id.“, **ქეც-ქეც** / **ქაც-ქაც**



(აფხ.) „id.“ (კვარჭია 1981: 26). ხმაბაძვითი სიტყვებია, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ კავშირშია „თიკნის“ აღმნიშვნელ მეგრულ **ქაცარ**-თან. შესაბამისად, ფორმები მეგრულიდან ნასესხებად უნდა განვიხილოთ აფხაზურ-ჩერქეზულში.

**ღიაფი** (მეგრ.) „ღნავილი“ (ქაჯაია 2002-ა: 182) – **ღენ** (ადილ.) „ტირილი“, **ღენ** (ყაბარდ.) „ტირილი“, 'ღა (უბიხ.) „ტირილი“ (კვახაძე 2014: 284). ხმაბაძვითი სიტყვებია.

**ღორღოლ** (სვან.) „ბუ“ (ლიპარტელიანი 2014: 265) – **დღღურღღუ** / **თღღურღღუ** (ადილ.) „ბუ“ (შაგიროვი 1977: 154). სახეზეა აშკარა ხმაბაძვითობა.

**ღრღნა** (ქართ.) „წვრილად ფხვნა კბილებით, – ხვრა“ (ქეგლ VII: 484) – **ღზენ** (ყაბარდ.) „ღრღნა“. შესაძლოა, ხმაბაძვითი სიტყვა იყოს. ადიღეური ფორმის ხმაბაძვითობის ასახსნელად ა. შაგიროვი მოუხმობს ქართულ სიტყვას **ღრღნა**, **ღერღა** (შაგიროვი 1977: 171). შდრ. მეგრ. **ღირღონუა** „ღრღნა“ (ქაჯაია 2002-ა: 187).

**ცახცახი** (ქართ.) „ძლიერი კანკალი, – ძაგძაგი“ (ქეგლ VIII: 583), **ცანცალი** (მეგრ.) „ცახცახი“ (ყიფშიძე 1914: 370) – **სგსგენ** (ადილ.) „კანკალი“ (შაგიროვი 1977-ა: 65); ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ ადიღეური ფორმა ხმაბაძვითია, ისევე როგორც აფხაზურ-აბაზური **ა-წესრა** / **წესრა** „id.“ და ანალოგიისთვის მოჰყავს ქართული **ცახცახი** და მეგრ. **ცანცალი** (იქვე).

**ხვრინვა** (ქართ.) „სახელი ხვრინავს ზმნის მოქმედებისა, – ხიხინით სუნთქვა ძილში“ (ქეგლ VIII: 1447), **ხურხინი** (მეგრ.) „ხვრინვა“, **ხურუნი** (სვან.) „ხვრინვა“ (ფენრიხი, სარ-ჯველაძე 2000: 705) – **ფგრგენ** (ადილ.), **ფგრგან** (ყაზარდ.) „ხვრინვა“, **ა-ხგრხრა** „ხვრინვა“ (შაგიროვი 1977-ა: 39). მითითებული სიტყვები ხმაბაძვითია.

## თავი V

### varia

ამ ჯგუფში წარმოდგენილია ქართველურსა და ჩერქეზულ-აფხაზურში პოვნიერი საერთო სემანტიკის მქონე სიტყვები, რომლებიც ფონეტიკურადაც მსგავსია, არ არის საერთოკავკასიური ან საერთო ქართველურ-ჩერქეზული ლექსიკური ფონდის კუთვნილება, შესაბამისად, ურთიერთნასესხობად უნდა წარმოვიდგინოთ, თუმცა სესხების მიმართულების გასარკვევად სათანადო მასალა ხელთ არ გვაქვს.

**ამბორი** (ქართ.) „კოცნა“ (ქეგლ I: 299) – **ჭებჭუნ** (ადილ.) „კოცნა“, **ბა** (ყაზარდ.) „კოცნა“ (კვახაძე 2014: 298). შესაძლოა, ქართული და ჩერქეზული ფორმები ერთმანეთს უკავშირდებოდეს. მ. ანდრონიკაშვილი ქართული სიტყვის ამოსავალ ფორმად მიიჩნევს ფალ. **ჰამბორ**-ს, შდრ. ოსური **ამბუდგენ** „ყნოსვა, შეგრძნება“ (ანდრონიკაშვილი 1966: 223).

**ბაქია** (ქართ.) „ტრაბახა, მკვეხარა“ (ქართული ლექსიკონი 2014: 74) – **ბაჭ** (ადილ.) „ბაქია, ტრაბახა“ (ადრლ 1975: 25); შესაძლოა, ერთი და იგივე ძირი იყოს.

**ბეჭედი** (ქართ.) „1. თითზე ჩამოსაცმელი პატარა რგოლი, სამკაული ძვირფასი ლითონისა; 2. ძვ. თვლიანი ბეჭედი, რომლის თვალზე ამოჭრილი იყო წარწერა ან სხვა რამ ნიშანი“ (ქეგლ I: 1046) – **მეჭე** (ადილ.) „ძვირფასი ქვა“; გ. როგავა ქართულ ფორმას უდარებს სხვა ადილეურ სიტყვას: **დგშ** „ოქრო“, სადაც გამოყოფს **დგ-** გაქვავებულ კლას-ნიშანს და ძირს **შ**, პარალელურად მოჰყავს ხუნძ. **მესედ** < **მე-სედ** „ოქრო“, ჭამ. **მისუდ** < **მი-სუდ** „ოქრო“, არჩ. **მისარტუ** < **მისა(რ)ტ(უ)** „ოქრო“. ქართულ ფორმასთან მოხმობილი აქვს მეგრული **მარწკინდი** „ბეჭედი“ (როგავა 1956: 6). შევნიშნავთ, რომ არნ. ჩიქობავა მეგრულ-ლაზური **მაწინდი** / **მაწკინდი** / **მარწკინდი** „ბეჭედი“ სიტყვების შესატყვისად მიიჩნევს ქართულ **წინდ-** „გორაო“ ფორმას (ჩიქობავა 1938: 179). ერთი რამ ცხადია, ქართული **ბეჭედი** და ადილეური **მეჭე** „ძვირფასი ქვა“ მსგავსებას ამჟღავნებენ. მ. ანდრონიკაშვილი ქართულ **ბეჭედ-**ს სპარსულ **pēčitak** „ხვეული, რკალი“ ფორმიდან მომდინარედ თვლის (ანდრონიკაშვილი 1966: 229).

**ბეხე** (სვან.) „სტაფილო“ (თოფურია, ქალდანი 2000: 161) – **ფხე** (ადილ.) „სტაფილო“, **ფხე** (ყაბარდ.) „სტაფილო“ (კვახაძე 2014: 69) – მ. სალლიანი ვარაუდობს, რომ სიტყვა ადილეურიდან აქვს შეთვისებული სვანურს (სალლიანი 2013: 41). თუმცა არსებობს სხვა თვალსაზრისიც: მ. ჩუხუა სვანურ სი-

ტყვას აკავშირებს ქართულ მხალი / ფხალი, ზანურ ხული „თალგამულა, მიწაფხალი“ ფორმებთან, რომელსაც მონათესავე ფუძეები ეძებნება ნახურ და დალესტნის ენებში (ჩუხუა 2000-2003: 75).

**ბუგრი** (ქართ.) „მსხმო, მუწუკები (საბა)“ (ქეგლ I: 1156) – **ბზგ / ბზგვ** (ადილ.) „მუწუკი“; ა. შაგიროვი ადილეურს, გარდა ქართული ფორმისა, ადარებს ჩეჩნ.-ინგ. **ბოგ** „კოპი“, უბიხ. **ბზგვ** „მუწუკი“. ეს უკანასკნელი ადილეურიდანაა შესული (შაგიროვი 1977: 71).

**ზოგი** (ქართ.) „ყველას შორის რომელიმე ერთი (ან რამდენიმე), რაღაც გარკვეული ნაწილი“ (ქეგლ IV: 163) – **ზე** (ადილ.) „ერთი“ (შაგიროვი 1977: 210). ადილეური სიტყვა უბიხური **ზნ**-ს „ერთი“ მონათესავეა. ასევე, იგივეა, რაც აფხაზურ-აბაზური **ზა / ზე** ელემენტი სიტყვებში **ჟუეძა / ჟუიზ** „თერთმეტი“, **ზნე** „ერთხელ“, **ზეგვ** „ყველა“ (დიუმე-ზილი 2015: 27). აფხაზურ ფორმას არნ. ჩიქობავა უკავშირებს ქართულ **ზოგი** და ხუნძურ **ცოგი** „სხვა“ სიტყვებს (ჩიქობავა 1937: 52-53).

**ზოზინი** (ქართ.) „ნელი, აუჩქარებელი, გვიანი, უსიცოცხლო საქმიანობა, მოძრაობა“ (ქეგლ IV: 165), **ზოზლნა** (ქართ.) „გაუბედავად, ძლივს, ღეჭვით წარმოთქმა რისამე“ (IV: 167) – **ზაზნ / ზაზ** „ნელი“, „აუჩქარებელი“. გვხვდება

აბაზურში **ჟუჟაჟუჟა** / **ზაზა** სახით, რომელიც ყაბარდოულიდან შეთვისებულად მიიჩნევა (შაგიროვი 1977: 198).

**თხრა** (ქართ.) „ჭრა, ამოყრა, ამოღრმავება მიწისა“ (ქეგლ IV: 515), **ნთხორუა** (მეგრ.) „თხრა“ (ჭარაია 1997: 103), **ონ-თხორუ** (ლაზ.) „თხრა“ (მარი 1910: 149) – **თხჷან** (ადილ.) „თხრა“ (კვახაძე 2014: 288). საინტერესოა, რომ სიტყვა ჩერქეზულში პოვნირია მხოლოდ ადიღეური ენის აბძახურ დიალექტში. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ ნასესხობაზე, ადიღეური სიტყვის ლაბიალიზებული უკანაენისმიერის ასახსნელად ზანური ფორმა გამოგვადგება.

**ლიჟუმი** (სვან.) „მზრალად ხვნა“ (თოფურია, ქალდანი 2000: 445) – **ზჷან** (ადილ.) „ხვნა“; სემანტიკა და ძირის აგებულება მსგავსია სვანურსა და ადიღეურში. სავარაუდოდ, ადიღეურიდან უნდა იყოს ნასესხები. საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს (მასალა მოგვაწოდა მ. სალიანმა).

**ლიწანე** (სვან.) „მარგვლა“ ზედმ. „ამოგლეჯა“, „მოწიწკნა“ (თოფურია, ქალდანი 2000: 479) – **პჷან** (ადილ.) „მარგვლა“; სემანტიკისა და ფონეტიკური შედგენილობის მიხედვით მსგავსი ფორმებია (მასალა მოგვაწოდა ს. სალიანმა).

**ლელენ** (სვან.) „დიდი ზომის ქვაბი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 516) – **ლჷლფ** (ადილ.) „სპილენძის ქვაბი“; მივიჩნევთ, რომ ერთი და იგივე ძირია. სესხების მიმართულების დადგენა ძნელია (მასალა მოგვაწოდა მ. სალიანმა).

**ნაბღწ** (ადილ.) „ბუდე“, **აბღწ** (ყაბარდ.) „ბუდე“, **აბღა** (უბიხ.) „ბუდე“ (კვახაძე 2014: 96) – **ობღე** (ლაზ.) „ბუდე“ (მარი 1910: 176); გ. კლიმოვი მიიჩნევს, რომ ლაზური ფორმა ჩერქეზულიდან არის ნასესხები (კლიმოვი 1971-ა: 259). თუმცა სტრუქტურის მიხედვით ლაზური სიტყვა დანიშნულების **ო-** აფიქსიან ფორმას ჰგავს. ძირისთვის შდრ. სვან. **ბღეტ** > **ბღეჰ/ღ** „ნაპრალი“, ქართ. **ბღავ-ან-ი** „ნატამალი“. შესაბამისად, ლაზური ძირი **ბუდ-**ის სემანტიკისგან დაცლილი არ არის. მ. ჩუხუა საერთოქართველურ **\*ბღაჰ-** არქეტიპს აღადგენს.

**პუსკონუა** (მეგრ.) „ჩქმეტა, ბწკენა“, **პუსკორუა / პუროსკუა** (მეგრ.) „მოჭრა, მოწყვეტა“ (ქაჯაია 2002: 492) – **ჟეპწსკუენ** (ადილ.), **ჟეპწსკუენ** (ყაბარდ.) „ბწკენა“ (კვახაძე 2014: 258). ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ქართული **ბწკენ-**ის შესატყვისად მოყვანილია მეგრული **ბიწკონუა / ბისკონუა** და სვანური **ლიპწწკუე** ფორმები (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 105), მაგრამ ჩვენ მიერ მითითებული სიტყვაც პოვნირია მეგრულში. ვფიქრობთ, ქართველურსა და ჩერქეზულში მსგავსი ძირებია წარმოდგენილი. საკვლევი სესხების მიმართულება.

**ფხანა** (ქართ.) „1. ხელის (ფრჩხილების...) სმა ქავილის გასაქარვებლად. 2. ქავილი“ (ქეგლ VII: 227) – **ცგ-ფხგ-ნ** (ადილ.) „ფხანა“, **ზა** (უბიხ.) „ფხანა“ (კვახაძე 2014: 264); ლექსიკური ერთეული ქართულსა და ჩერქეზულში მსგავსი

ძირებითაა წარმოდგენილი. თუ საერთო წარმომავლობის არაა, საკვლევი სესხების მიმართულება.

**ქუეფ** (სვან.) „ბევრი“, **ქუეფდ** „ბლომად“, **ჯგუფი** (ქართ.) „რამდენიმე ერთმანეთთან ახლოს მყოფი ვინმე (რამე), – გუნდი“ (ქეგლ VIII: 1571) – **გგვ** / **კგვ** (ადილ.) „ჯგუფი“, **კგვვ** (უბიხ.) „id.“, **ა-გგვ** „id.“ (ავხ.), **გგვ** (აბაზ.) „id.“ (შაგიროვი 1977: 117-118), **ქგვ** (უბიხ.) „id.“ (ჯანაშია 2015: 111); სიტყვა წარმოდგენილია თურქულ ენებში: ყუმიკ. **გაუპ**, ნოღ. **კუპ** „id.“. შესაძლოა, ინდო-ევროპულიდან იყოს ნასესხები. შდრ. რუს. **купа** „საგანთა, მცენარეთა... ერთობლიობა“, უკრ., ბელ. **купа** „გროვა“, პოლ. **kupa** „id.“, „ბრბო“ (შაგიროვი 1977: 117-118). აქვე შევნიშნავთ, რომ სვანური **ქუეფ** „ბევრი“, **ქუეფდ** „ბლომად“ ჩერქეზულიდან ნასესხობად განიხილება (საღლიანი 2013: 39).

**ღრუ** (ქართ.) „სიცარიელე ამა თუ იმ საგნის შიგნით, ღრმა ფოსო; ფულურო“ (ქეგლ VII: 480) – **ღჷწ** / **ღუ** (ადილ.) „სორო“, „ბუნაგი“. ადიღური სიტყვა ენათესავება უბიხურ **ღჷწ** „სორო“, ავხ. **ა-ტგჷრა** „სორო“, „ბუნაგი“ ფორმებს (შაგიროვი 1977: 132). ქ. ლომთათიძე აფხაზური სიტყვის **ჴა** (< ღა) ელემენტს ადარებს ქართულ **მღვიმე**, **ფულურო**, ძვ. ქართ. **ჯურელი** ფორმებს (ლომთათიძე 1955: 825).

**შენახვა** (ქართ.) „დადება, მოთავსება დაცულ ადგილას“ (ქართული ლექსიკონი 2014: 679), **შენახება** (მეგრ.) „შენახვა“ (ელიავა 1997: 337), **ლიშხჷნი** (სვან.) „შენახვა“ (თოფურია,



ქალდანი 2000: 468) – **შენ** (ადილ.) „შენახვა“; თუ საერთო-კავკასიური ძირი არ არის, სავარაუდოდ, ქართველურიდან არის შესული ადიღეურში (მასალა მოგვაწოდა მ. სალლიანმა).

**შგუბ** (სვან.) „რკო“ (თოფურია, ქალდანი 2000: 813) – **მგშკ** (ადილ.) „რკო“; სვანურ სიტყვას შესატყვისობა არ ეძებნება ქართველურ ენებში. შესაძლოა, ადიღეურიდან იყოს შეთვისებული. სესხების მიმართულებაზე ხაზგასმით საუბარი რთულია (მასალა მოგვაწოდა მ. სალლიანმა).

**ჩაყვა** (მეგრ.) „ხის ჭურჭელი მაწვნისათვის“ (ჯავახიშვილი 1979: 233; სახოკია 1985: 353), **ჩაკვა / ჩაყვა** (იმერ.) „ხის ფართოფსკერიანი თავვიწრო, სახელურიანი ჭურჭელი, ხმარობენ მაწვნის ჩასასხმელად“ (გაჩეჩილაძე 1976: 157) – **ჩაყვ** (უბიხ.) „ტაშტი“ (კვახაძე 2014: 170), **ა-ჩაყა** (აფხ.) „ხის მორდილი ხელიანი ტოლჩა მაწვნისა და რძის დასალევი“ (ჯანაშია 1954: 344); მეგრულ ფორმას აფხაზურიდან ნასესხობად მიიჩნევს გ. კლიმოვი (კლიმოვი 1986: 182). ფორმა ორსავე ენობრივ სისტემაში ნასესხობაა, მათი სესხების მიმართულების და შუალედური რგოლის დადგენას დამატებითი კვლევა სჭირდება (ბუკია 2007: 167).

**ცალი** (ქართ.) „ორისაგან, წყვილისაგან ერთი“ (ქეგლ VIII: 570) – **ძვ / ცვ** (ადილ.) „კბილი“. ადიღეური სიტყვა ენათესავება აფხაზურ **ა-ხაფვც**, **ა-ც** აბაზურ **ფვც** „კბილი“ ფორ-

მებს. ხ. ბლაჟბა აფხაზურ-ჩერქეზულ ფორმებს უკავშირებს ქართულ ცალ-ს (ბლაჟბა 1948: 42).

**წულა** (ქართ.) „რბილი, უყელო ან დაბალყელიანი ფეხსაცმელი“ (ქეგლ VIII:1183), შდრ. **წალა** (ქართ.) „1. მაღალყელიანი, ქუსლიანი ფეხსაცმელი, – ჩექმა; 2. უხმარიათ წულის მნიშვნელობითაც“ (ქეგლ VIII: 1016) – **ცაჯან** (ადილ.) „ფეხსაცმელი“, „წულეზი“, **ცაჯან** (უზბიხ.) „ფეხსაცმელი“ (შაგიროვი 1977: 105). გ. როგავა მიიჩნევს, რომ ქართული **წალა** / **წულა** ადიღურდანაა ნასესხები და ამოსავალ ფორმად მიაჩნია ქვემო ადიღური **ცაჯან** „წალა“ (როგავა 1946: 14) ა. შაგიროვი მიუთითებს, რომ ადიღური სიტყვის წარმოშობა ეტიმოლოგია დაუდგენელია, თუმცა არის მცდელობა, დაუკავშირდეს აფხ. ა-ცა „ტყავი“, უზბიხურ ცა „ტყავი“ ფორმებს (შაგიროვი, იქვე). ბ. ბალყაროვი აყენებს ჩერქეზული ფორმების ქართულ **წულა**-სთან დაკავშირების საკითხს (ბალყაროვი 1965: 111).

**წოვა** (ქართ.) „ძუძუს პირში მოქცევით სრუტვა, წუწნა რძისა“ (ქეგლ VIII: 1164), **წულა** (მეგრ.) „წოვა“ (ყიფშიძე 1914: 382), **ოწუ** (ლაზ.) „წოვა“ (ქუთელია 1982: 5) – **ფე-სა-ნ** (ადილ.), **ფე-ჰა-ნ** (ყაზარდ.) „დალევა“, **ა-წარა** (აფხ.) „წოვა“ (შაგიროვი 1982: 103). მოყვანილი ჩერქეზულ-აფხაზური სიტყვები საერთო წარმომავლობისად მიიჩნევა (შაგიროვი, იქვე). აფხაზური სიტყვას ქართველური შესაბამის ფორმებს უკავშირებს პ. ჭარაია (ჭარაია 1912: 46).

**ხალა / ხაფა / ხუალა** (მეგრ.) „შობა, გაჩენა“ (ციფშიძე 1914: 396; ჭარაია 1997: 175; ელიავა 1997: 382) – **ლ'ზ'ზ-ნ** (ყაზარდ.) „მშობიარობა“, **ლ'ჭ'ზ-ნ** (ადილ.) „მშობიარობა“ (კვახა-ძე 2014: 257), **ა-ხ'არა** (აფხ.) „გაჩენა“ (უსლარი 1887: 167); ქარ-თველური და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 40). სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია საერთო ქართველურ-აფხაზურ ლექსემად (ბლაჟბა 1948: 42). მეგრული ფორმა მხოლოდ მესაქონლეობის ლექსიკაში რე-ალიზდება (ბუკია 1999: 86). შესაძლოა, ნასესხობა იყოს რომე-ლიმე ენობრივი სისტემიდან მეორეში.

**ხგრტიპგრტი** (სვან.) „ძველმანი“ – **ჰათჯ'რთ** (ადილ.) „ხარახურა, ძველმანი“; სვანური სიტყვა რედუპლიცირებული ფორმა ჩანს, რომელიც კარგად იკითხება ადილურ იმავე მნიშვნელობის ლექსემაში (მასალა მოგვაწოდა მ. საღლიანმა).

**ხუჷა / ხუჷა / ხუჷა** (სვან.) „ბევრი, მრავალი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 877) – **ხ'ჷა** (ადილ.) „ბლომად, საკმარისად, უხვად“; სესხების მიმართულების გარკვევა ჭირს, თუმცა ერთნაირი სემანტიკის მატარებელი სიტყვები ფონეტიკურ მსგავსებასაც ამჟღავნებენ (მასალა მოგვაწოდა მ. საღლიანმა).

**ჰამჷა** (სვან.) „ძალა“ (თოფურია, ქალდანი 2000: 880) – **ჰარგნ** (ადილ.) „ძლიერება“, სიმძლავრე“; ვფიქრობთ, ამოსავალი ადილური ფორმა უნდა იყოს, მაგრამ დამატებითი კვლევა საჭირო (მასალა მოგვაწოდა მ. საღლიანმა).

## ჩერქეზულ-აფხაზური ონომასტიკონი საქართველოში

(დანართი)

სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე მიმდინარეობს გაცხოველებული კამათი საქართველოს ტერიტორიაზე ჩერქეზული ტოპონიმებისა და ანთროპონიმების გავრცელების თაობაზე. გამოთქმულია მრავალი, ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულება.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ **-ფსა**, **-ყვა**, **-ფა** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები ჩერქეზული წარმოშობისაა და მიგვანიშნებს ამ ტერიტორიაზე (გურია-სამეგრელო და სვანეთი) ჩერქეზული ტომების ოდინდელი ცხოვრების კვალზე.

ნ. მარი მიიჩნევდა, რომ გურიაში არსებული ჰიდრონიმი **სუფსა** აფხაზური წარმოშობისა, ამასთანავე აღნიშნავს, რომ გურიის ძველი სახელი შემონახულია ტოპონიმ **სურებ**-ში (მარი 1939: 45).

ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნო-

ლოგიური პრობლემები“ წერდა: „ამ მასალის ანალიზით [ტოპონიმის – მ. ბ.] აზნაზეთსა და სამეგრელოზე უფრო სამხრეთით მდებარე მიწა-წყლის ძველისძველი მოსახლეობის ტომობრივი ვინაობის გაგებაც ხერხდება. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ გურიის ერთ-ერთ მდინარეთთაგანსაც **სუფსა** ეწოდება. ამ სახელის **-ფსა** ბოლოკიდური მკაფიოდ მეტყველებს მის სადაურობაზე. ამასთან საყურადღებოა, რომ ამ მდინარის მარტო ბოლოკიდური წყლის აღმნიშვნელი **ფსა** კი არ ამჟღავნებს მის ადილეურობას, არამედ თვით ამ სახელის პირველი **სუფ** ნაწილი“ (ჯავახიშვილი 1950: 43-44).

იმავე აზრს ავითარებდა არნ. ჩიქობავა: „დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში არ არის შემთხვევითი ისეთი ადილეური ელემენტების არსებობა, როგორცაა **სუფსა**, **აჭყვა**, **მალთაყვა**, **აკამფსისი**: არსებობს სერიოზული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველ ტომებს წინ უსწრებენ აზნაზურ-ადილეური ტომები“ (ჩიქობავა 1948: 263).

ს. ჯანაშია ყურადღებას მიაქცევს დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ **-ფსა** და **-ყვა** დაბოლოებიან ტოპონიმებს (ჰიდრონიმებს) **სუფსა**, **აგიდაყვა**, **აჭყვა**, **მალთაყვა**, იმავე სუფიქსიან სხვა ოიკონიმებს: **ჯურუყვეთი**, **ბობოყვათი**, **მურყვეთი** (გურია-აჭარა), **ბოყვა** (რაჭა), **აყუა**, **აბჟაყვა** (აზნაზეთი), მათ რიგში განიხილავს ანტიკურ წყაროებში დადასტურებულ ქოროხის ძველ სახელწოდებას **აკამფსისი**, ამ ფორმასთან დაკავშირებით უთითებს სომხურ ანონიმურ წყაროს, სადაც წერია: „[ქოროხს] ეგრისელები **აკამსის**-ს უწოდებ-

ბენ, ხალდეები კი – **კაკამარ**-ს. ამის მიხედვით კი ასკვნის, რომ 1. ფორმა **აკამსისი**, ე. ი. **აკამფსისი** ადგილობრივად იხმარებოდა; 2. ამ სახელწოდების ფუძე სხვა გაფორმებითაც იყო მოცემული, ვინაიდან (**კაკამ-ფს-ის-ი** და **კაკამ-არ** ერთი და იგივე ფუძის ნაყარია (ჯანაშია 1952: 119).

**კაკამ-არ-ის -არ** სუფიქსზე მკვლევარი ვარაუდობს, რომ ის უნდა იყოს ნაშთი ჭანური **წარ** / **წარ**-ისა „წყლის“ მნიშვნელობით. ს. ჯანაშია მიუთითებს, რომ **-ფსა** სუფიქსიანი ტოპონიმები თავისი არსით იგივეა, რაც **-წყალ-**კომპონენტდართული ქართული ჰიდრონიმები (**ცხენისწყალი** და სხვ.).

**-ფსა**-ზე და **-ფა**-ზე დაბოლოებულ ტოპონიმთა განხილვისას მკვლევარი მიუთითებს ფაზის ჰიდრონიმზე, აღნიშნავს, რომ აღდგენილი **\*ფასიდ** ფორმა იგივე ძირია, რაც ქართ. **ფოთი** / **ფუთი** და სვამს კითხვას – ამ სახელს იგივე ჩერქეზული სიტყვა ხომ არ უდევს ფუძედ, ე. ი. ემთხვევა თუ არა **ფას** და **ფსა** ფუძეები ერთმანეთს (გვ. 122).

საბოლოოდ მკვლევარი ასკვნის, რომ **-ფსა** და **-ყვა**, აგრეთვე **-თა** დაბოლოებიანი გეოგრაფიული სახელები ჩერქეზული წარმოშობისაა და მიგვითითებს ამ ტერიტორიაზე ჩერქეზული ტომების განსახლებაზე უძველეს დროში.

სხვა ნაშრომში ს. ჯანაშია განიხილავს გურიაში გავრცელებულ გვარსახელებს: **ინგოროყვა**, **სალუქვაძე**, **ბოლქვაძე**, **თალაქვაძე**, **ჭანუყვაძე**, **ლელეყვა**, მათში გამოყოფს **-ყვა** სუფიქსს, რომელიც ჩერქეზულში „ძე“-ს ნიშნავს. ამასთან **-ყვა** ელემენტს უბიხურში შეესაბამება **-ქუა** / **-ქვა**. ამის გამო

მეცნიერი მიიჩნევს, რომ **სალუქვამე, ბოლქვამე** უბიხური წარმომავლობის არის (ჯანაშია 1952: 482-490).

ჩერქეზული წარმოშობის ანთროპონიმებად განიხილავს გ. როგავა საქართველოში გავრცელებულ პირსახელებს: **ბათაყვა, ზიყვა, გეყვა, ჩერეყვა, თემყვა, სესრეყვა, ჯაყვა, შეყვა...** ზოგი მათგანი შედარებით ახალი შეთვისებული ჩანს, მაგ., **თემყვა** თურქული წარმოშობის სახელიდან უნდა მომდინარეობდეს: **თემგრ > თემგრყვა**, მაგრამ სხვა მრავალი უძველესი პერიოდის შენაძენი უნდა იყოს (როგავა 1946: 15).

გ. როგავა მიუთითებს, რომ ჩერქეზული წარმოშობის სახელები იმ დროს უნდა იყოს შეთვისებული ქართველურ ენებში, როცა ფარინგალურ ხშულთა რიგის ბგერები შენახული ჰქონდა ჩერქეზულ დიალექტებს. მკვლევარს ნასესხებად მიაჩნია შემდეგი მეგრული გვარები: **ბაძაღუა, ტაბაღუა, წირღვაგა, ფაღვა, ბოხუა, ლაბახუა, ჩუხუა, ვეკუა, რეკვაგა, ძიგუა, ლოგუა, სიგუა, გაგუა** და სხვ. (როგავა 1946: 16-17).

საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზ-ჩერქეზთა ოდინდელი საცხოვრისის არსებობას ადასტურებს ქ. ლომთათიძეც. სტატიაში „აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ“ (ლომთათიძე 1956), რომელიც წარმოადგენს პ. ინგოროყვას „გიორგი მერჩულეს“ რეცენზიას, მეცნიერი განიხილავს ტოპონიმთა ნაწილს, რომელიც მოყვანილი ჰყავს პ. ინგოროყვას თავის ნაშრომში (იხ. ქვემოთ): **ბზიფი, სოჩა, ლაია / ლია, წურწუხი / წუწახი...** -თა და -ფსა (<-ფსგ) სუფიქსიან სახელებს, ეხება პ. ინგოროყვას თვალსაზრისს აფხაზთა საქართველოს ტერიტორიაზე გვიან,

მე-17 საუკუნეში ჩამოსახლების შესახებ და მიიჩნევს, რომ ჩერქეზ-აფხაზები დასავლეთ საქართველოში თანაცხოვრობდნენ ქართველებთან. ამის დასტურად, გარდა ტოპონიმიკური მასალისა, მოჰყავს ქართველურ და აფხაზურ ენათა ინტერფერენციის თავისებურება: „რაც უფრო მივიწვევთ აფხაზეთის ტერიტორიის ჩრდილო ნაწილისკენ, მით უფრო ნაკლებად შეიმჩნევა მეგრულის გავლენა [რაც კარგად ჩანს აბჟურში – მ. ბ.] და თავს იჩენს ქართულის გავლენა“. ამის დასტურად რამდენიმე მაგალითია მოყვანილი: ბზიფურში გავრცელებულია ქართულიდან შეთვისებული **ა-ხარხ** „ხერხი“ < ქართ. **ხერხი**, **ა-ჯიქურე** „სიმინდი“ < ქართ. **ჯიქურა**, მეტიც, სიტყვები შესულია ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშნითურთ: **ა-კაპე** „კოპე“, **ა-ბაღრე** „ბელურა“... მაშინ, როდესაც აბჟურში მეგრულიდან შეთვისებულია **ა-ხარხ** „ხერხი“ < მეგრ. **ხორხი**, ან საკუთრივ აფხაზური ფორმა გვაქვს: **ა-ფშ**, „სიმინდი“ (ლომთათიძე 1956: 137-138). გარდა ლექსიკისა, აფხაზურის უდავო გავლენა ჩანს მორფოლოგიის გარკვეულ უბნებში (იქვე : 139).

ვ. თოფურია სტატიაში „ქართველურ ენათა დიალექტების მონაცემთა მნიშვნელობა ენის ისტორიისა და ზოგადი ენათმეცნიერებისათვის“ განიხილავს ენათა და დიალექტთა ინტერფერენციის საკითხს და სუბსტრატულ მასალაზე მსჯელობისას მიუთითებს, რომ გურულ დიალექტსა და სვანურ ენაში წარმოდგენილი ჩერქეზიზმები (-ფსგ და -ყვა დაბოლოებებიანი ტოპონიმები და ანთროპონიმები) აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა სუბსტრატს წარმოადგენს, თუმცა იქვე და-



სძენს, რომ ჩერქეზთა დასახლებას ამ ტერიტორიაზე ისტორიული წყაროები არ უჩვენებენ (თოფურია 1965: 173).

საწინააღმდეგო აზრი აქვს გამოთქმული მეცნიერთა მეორე ნაწილს.

პ. ინგოროყვა კატეგორიულად უარყოფს ჩერქეზ-აფხაზთა არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე, ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ სატომო სახელს **აფხაზი** მიიჩნევს მესხურ ტომად. ფუნდამენტურ ნაშრომს „გიორგი მერჩულე“ მეცნიერი ურთავს „სპეციალურ ექსკურსს – აფხაზეთის მხარეთა გეოგრაფიული სახელწოდებანი და მათი კავშირი ქართულ ენობრივ სამყაროსთან“. ამ მონაკვეთში განხილულია თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოდგენილი 136 გეოგრაფიული ადგილი და მკვლევრის მიერ მიჩნეულია ქართულ სახელებად. მათი უმეტესობა მართლაც ქართულია, მაგ.: **წყურგილი, სათამაშო, ბაგა, ჭანდარი, ღალიძგა, ჭალა**. მათ გვერდით ქართულად, ან ქართული წარმომობისად არის ნავარაუდები **სოჭი, ხოსთა (ხოსტა, ხომტა), მაწესთა, მძიმთა (მზიმთა), ლაგუმფსა...** ხოლო -**ფსა** სუფიქსს წმინდა ქართულ სიტყვად მიიჩნევს და მიიჩნევს, რომ ქართულიდან არის შეთვისებული ჩერქეზულში (ინგოროყვა 1954: 146-188).

გ. ახვლედიანი პ. ინგოროყვას მიერ მოხმობილ ტოპონიმთა ეტიმოლოგიებზე ამბობს, რომ ყველა მათგანი ერთნაირად დამარწმუნებელი არ არის (ახვლედიანი 1957: 108), ამ სახელთა უმეტესობა მართლაც ქართულია, ან ქართველური წარმომობისა, თუმცა -**ფსა**, -**ყვა** სუფიქსებს ქართველურად, ან აფხაზურ-ჩერქეზულთან საზიარო მასალად გა-

ნიხილავს. გეოგრაფიულ სახელებში გავრცელებული -თა სუფიქსიც (ჩხიკვთა, მოწამეთა... მაწესთა, გუდაუთა...) ქართველურ-აფხაზურ (resp. ჩერქეზულ) მოვლენად მიაჩნია (გვ. 111). გ. ახვლედიანი საკითხის განხილვის დასასრულს ამბობს: „ქართველურ ენებში გეოგრაფიულ სახელთა და გვარების -ყვა დაბოლოება უნდა ჩაითვალოს გადმონაშთად და არა ჩერქეზულის ნაკვალევად საქართველოს ტერიტორიაზე (გვ. 114).

პ. ინგოროყვას აზრს იზიარებს ალ. ონიანი. ის განიხილავს ტოპონიმებს, რომლებიც ს. ჯანაშიას დასავლეთ საქართველოში ჩერქეზთა ოდინდელი სახლობის უცილობელ დასტურად მიაჩნია, ეტიმოლოგიურად იკვლევს მათ და ეჭვქვეშ აყენებს ს. ჯანაშიას თვალსაზრისს (ონიანი 1989: 299-309).

მნელია რომაულ-ბიზანტიურ წყაროებში დადასტურებული ჭოროხის სახელწოდება **აკამფსისი** ჩერქეზული წარმომობისად განვიხილოთ. მისი დაკავშირება ჭოროხის სხვა სახელწოდებასთან **კაკმარი** დაბრკოლებას აწყდება. ანგარიშგასაწევია თავად ს. ჯანაშიას მიერ წარმოთქმული თვალსაზრისი: „ძველი მწერლები ცდილობენ ეს სახელი (**აკამფსისი**) ბერძნული ეტიმოლოგიის მქონედ გამოაცხადონ“ (ჯანაშია 1959: 119).

სიტყვა ფაზისთან დაკავშირებით ალ. ონიანი შენიშნავს, რომ ბერძნული ფაზისის შესატყვისი გვაქვს საერთო-ქართველურ ქრონოლოგიურ საფეხურზე, შესაბამისად, მის ჩერქეზულ წარმომავლობაზე უხერხულია.

ქ. სოხუმის (\*ცხუმი) აფხაზური სახელი აყვა ისტორიულ წყაროებში XVIII საუკუნემდე არ დასტურდება. შეუძლებელია ქალაქის უძველესი სახელი ისტორიულ წყაროებში ასე გვიან გამოჩენილიყო. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქალაქი უამრავი ქართველური ტოპონიმის გარემოცვაშია მოხვედრილი.

აღ. ონიანი ასკვნის: „ლიტერატურაში დასახელებულ სხვა ტოპონიმთა ჩერქეზული წარმომავლობა ფაქტადაც რომ მივიჩნიოთ, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამგვარი ტოპონიმების ძალიან მცირე რაოდენობა რჩება. მათი წარმოქმნა კი შეიძლება ჩერქეზთა პატარ-პატარა ჯგუფების ამ ტერიტორიაზე შემთხვევით მოხვედრითაც“ (გვ. 305).

ა. ღლონტი განიხილავს ორივე შეხედულებას -**ფსა** სუფიქსის წარმომავლობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ორივე თვალსაზრისს დაჰყვება გარკვეული ცალმხრივობა. ერთი მხრივ, -**ფსა** (**ფასა**) არის ტრადიციული, საერთო-ქართველური ჰიდრონიმი (ვარიანტებით **ფშა**, **ფშავი**, სვან. **ფაშგუა**), მეორე მხრივ, ანგარიშგასაწევია ჩერქეზული მასალაც. აღნიშნული ლექსემა ისტორიულად საერთო ყოფილა ამ ორი სხვადასხვა ენობრივი გარემოსათვის (ღლონტი 1981: 20).

ღ. სულამანიძეც უარყოფს დასავლურქართულ ტოპონიმებში ჩერქეზული ელემენტის კვალს და ქართულ ნიშნულად ხსნის -**ფსა**, -**ყვა** სუფიქსების ეტიმოლოგიას. კერძოდ, -**ფსა**-ს აკავშირებს სითხის ან ჰაერის ჭავლის მიერ გამოცემული ხმის იმიტაციასთან და საილუსტრაციოდ მოჰყავს პ. ინგოროყვას მიერ მოხმობილი სიტყვები: **ფსია** (მეგრ.) „წყალ-

დიდობა“, ფშა „წყარო“, ფშანი „დიდი ფშა“, მრავალფშა „წყარო“, „მდინარე“, ფშატალა „თოვლნარევი წყალი“... -ყვა სუფიქსთან დაკავშირებით კი ამბობს, შესაძლოა იყოს მეგრული ყვანა-ს გაცვეთილი ფორმა, მაგ.: **ბადუშ ყვანა > ბადუყვა > ბადუყვეთი, ჯურუმყვანა > ჯურუყვა > ჯურუყვეთი**, ან უკავშირდებოდეს მეგრულ სიტყვას ცვა „შუბლი“, რომელიც გადატანით აღნიშნავდა მდინარის მუხლს, მოსახარს, ნავმისადგომად ვარგის ადგილს. არ არის გამორიცხული, რომ ანთროპონიმთა ბოლოკიდური -ყვა მარცვალი თიკუნში მოსალოდნელი ყვავ ქართული სიტყვის ბოლო მარცვალდაკარგული სახე იყოს. ამის მაგალითად მოყვანილია სავარაუდო **ბობოყვაჲ > ბობოყვათი, დედალუყვაჲ > დედალუყვათი**, აგრეთვე **ჭანიყვაჲ**, რომლისგანაც მომდინარეობს **ჭანუყვაძე** (სულამანიძე 1990: 131-141).

ა. ტულუში საკითხის განხილვისას ყურადღებას მიაქცევს ერთ საჩოთირო გარემოებას – როგორ გაჩნდა ჩერქეზული გვაროვნული სახელები საქართველოს ტერიტორიაზე? თუ ჩავთვლით, რომ ამ რეგიონში ათასწლეულების წინ მოხდა ჩერქეზულ-აფხაზური ტომების ჩანაცვლება ქართველური ტომებით, მაშინ ხომ გვარსახელები საერთოდ არ არსებობდა? შესაბამისად, ჩერქეზული ანთროპონიმების გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე გვიანდელი მოვლენაა. მკვლევარს მოჰყავს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა გურიაში აფხაზთა გაბატონების შესახებ: გურიაში „შარვაშიძე მოვიდა აფხაზეთიდან“ (ვახუშტი 1973: 26). იოანე ბატონიშვილიც გადმოგვცემს, რომ შარვაშიძეები გარდა აფხა-

ზეთისა, „რომელნიმე სახლობენ გურიასა შინა თავადად და სხვანი ქართლსა შინა“.

ა. ტულუში შარვაშიძის გურიაში ჩამოსვლას უკავშირებს ჩერქეზულ-აფხაზური ანთროპონიმების გავრცელებას ამ რეგიონში: „როგორც ჩანს, შარვაშიძეთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთ შტოს აქ, გურიაში, ებოძა მამულები და მათაც ამ მამულში თავიანთი აფსარი ყმები ჩამოასახლეს, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვებოდა აქ კომპაქტურად ჩასახლებულ აფსართა მიერ ადგილების სახელდებაც თავის ენაზე და ეს უნდა იყოს მიზეზი გურიაში აფხაზურ-ადილური ტოპონიმების გაჩენისა“ (ტულუში 2007: 150).

მ. ჩუხუამ წარმოადგინა სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი ქართულ გვარებში დადასტურებულ -ყვა სეგმენტის წარმომავლობაზე.

მკვლევარი ინგოროყვა, როყვა, ჭანყყაძე... ტიპის გვარებში წარმოდგენილ ელემენტს უკავშირებს ქართულ -ყმა- სეგმენტთან გვარებს მალა-ყმა-ძე, ვაშა-ყმა-ძე, კეჭა-ყმა-ძე... სადაც გამოყოფილი ფორმა უკავშირდება ძველ ქართულში კარგად ცნობილ ყმა „წული, ქალი, ვაჟი, მართვე“ (აბულაძე 1973: 468) სიტყვას.

ზემოთ მოხმობილ გვარებში სეგმენტი შვილს ნიშნავს, შესაბამისად, ვაშა-ყმა = ვაშაძე, მალა-ყმა = მალაძე... შემდგომ გვარსახელს დაერთო -ძე დაბოლოება (მოხდა ორმაგი სუფიქსაცია), ვინაიდან ყმა სიტყვის სემანტიკა დაიხრდილა.

ქართული ყმის შესატყვისი უნდა იყოს ზანური ყვა. ქართ. მ : ზანური ვ შესატყვისობა პოსტკონსონანტურ პოზიციაში ზანურისთვის ბუნებრივია. შდრ.: ქართ. ხმარება

> მეგრ. ხუარება / ხვარება; ქართ. უქმი > მეგრ. უქუი / უქვი; ქართ. ჭმახე > მეგრ. ჭუახე / ჭვახე (შენგელია 1999: 10-11).

მ. ჩუხიას აზრით, იგივე პროცესი განვითარდა ქართ. შინაყმა > (მეგრ.) შინაყუა / შინაყვა, პატრონყმობა > (მეგრ.) პატენყვალა ფორმებში.

